



ციბეხანი

№ 13 / 25 ნოემბერი - 8 დეკემბერი / 2009

„ალიანსმა“ 2013 წელს გაემოიაროს“ **83. 12**

ქრისტიან-დემოკრატიული პარტია **83. 15**

პრეზიდენტის გაუმჯობესებელი სასახლე **83. 18**

გალი პრეზიდენტის გარეშე **83. 24**

საქართველოს როლი კავკასიაში **83. 30**

რა ჭირს ქართულ მედიას? **83. 38**

საზოგადოებრივი გაუწყებლის დემოკრატიზაცია **83. 10**

„ალია“ და ლორთქიფანიძე VS ადამიანის უფლებები **83. 32**

ოჯახი – ყველა გავშვის უფლება **83. 46**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი



მაისტრო 2 83.34



რადიო „ნასრონი“ გევატიუბათ

კლუბში „ნასრონი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- სოცხალი მუსიკა



მისამართი: აბანოს ქ. N 3



ფოტო: ლევან მარსალოზიძე

ნომერი:

- 02 რედაქტორი
 - 04 მოკლედ
 - 06 ვრცლად
 - 10 ორი აზრი
რეალურია თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის დეპოლიტიზაცია?
ნინო დანელია v.s. დავით ზურაბიშვილი
პოლიტიკა
- 
- 12 „ალიანსმა“ 2013 წელს გამოიაროს“
 - 15 ქრისტიან-დემოკრატიული პარტია „კონსტრუქციული „დროება“

- 18 **ჟურნალისტური გამოძიება**
პრეზიდენტის გაუმჭვირვალე სასახლე
ეკონომიკა
- 22 ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტესტი **კონფლიქტები**
- 24 გალი პრეზიდენტის გარეშე **კავკასია**
- 26 აზერბაიჯანი და სომხეთი მშვიდობის ზღვარზე?
- 28 **სომხეთი, საქართველო, თურქეთი**
უალტერნატივო გზა
- 30 **საქართველოს როლი კავკასიაში**
საქართველო - „დემოკრატიის უნივერსიტეტი“ კავკასიაში?
ადამიანის უფლებები და სამართალი
- 32 „ალია“ და ლორთქიფანიძე VS ადამიანის უფლებები
ფოკუსი – მედია
- 34 მაესტრო 2

- 38 **მედია**
რა ჭირს მედიას?
- 44 **ახალი მედია**
საქართველოში „თვითერის“ რეგულაცია ჯერ შორსაა
საზოგადოება



- 46 ოჯახი – ყველა ბავშვის უფლება
- 48 **ბავშვთა უფლებები**
ერთი ბავშვთა სახლიდან მეორეში
- 50 **თვალსაზრისი**
საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირების პრობლემების შესახებ

სიმონ ჯანაშია, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
52 **ნიგები**
ნუ დანავა ლორას!

ბარაკანაზა:
მაესტრო 2
ფოტო:
ლევან ხერხეულიძე

ფორნალი „ლიბერალი“ გამოცემა ფონდი „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.



თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზადება პოლიტიკური პარტიების ნაწილმა, დიდი ხანია, დაიწყო, ნაწილი კი მაისისთვის დაგეგმილ არჩევნებს კვლავ უნდობლობას უცხადებს, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აპრილის შუა რიცხვებში ეს პარტიები საკუთარ კანდიდატებს არ წარადგენენ. შესაძლებელია, მათი რამდენიმეთვიანი ბოიკოტიც თავისებური წინასაარჩევნო კამპანიაა.

ნაციონალური მასშტაბების, საკაბელო არხების, ბუქდური და ინტერნეტ-გამოცემების მთავარი თემებიც არჩევნებთან დაკავშირებული საკითხებია – მერის პირდაპირი წესით არჩევის პერსპექტივა, ნულოვანი, 30%-იანი თუ 50%-იანი ბარიერი, საკრებულოს დაკომპლექტების სისტემა და, რაც მთავარია – მერობის სავარაუდო კანდიდატები და მათ შორის უკვე დაწყებული ფარული ბრძოლა.

მარტივად რომ ვთქვათ, თუ არჩევნებში ხელისუფლება ერთ კანდიდატს, ვთქვათ, გიგი უფლავას წარადგენს, ოპოზიციის მხრიდან კი მონაწილეობას, ირაკლი ალასანიას გარდა, კობა დავითაშვილი, გუბაზ სანიკიძე, ქრისტიან-დემოკრატების და ლეიბორისტული პარტიის კანდიდატები, და ლევან გაჩეჩილაძე მიიღებენ (ჩამოთვლილთაგან ნაწილი ჯერჯერობით არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს), დიდი შანსია, რომ თბილისის მომავალი მერი კვლავ ხელისუფლების კანდიდატი გახდება. ასე რომ არ მოხდეს, ოპოზიციის ყველაზე ძლიერ კანდიდატს – ირაკლი ალასანიას რამდენიმე საკითხი აქვს გადასაწყვეტი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ირაკლი ალასანიას გუნდმა ეფექტური და პროდუქტიული მოლაპარაკებები წარმართოს შესაძლო კონკურენტებთან – ოპოზიციის ლიდერებთან. ალასანიამ ისინი უნდა დაარწმუნოს, რომ მერის პოსტის ხელიდან გაშვების შემთხვევაში, ხელისუფლებასთან, მხოლოდ ის კი არა, მთელი ოპოზიცია დამარცხდება.

არჩევნების შედეგებისთვის, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს მედიის ყურადღება. ამ მხრივ ბალანსი, დიდი ხანია, დარღვეულია ხელისუფლების სასარგებლოდ. სამივე ნაციონალური მასშტაბის მის აშკარა კონტროლქვეშაა. რამდენიმე კვირის წინ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევა კი აჩვენებს, რომ ქართველების 88% პროცენტი ინფორმაციას ტელევიზიით იღებს (2% – პრესა, 3% – ინტერნეტი).

მედიაბაზარზე მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას აქვს შანსი, რომ მოახლოებული არჩევნების ბედი გადაწყვიტოს. ცვლილებები კი ბევრია – შეიქმნა უცნაური ფორმატის საინფორმაციო-ანალიტიკური საკაბელო არხი „რეალ-ტივი“ (რომლის არაოფიციალური მმართველი შს-ს ყოფილი პრესმდივანი გურამ დონაძეა), განისაზღვრა მეორე საზოგადოებრივი არხის ახალი პოლიტიკური ფუნქცია, გაცხადდა იდეა საზოგადოებრივი ტელევიზიის ბაზაზე მესამე, ტრანსკავკასიური არხის დაარსების შესახებ.

ადვილი დასანახია, რომ ყველა ჩამოთვლილი მედიასაშუალება კავშირშია (მათ შორის ფინანსურად) ხელისუფლებასთან და მის ინტერესებთან. ოპოზიციური ფრონტიდან კი საპასუხო ცვლილება ერთადერთი, ისიც საკაბელო არხზე. მამუკა ლლონტის გადამწყვეტილებით, „მაცენტრო“ მმართველობაში „რუსთავი 2“-ის ყოფილ მფლობელს ეროსი კინმარიშვილს გადაეცა. ამ ნომერში ნაიკითხავთ სტატიას „მაცენტრო-2“-ის გეგმებზე და იმ პარალელებზე, რომელთა გავლენაც გარდაუვალა.

სწორედ ამ ცვლილებების გამო და კიდევ იმიტომ, რომ წინასაარჩევნოდ გააქტიურებული მედია მათი მფლობელებისთვის განსაკუთრებით ძლიერი იარაღია – ამ ნომრის მთავარი ფოკუსი ის პრობლემები და დაბრკოლებებია, რომელთა გადალახვა ამ სფეროში მომუშავე ადამიანებს ყოველდღე უწევთ. ვიცი, ჟურნალისტებს შორის ხშირია გადამეტებული ყურადღება მათი კოლეგების და მედიასაშუალებების ირგვლივ მომხდარი სიახლეების მიმართ და ზოგჯერ დახურული კლუბის შიდა ინტრიგები ამ წრის გარეთ მყოფი ადამიანებისთვის ნაკლებად საინტერესოა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კონკრეტული ბიზნესის პროდუქტის მომხმარებელი ყველა ჩვენგანია, ალბათ მაინც არ ვცდებით, როცა მისი ხარისხის, მწარმოებლისა და შემქმნელების შესახებ ვცდილობთ, ინფორმაცია მოგაწოდოთ.

სოფო ჭავაძე,
პოლიტიკისა და საერთაშორისო ამბების განყოფილების რედაქტორი
sofia.chavaa@liberali.ge

რედაქტორი: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდიაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუჯია / ჟურნალისტური გამოძიება ბესო კურტიანიძე / საზოგადოება თამარ მაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბუჩქიშვილი / ახალი ამბები ნათია ასალაშვილი რედაქცია: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბიანიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია

ბამომცემი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სსპა ბამომცემი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „პიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბმულა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, ნერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.

ბირჟაში: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.

www.liberali.ge ISSN 1987-7528

ახსადებს მიღებას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამაზე

სწავლა დაიწყება 2010 წლის 25 იანვრიდან

ლექციები ჩატარდება საღამოს საათებში. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.



საზოგადოებასთან ურთიერთობის/PR სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიძინონ აუცილებელი პროფესიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პოლიტიკური კომუნიკაციის სფეროებში წარმატების მისაღწევად როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ ან არასამთავრობო ორგანიზაციებში.

ლექციებსა და სემინარებს ქართველი და ამერიკელი სპეციალისტები გაუძღვებიან. სწავლის პერიოდში სტუდენტებს შეეძლება კომპიუტერული და სამონტაჟო ლაბორატორიებით, უახლესი ფოტო, ვიდეო და ტელე აპარატურით, ასევე, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მდიდარი ბიბლიოთეკით სარგებლობა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამა გათვალისწინებულია იმ უიკრებოსათვის, ვინც აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს:
● აქვს უმაღლესი დიპლომი ნებისმიერ მიმართულებაში;
● აქვს გამოცდილება საზოგადოებრივი სამსახურისათვის მუშაობაში და სურს ქველმოქმედების საქმეში.

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა 2009 წლის 10 იანვარი



ილუსტრაცია: მირიამ მასარაშვილი

უკანონო მონეა

19 ნოემბერს მუხროვანის საქმის სასამართლო განხილვაზე მონმის სტატუსით მეორედ დაიკითხა გიორგი ზირაქიშვილი. მას შემდეგ, რაც ხელისუფლების დამხობის მიზნით ამბოხში მონაწილეობა აღიარა, 6 ნოემბერს პროკურატურამ ზირაქიშვილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმა და, 5-ნობიანი პირობითი სასჯელის სანაცვლოდ, ის სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. ყოფილი სამხედროს ხელმეორედ დაკითხვის შუამდგომლობა პროკურორმა დააყენა, მიზეზად კი საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში ახალი გარემოებების გამოკვეთა დაასახელა.

მონმე ზირაქიშვილმა წინა პროცესზე მიცემული ჩვენება შეცვალა. მისი თქმით, 4 მაისის დღე მან კობა ოთანაძესა და ლევან ამირიძესთან ერთად გაატარა, ღამით კი კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე საკუთარი ავტომობილით ჩაიყვანა ხაშურში, სადაც ქუთაისის მესამე ბრიგადის ყოფილ მეთაურს, განსასჯელ კახა კობაიძეს შეხვდნენ. ზირაქიშვილის ახალი ჩვენება ერთადერთი მტკიცებულებაა, რაც კობაიძეს ამბოხთან აკავშირებს. მისი ჩვენების შემდეგ განსასჯელმა კობა ოთანაძემ განცხადების გაკეთების უფლება

ითხოვა და აღნიშნა, რომ კახა კობაიძე პირველად ციხეში წახა.

დაცვის მხარის ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ ზირაქიშვილის მონმის სტატუსით ხელახლა დაკითხვის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა. სასამართლო პროცესზე ერთი და იმავე მონმის ორჯერ დაკითხვა კანონს ეწინააღმდეგება.

თავად კობაიძე თავს დამნაშავედ არ ცნობს და ღუმულის უფლებას იყენებს. ამბოხებაში ბრალდებულ სხვა არც ერთ პირს ის თავის ჩვენებაში არ უხსენებია. განსასჯელების ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ზირაქიშვილი ბრალდების მხრიდან ზენოლას განიცდის და პროკურატურა მისი საშუალებით კობაიძის წინააღმდეგ მტკიცებულების ხელოვნურად შექმნას ცდილობს.

მუხროვანის საქმის სასამართლო პროცესი აგვისტოს ბოლოს დაიწყო. მონმეთა დაკითხვა დასრულებულია და შემდეგ სხდომაზე უკვე ახალი ეტაპი დაიწყება – საქმის მასალების განხილვა და მტკიცებულებების გამოქვეყნება. ამას მხარეების მიერ საკუთარი პოზიციების დაფიქსირება, ადვოკატების დაცვითი სიტყვები და მხარეთა კამათი მოჰყვება.

ჰარიმის მიზანი და თანხა გაუკვეპელია

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სამსახურმა ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ჯეოსელი“ დააჯარიმა. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ირაკლი ღვალაძე აცხადებს, რომ „ჯეოსელის“ შემონმების შედეგად მიღებული საბოლოო დასკვნა კომპანიაში უკვე გადაგზავნილია. ღვალაძემ დაადასტურა, რომ დასკვნაში კომპანიისადმი ჯარიმა გათვალისწინებულია, თუმცა ოდენობა არ დააკონკრეტა, რადგან, მისი თქმით, აღნიშნული ინფორმაცია საიდუმლოა. ამ საკითხზე კომენტარს არც „ჯეოსელში“ აკეთებენ. გავრცელებული ინფორმაციით, „ჯეოსელის“ ჯარიმა, რომელიც მას დარღვევების გამო დაეკისრა, 100 მილიონი ლარია. საგადასახადო სამსახური „ჯეოსელის“ კამერალურ შემონმებას რამდენიმე კვირის განმავლობაში ახორციელებდა. კამერალური შემონმება კომპანიის მიერ საგადასახადოში წარდგენილი დოკუმენტაციის შემონმებას ითვალისწინებს.

25-ე არხს ჰარიმა კვლავ ეკისრება

ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, „ტელეარხ 25-ის“ ანგარიშებს ინკასო მოეხსნა. თუმცა, არხს ასლან აბაშიძის დროს და ინკასოს პირობებში დარიცხული ჯარიმა – 350 ათასი ლარის გადახდა კვლავ ეკისრება. ტელეკომპანიის დამფუძნებლები ამ ვალს არ აღიარებენ და ითხოვენ 2006 წლიდან 2009 წლამდე დაგროვილი გადასახადის, 70 ათასი ლარის

რესტრუქტურისა. არხის დამფუძნებლები ახლა ფინანსთა სამინისტროს პასუხს ელიან, „ერთი ნაბიჯი გადმოდგმულია სამართლიანობის სასარგებლოდ. იმედი გვაქვს, რომ შემდეგი ნაბიჯები ტელევიზიის სასიკეთოდაც გადაიდგმება“, – ამბობს ერთ-ერთი დამფუძნებელი მერაბ მერკვილიძე.



ახალი მტკიცებულებები

ზადრი პატარკაციშვილის ოჯახის ადვოკატებმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ახალი მტკიცებულებები წარუდგინეს. ერთ-ერთი ადვოკატის ლაშა ბირკაიას მტკიცებით, ამერიკელი ექსპერტის დასკვნა მოწმობს, რომ პატარკაციშვილის ანდერძის თერთმეტივე ვარიანტი ბიზნესმენის სიკვდილის შემდეგაა შექმნილი. ადვოკატი ამბობს, რომ სულ 70 ყალბი დოკუმენტია „შეთითხილი“. მისივე განმარტებით, ბიზნესმენმა ჯოზეფ ქეიმ პატარკაციშვილის ანდერძთან დაკავშირებით საქმეები ლიხტენშტეინისა და გიბრალტარის სასამართლოებში უკვე წააგო. გარდაცვლილი ბიზნესმენის მეუღლის – ინა გუდავაძის თქმით, ინგლისის სასამართლომ ჯოზეფ ქეის პირადი ქონებაც დააყაღა.

ქეის წარმომადგენლები (გია ჯოხაძე და ადვოკატი დავით ასათიანი) პატარკაციშვილების ოჯახის ადვოკატების განცხადებებს უარყოფენ და ამბობენ, რომ ქეის მსოფლიოს არც ერთ სასამართლოში პატარკაციშვილის ანდერძთან დაკავშირებით საქმეები არ წაუგია. „ლონდონის არავითარ საარბიტრაჟო სასამართლოს ანდერძთან დაკავშირებით არსებული არანაირი საბუთების სიყალბე არ დაუდასტურებია, ვინაიდან ანდერძის აღსრულებასთან დაკავშირებით სასამართლო მხოლოდ ორ ქვეყანაში იყო ინიცირებული – საქართველო-სა და აშშ-ში; ამერიკაში საქმის განხილვა თავად გუდავაძის ადვოკატების მოთხოვნით შეჩერდა, საქართველოში კი საქმის განხილვა დასრულების სტადიაშია“, – აცხადებენ ისინი.

„ინგლისში წარმოებული სასამართლო განხილვები უმრავლეს შემთხვევებში ბორის ბერეზოვსკის მიერ ინიცირებული სასამართლო დავებია და ამ პროცესებზე გუდავაძის მხარე მოპასუხედ არის ჩართული“, – აღნიშნეს ქეის წარმომადგენლებმა. მათივე მტკიცებით, „მტკნარი სიცრუეა“ ასევე პატარკაციშვილების ადვოკატების განცხადებები იმის შესახებ, რომ ლონდონში ქეის პირადი აქტივებია დაყაღებული და მოპოვებულია იმის ახალი მტკიცებულებები, რომ მის მიერ ანდერძთან დაკავშირებით გამოყენებული საბუთები ყალბია.

რისხვეპი

250 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსებს ამერიკის მთავრობა ერთი წლის მანძილზე მე-3 სექტორსა და მედიას საქართველოში.

66 ადგილზეა საქართველო „კორუფციის აღქმის ინდექსის“ შედეგების თანახმად და 4,1 ქულა მიიღო (ინდექსის მიხედვით 0,2 მაჩვენებლით მოიკლო კორუფციამ გასულ წელთან შედარებით).

12 მილიონი აშშ დოლარით განისაზღვრა „რესპუბლიკური საავადმყოფოს“ სანყისი გასაყიდი ფასი.

3,5 მილიონი ლარით დააჯარიმა კომპანია „ყაზბეგის“ რუსთავის ქარხანა საგადასახადო შემოსავლების სამსახურმა.

9,4 მილიონი დოლარის მითვისება შეძლო 12 საათის განმავლობაში 2100 ბანკომატიდან რუსი, ესტონელი და მოლდოველი ჰაკერების ჯგუფმა აშშ-ში.

სიტყვები



„ის [დევიდ მილიბენდი] არის სიცოცხლით სავსე, მიმზიდველი, ჭკვიანი, მნიშვნელოვანი ადამიანი; ის მართლაც კარგი კაცია, თან ძალიან ახალგაზრდა!“

პილარი კლინტონი

ჟურნალი „ვოგი“

„ვიცი, რომ რუსეთთან ბევრ საკითხზე ვერ ვთანხმდებით და ვდავობთ, მაგალითად საქართველოს საკითხთან დაკავშირებით – ამ ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას კვლავაც უნდა დაეუჭიროთ მხარი. მაგრამ ამ შეუთანხმებელმა საკითხებმა არ უნდა დაჩრდილოს ის ფაქტი, რომ ჩვენ, ორივენი ბევრ შემთხვევაში ერთი და იგივე საფრთხეების წინაშე ვდგავართ“.

ანდერს ფოგ რასმუსენი

19 ნოემბერი, ევროპარლამენტის ინტერნეტ-გამოცემა

„საქართველოსთან კონფლიქტმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ევროპული უსაფრთხოება არამყარია. 2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენები სწორედ ევროპული კონფლიქტი იყო და მას შემდეგ ყველა უნდა ეცადოს ამ უსაფრთხოების გამყარებას“.

დიმიტრი მედვედევი

გერმანული გამოცემა „შპიგელი“

„ძლიერი შეიარაღებული ძალები ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება, ვიდრე ბოლო ოკუპანტი არ დატოვებს ჩვენ ტერიტორიას“.

ბაჩო ახალაია

13 ნოემბერი, ტელეკომპანია „რუსთავი 2“

დამნაშავე თავისუფალია

„ვარსკვლავების აკადემიის“ შენობის ჩამონგრევაში ეჭვიმიტანილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და საპროცესო შეთანხმებით გაათავისუფლა. გარდაცვლილის ოჯახის წევრები ახალ სარჩელს ამზადებენ.

ნინო გოგუა



„რუსთავი 2“-ის შენობის ჩამონგრევასთან დაკავშირებული აქცია, თბილისი, ნოემბერი 2009

ფოტო: თინათინ ბარჩხვაძე

2-წლიანი პირობითი სასჯელით ფულადი ჯარიმის დაკისრების გარეშე გაათავისუფლა.

დალუშული მემონტაჟის ნიკა გელაშვილის ახლობლები სასამართლოს ამ სხდომისგან სულ სხვა შედეგს ელოდნენ. მათ რამდენიმე კვირით ადრე, გვასალიას გარდა, კომპანია „არტი-იქსის“ არქიტექტორისა და ხელმძღვანელების, ასევე კომპანია „რუსთავი 2“-ის დირექტორის დაკითხვა მოითხოვეს. საქმე ისაა, რომ გვასალიამ შენობის ჩამონგრევა მთლიანად საკუთარ თავზე აიღო და ამით მშენებლობის დაგეგმვაში მონაწილე ყველა სხვა პირს ააცილა პასუხისმგებლობა.

პროკურორმა შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და საპასუხოდ განაცხადა, რომ არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც, გელაშვილის ადვოკატები საქმეში ბრალის სხვა პირებზე გადანაწილებას აუცილებლად არ მიიჩნევენ, გამოძიებამ მტკიცებულებად არ ჩათვალა.

საქმეში მთავარი ხარვეზები სწორედ წინასწარი გამოძიების დროს გაჩნდა. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების გ. წურნუშიასა და ბ. ლეფსიას მიერ ჩატარებულ შენობის ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ ჩამონგრევა დაპროექტების დროს დაშვებულმა კონსტრუქციული ხასიათის ხარვეზებმა და „შემდგომში მასზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების არაკვალიფიციურად წარმოების ერთობლიობამ“ გამოიწვია. მიუხედავად ამისა, წინასწარი გამოძიების დასკვნაში, გამოძიებელი ნათელა დოლენჯაშვილი სარემონტო სამუშაოებზე საუბრობს. სწორედ სამუშაოების არაკვალიფიციურად ჩატარების ბრალდებით გასამართლდა დავით გვასალია, მაგრამ გამოძიება არ წარიმართა მეორე მიმართულებით, რომელსაც შეეძლო დაედგინა, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები ნებართვის გარეშე ჩატარდა.

ერთ-ერთ ჩვენებაში ბრალდებული დავით გვასალია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შენობასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხების მოგვარება (მაგალითად, ნებართვის მოპოვება) მისი პასუხისმგებლობა არ ყოფილა.

როგორც „მშენებლობის ნებართვის“ შესახებ კანონი განსაზღვრავს, რეკონსტრუქციის ჩატარებისთვის აუცილებელია ქალაქის მერიის ნებართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ „არტი-იქსი“ უკანონო სამენარმეო საქმიანობას ეწეოდა. სასამართლო გა-

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი შენობა პირდაპირ პოპულარული ტელეშოუს, „ვარსკვლავების აკადემიის“ მიმდინარეობის დროს ჩამოინგრა. კომპანიას ორი თანამშრომელი დაეღუპა. დაინგრა ხუთი სართული, განადგურდა ძვირადღირებული აპარატურა და სხვა ქონება. შოუ დაიხურა. შვიდი თვის შემდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ ამ ტრაგიკული შემთხვევის მიზეზი არასწორი სამშენებლო პროცესი გახდა.

მიუხედავად ამისა, ტელეკომპანიას არც მშენებელი კომპანიისთვის უჩივლია და არც მისი ოფიციალური წარმომადგენელი დასწრება სასამართლო პროცესს, რომელზეც საბოლოო განაჩენი გამოიტანეს. ამ პროცესზე არც სამშენებლო კომპანია „არტი-იქსის“

წარმომადგენელი ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ერთ-ერთი თანამშრომელი, მუშაკ-მშენებელი დავით გვასალია სასამართლომ შენობის ჩამონგრევასა და ორი ადამიანის სიკვდილში დამნაშავედ ცნო.

18 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში „ვარსკვლავების აკადემიის“ შენობის ნგრევასთან დაკავშირებული რიგით მეორე და უკანასკნელ პროცესზე ბრალდებული დავით გვასალია სასამართლომ, საპროცესო გარიგების საფუძველზე, დარბაზიდანვე გაათავისუფლა. პროკურორმა აპოლონ დანელიამ და ადვოკატმა გიორგი ყავლაშვილმა შეთანხმება ამავე სხდომაზე, შესვენებისას გააფორმეს. მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და დავით გვასალია

მოძიება არ დაინტერესებულა თბილისის არქიტექტურის სამსახურის ოფიციალური წერილით. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ შენობის რეკონსტრუქციის ნებართვა არც ნაგებობის მფლობელ „რუსთავი 2“-ს და არც მის მიერ დაქირავებულ „არტ-იქს“ ჰქონდა.

სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნით, „პირველ სართულზე განივი სიხისტის აგურის საყრდენი კედელი (დიაფრაგმა) დაშლილია და მის საკომპენსაციოდ გამაგრებითი სამუშაოები“ ჩატარებული, რასაც ბრალდებული დავით გვასალია ხელმძღვანელობდა. იგი ამას თავის პირველ და მეორე ჩვენებაშიც ადასტურებს: „ჩვენ დემონტაჟი გავუკეთეთ პირველ სართულზე არსებულ ყველა ტიხარს და მეექვსე რიგში არსებულ დიაფრაგმას, რის საინაცვლოდაც, ჩავატარეთ გამაგრებითი სამუშაოები“. იქვე ის განმარტავს, რომ მისი მოვალეობა მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების ორგანიზება და იმ ნახაზის მიხედვით ხელმძღვანელობა იყო, რომელიც მას „არტ-იქსის“ არქიტექტორ-დიზაინერმა ხათუნა ბერიძემ მისცა. გვასალია ჩვენებაში წერდა, რომ ამ ნახაზისთვის არ გადაუხვევია. აგურის საყრდენი კედლის (დიაფრაგმის) მოხსნა კი სწორედ ამ ნახაზზე იყო მითითებული.

„არტ-იქსის“ არქიტექტორი ხათუნა ბერიძე თავის ჩვენებაში ადასტურებს, რომ მშენებლობის პროექტის მიხედვით წარმართვაზე პასუხისმგებელი თავად იყო: „თვალყურს ვადევნებდი არქიტექტურულ მხარეს, თუ რამდენად პროექტის მიხედვით მიმდინარეობდა სარემონტო პროცესი. ტიხრების გარდა, ჩვენ მოვხსენით კედელი, რომელიც იყო აგურის წყობის და, „თბილზნიევის“ მიერ მოწოდებული კვლევის მიხედვით, ასრულებდა სიხისტის დიაგრამას“. თუმცა ბერიძე აღნიშნულ სამშენებლო სამუშაოებს სარემონტო სამუშაოებად მოიხსენიებს, და არა რეკონსტრუქციად.

დამოუკიდებელი ექსპერტი, კონსტრუქტორი თემურ ლაზარიაშვილი სარეკონსტრუქციო ნახაზის მხოლოდ მეორე სართულის გვერდის მიხედვითაც ასკვნის, რომ შენობაში რეკონსტრუქცია იყო დაგეგმილი და არა რემონტი: „მეორე სართულზე მითითებულია ყრუ საყრდენი კედლის საფუძვლიანად გადაკეთება და ათამდე ლიობის გაკეთება. ეს ისეთი დონის გადაკეთებებია, რაც აუცილებლად არის რეკონსტრუქციული. ეს აუცილებლად საჭიროებდა

კონსტრუქციული ნაწილის დამუშავებას და მეთოდის შერჩევას, ზემო სამი სართულის დანოლის გათვალისწინებით. როგორც კი შენობის მზიდ ნაწილს ვეხებით, ეს რეკონსტრუქციაა, აქ ხომ ფასადის გალამაზებაზე არაა საუბარი. ამ პროექტს ყველა შემთხვევაში სჭირდება ნებართვა“, – განმარტავს ლაზარიაშვილი.

კომპანია „არტ-იქს“ ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალეული ქმედება – უკანონო სამენარმეო საქმიანობა რეგისტრაციის ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე, რამაც დიდი ზიანი გამოიწვია. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ტელეკომპანიამ სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა პროექტის მონაწილეები და ტექპერსონალი, რაც სისხლის სამართლის დანაშაულებრივი ქმედებაა“, – აცხადებს გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატი მერაბ ჩიქოვანი. ის, რომ „არტ-იქსის“ და ტელეკომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი არც წინასწარმა გამოძიებამ და არც სასამართლომ არ დააყენა, გელაშვილის ოჯახს აფიქრებინებს, რომ საქმე არაობიექტურად განზრახ წარიმართა.

დალუპულის დედა ნუცა გელაშვილი ამას „არტ-იქსის“ და „რუსთავი 2“-ის მფლობელების გავლენით ხსნის. საქმე ისაა, რომ სამშენებლო კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორი დავით კეზერაშვილის მეუღლე, სოფო ჩიქოვანი და გიგა ბოკერიას ცოლის და, რუსუდან ჩერგოლიშვილი არიან. გელაშვილის ოჯახი ფიქრობს, რომ გამოძიებაც და სასამართლოც ამ მაღალჩინოსნების ზენოლის ქვეშ წარიმართა. „მათი სახელების ხმაამალა ხსენება არ მინდოდა, იმიტომ რომ სასამართლოს იმედი მქონდა. ფიგურირებს ეს გვარები და ვიცი, ვისაც ვებრძვი და ვის წინააღმდეგაც ვარ. მაგრამ არ შეიძლება ორი ადამიანის მკვლელობა ასე მარტივად ჩაიფარცხოს“, – აცხადებს ნუცა გელაშვილი.

დაზარალებული ოჯახის ადვოკატები მერაბ ჩიქოვანი და გაგი მოსაშვილი უბედური შემთხვევის თავიდან გამოძიების მოთხოვნის სარჩელს უზენაეს სასამართლოში შესატანად ამზადებენ. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საპროცესო ხელშეკრულების აპელაცია შეუძლებელია. ოჯახს უფლება აქვს, მხოლოდ ხელახალი, ამჯერად სამოქალაქო სარჩელი აღძრას და მოპასუხე მხარეებს მორალური ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს.

ჩიხში შესული მოლაპარაკებები

ქართულ-ოსური მოლაპარაკებები

ისევ ჩაიშალა. ოსური მხარე

შვიდი დაკარგულის შესახებ

ინფორმაციას მოითხოვს. ვერც

ცხინვალის იზოლატორში

დაკავებული ქართველი მოზარდების

გათავისუფლება ხერხდება.

წინო ბექიშვილი



დაკავებული მოზარდები, 2009

ოსმა სამართალდამცველებმა ცხინვალის-ხეთის გზაზე დაკავებულ ოთხ ქართველ მოზარდს – გიორგი რომელიაშვილს, ალექო ცაბაძეს, ვიქტორ ბუჩუკურს და ლევან ხშიადაშვილს დაკავებულად ათ დღეში საბრძოლო მასალებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების უკანონოდ შენახვა წაუყენეს ბრალად და აღმკვეთ ღონისძიებად ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. მოზარდები იზოლატორში კიდევ ერთ თვესა და 20 დღეს გაატარებენ. მოხერხდება თუ არა ამ ვადის შემდეგ მათი გათავისუფლება, ისევ უცნობია.

ერგენეთში 19 ნოემბერს დაგეგმილი ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის მორიგი შეხვედრა ჩაიშალა. სწორედ ამ შეხვედრაზე უნდა განეხილათ ოთხი ქართველი მოზარდის დაბრუნების საკითხი. ოსური მხარის წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, რომ ვიდრე დაკარგული ოსი მოქალაქეების ბედი არ

გაირკვევა, ისინი შეხვედრაში მონაწილეობას არ მიიღებენ.

ოსური მხარე ლაპარაკობს შეიდ უგზო-უკვლოდ დაკარგულ მოქალაქეზე, რომლებიც თითქოს საქართველოში ჰყავთ დაკავებული და ქართველები ინფორმაციას მალავენ. ოსები ამბობენ, რომ ადამიანების ორი ჯგუფია დაკარგული. 2008 წლის აგვისტოში დაიკარგა ოთხი პირი: მიაბრეკ თედევეი, თამაზ კაბესოვი, დიმიტრი გაგლოვეი და რადიკ იკაევი. ამ ოთხთან ერთად დააკავეს თენგიზ ბაკაევი, რომელიც შემდეგ გაუშვეს, სწორედ მან მიანდა ოსურ მხარეს ინფორმაცია დაკარგულების შესახებ.

ისინი ომის დროს ერთად იყვნენ ტყვედ. ოსები ამბობენ, რომ აქვთ ვიდეომასალა, სადაც რადიკ იკაევის დაპატიმრება ჩანს. მეორე ჯგუფში სამი კაცია: ალან ხაჩიროვი, ალან ხუგაევი და სოლტან პლიევი. ისინი 2008 წლის 13 ოქტომბერს დაიკარგნენ. ოსური მხარის მტკიცებით, მათ 2009 წლის აპრილში ხელში ჩაუვარდათ ვიდეომასალა, სადაც მათი დაკითხვაა გადაღებული და აშკარად ჩანს, რომ დაკითხვას ქართველი სპეცსამსახურების წარმომადგენლები ატარებენ. ქართული მხარე თავიდანვე უარყოფდა მათი დაკავების ფაქტს.

დაკარგული ოსი მოქალაქეების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას ოსური მხარე ყენევის მოლაპარაკებების ფორმატშიც ცდილობდა, მაგრამ – უშედეგოდ. „ოსები ამტკიცებენ, რომ ეს პირები საქართველოში არიან, ქართველები ამბობენ, – ჩვენ არაფერი ვიცითო. ამ შვიდი კაცის შესახებ მოითხოვენ ისინი დინამიკას და ამის შემდეგ მზად არიან, ითანამშრომლონ ქართველებთან. ვინაა მართალი, წამდვილად არ ვიცი“, – აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.

რადიო „თავისუფლების“ გამოცემა „ეხო კავკაზა“ წერს, რომ 2008 წლის ოქტომბერში დაკარგული სამი ოსი მოქალაქის იბრაჰიმ ლალიევის, ლავრენტი კაზიევის და ვლადიმირ ელოევის ადგილსამყოფელის შესახებ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ოჯახებმა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიმართეს. ამა წლის 23 ოქტომბერს საქართველოს ხელისუფლებამ სტრასბურგის სასამართლოს უპასუხა, რომ დაკავებული მართლაც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან. ისინი იზოლაციაში არ ჰყავთ, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ არიან, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და მათთან რეგულარულად შედის საერთაშორისო წითელი ჯვარი. „მათი უსაფრთხოდ დაბრუნება სამხრეთ

ოსეთის ხელისუფლებისთვის ჯერჯერობით არ ხერხდება“, – განაცხადა შოთა უტიამიელი.

2009 წლის 16 ნოემბერს საქართველოს მთავრობამაც მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თხოვნით, სასამართლოს მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს დაკარგული დროებითი ლონისძიების კონტექსტში, „მოსთხოვოს რუსეთის ფედერაციას, აღკვეთოს ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევები და დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს 4 ნოემბერს უკანონოდ დაკავებული არასრულწლოვანები“.

„სასამართლოს კონვენციით მინიჭებული აქვს უფლება, რომ მოითხოვოს შუალედური ზომების გატარება, არ ვიცი, რამდენად მიიღებს სასამართლო დასაშვებად ამ მოთხოვნას, მაგრამ ამის შესაძლებლობა და პრაქტიკა წამდვილად არსებობს“, – ამბობს საქართველოს სახალხო დამცველი გიორგი ტულუში. საერთაშორისო ზენოლამ, რომელიც ამჟამად რუსეთზე ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მიერ ხორციელდება, ჯერჯერობით შედეგი ვარ გამოიღო.

ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ცხინვალის იზოლაციაში ქართველ მოზარდებთან შედის და მონიტორინგს ახორციელებს, საერთაშორისო წითელი ჯვარია. მათ მოახერხეს ბავშვების წერილები მშობლებისთვის ჩამოეტანათ. წითელ ჯვართან აქტიური კონტაქტი აქვს გიორგი ტულუშს, რომელმაც მოზარდების მშობლები მოინახულა და მათგან მიიღო ინფორმაცია არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ორ მათგანს მართლაც აქვს ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები. წითელი ჯვრის მეშვეობით მოხერხდა იზოლაციაში ექიმების შეყვანაც.

„მთავარი მაინც ის არის, რომ ვიცით, სად არიან ეს ბავშვები. სამართლებრივი ბერკეტებით მოქმედება ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, უადგილოა. ჩვენ შეხება არა გვაქვს სახელმწიფოსთან. გატაცებულია ოთხი არასრულწლოვანი, ისინი უკანონოდ არიან ცხინვალში“, – აცხადებს საქართველოს სახალხო დამცველი.

პაატა ზაქარეიშვილი კი თვლის, რომ კარგი იქნება, თუ საქართველო ევროკავშირის საერთაშორისო კომისიის შექმნას სთხოვს, რომელიც ორივე მხარის დაკარგული, გატაცებული და დაკავებული ადამიანების შესახებ მოიპოვებს ინფორმაციას და მხარეებს მათ დაბრუნებაში დაეხმარება. ჯერჯერობით კი ფაქტია, რომ ოსურ მხარესთან ყველანაირი მოლაპარაკება ჩიხშია შესული.

ალეივის „სინდისის პატიმრები“

ადამიანის უფლებათა დამცველები აცხადებენ, რომ აზერბაიჯანს კიდევ ორი პოლიტიკური პატიმარი დაემატა.



დაპატიმრებული აზერბაიჯანელი ბლოგერი, 2009

11 ნოემბერს დასრულდა პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესი ახალგაზრდა აქტივისტების ემინ მილლის და ადნან გაჯიზადეს საქმეზე. ხულიგნობის მუხლით გასამართლებულ ადნანს და ემინს 2 და 2,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ოფიციალური ვერსიით, ახალგაზრდები ბაქოს ერთ-ერთ კაფეში შელაპარაკების შემდეგ უცნობი მამაკაცის ცემისთვის დააკავეს. არაოფიციალური ვერსიით კი, ისინი დღეს პასუხს აგებენ თავიანთი საზოგადოებრივი საქმიანობისა და „იუთუბზე“ განთავსებული სატირული ვიდეორგოლებისთვის.

განაჩენის გამოცხადებამდე სიტყვის თქმის უფლება განსაჯელებსაც მისცეს.

„გუშინ ახალგაზრდობის დღე იყო. ეს განაჩენი კარგი საჩუქარია ჩვენთვის ამ დღის აღსანიშნავად. ემინ მილლის დაპატიმრებაში შეიძლება დაანგრიოს მისი ოჯახი. მისი მეუღლე ახლა აშშ-ს უნივერსიტეტში დოქტორანტურაში სწავლობს. ემინს ასაკოვანი მშობლები ჰყავს სარჩენი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ეს გარემოება და განათავისუფლოთ ემინ მილლი“, – განაცხადა სასამართლოზე ადნან გაჯიზადემ.

„მე მზად ვარ, გავნო ყველანაირი სასჯელი იმ იდეებისთვის, რომლებსაც მჯერა და მწამს“, – ასეთი იყო ემინ მილლის სიტყვა.

ინციდენტი, რომლის შემდეგაც ახალ-

გაზრდა ბლოგერები დააკავეს, ბაქოს ცენტრში, ლიბანურ რესტორანში მოხდა. როცა მეგობრები მაგიდასთან ისხდნენ და პოლიტიკაზე საუბრობდნენ, მათ ორი სპორტული აღნაგობის ახალგაზრდა მიუახლოვდა. დაუპატიჟებლმა სტუმრებმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მაგიდასთან მსხდომებს, შემდეგ ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. იმ დღესვე ბლოგერებმა მომხდარის შესახებ პოლიციაში განცხადება დაწერეს, თუმცა მათ მიერ დაწერილი განცხადება საქმიდან უკვალოდ გაქრა და მის ნაცვლად ზემოთ ხსენებული „სპორტსმენების“ საჩივარი გაჩნდა.

აზერბაიჯანში ეჭვი არავის ეპარება, რომ ახალგაზრდები დაკავება მათ საზოგადოებრივ აქტივობას უკავშირდება.

30 წლის ემინ მილი ცნობილია როგორც აქტიური ბლოგერი, ახალგაზრდული ქსელის Alumni Network-ის ხელმძღვანელი და ინტერნეტ-ტელევიზია ANTV-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 26 წლის ადნან გაჯიზადე ახალგაზრდული მოძრაობა „ოლ“-ის ლიდერი და ცნობილი აზერბაიჯანელი პოლიტოლოგის პიკმეტ გაჯიზადეს ვაჟია.

ვიდეო, რომელმაც ადამიანის უფლებათა დამცველთა აზრით, აზერბაიჯანის ხელისუფლების რისხვა გამოიწვია, ინტერნეტში ბლოგერების დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე დაიდო. სიუჟეტის მიხედვით, ადამიანი, რომელიც ვირს განასახიერებს, პრესკონფერენციას მართავს. ის ჰყვება, რომ ცოტა ხნის წინ ჩამოვიდა გერმანიიდან და ჟურნალისტებს აზერბაიჯანზე შთაბეჭდილებებს უზიარებს. „ვირი“ დიდი ენთუზიაზმით ჰყვება, თუ რა პატივი არიან მისი ნათესავები აზერბაიჯანში, რომ ამ ქვეყანაში „ვირებისთვის“ წარმოუდგენელი პერსპექტივები იშლება.

ეს ვიდეო საკმაოდ გამჭვირვალე მინიშნება იყო იმ ისტორიაზე, რომელიც აზერბაიჯანში ძვირადღირებული ვირების შემოყვანას ეხება. 2008 წელს ქვეყანაში 34 ჯიშის ვირი ჩამოიყვანეს, რომელთა ღირებულება 180 ათასი დოლარი იყო.

ბლოგერების დაკავებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მათ დასაცავად გამოვიდნენ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები. მათ დასაცავად გამოვიდა აშშ-ს საელჩო აზერბაიჯანში, ასევე ეუთო და ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“. „ამნესტი ინტერნეიშნლ“-მა კი ემინ მილის და ადნან გაჯიზადეს „სინდისის პატიმრები“ უწოდა.

ერთი სერვისის ორი გადასახადი

პარკირების ოფიციალური გადასახადის – 25 ლარის დაფარვა საკმარისი არ არის. თბილისში ავტომობილის გაჩერების საფასურს სადგომების არაოფიციალური მეთვალყურეები მაინც ითხოვენ.

ნათია ახალაშვილი

თბილისში დაახლოებით 1000 ადამიანი ყოველ დღით გადის სახლიდან, დღის განმავლობაში რომელიმე ქუჩის ერთ კონკრეტულ მონაკვეთზე დგას და დღეში დაახლოებით 20 ლარს შოულობს. ოფიციალურად ისინი უმუშევრები არიან, თუმცა ბევრს სპეცტანსაცემელიც აცვია და ყოველდღე ერთსა და იმავე ქუჩაზე შრომობს. მათი საქმიანობა, ზოგისთვის უკვე ბოლო 15 წელია, მძღოლებისთვის პარკირებაში დახმარება და მათი მანქანებისთვის თვალყურის დევნებაა.

ეგრეთ ნოდებულმა „სტაიანშიკებმა“ ოფიციალური სამსახური მას შემდეგ დაკარგეს, რაც თბილისის მერიამ თბილისში ერთიანი პარკირების სისტემის შექმნა გადაწყვიტა. მანამდე ქალაქში პარკირების პროცესს 5 კომპანია მართავდა, რომლებსაც 1000-მდე დაქირავებული მუშაკი ჰყავდა და ანგარიშვალდებული იყო ქალაქის მერიასთან. თუმცა, დედაქალაქის ადმინისტრაციას ყოველთვის ჰქონდა ამ კომპანიებიდან თანხების ამოღების პრობლემა.

2007 წელს აუქციონი გამოცხადდა და მასში ებრაულმა კონსორციუმმა გაიმარჯვა. კონსორციუმის მიერ დაარსებულმა კომპანია „სითი პარკმა“ ოპერირება 2009 წლის ზაფხულიდან დაიწყო, თუმცა გადახდის მოუხერხებელი ფორმების შემოღების გამო, მალე ავტომფლობელების უკმაყოფილება გამოიწვია. ამ დროს პარკირების სისტემის მართვაში პირადად ქალაქის მერი ჩაერთო. გიგი უგულავამ კომპანია „სითი პარკი“ გააკრიტიკა და თავად დაანესა წლიური გადასახადი – 25 ლარი, რომლის დაფარვის შემთხვევაშიც, ავტომობილის გაჩერება მფლობელს პარკირების ნებისმიერ ადგილას ნებისმიერი დროით შეეძლო. ცვლილებები საკრებულომაც დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ გაქრა „სტაიანშიკების“ დამქირავებელი კომპანიები, ის ადამიანები, რომლებიც ქუჩაში დგომით და მანქანების ყარაულობით შოულობდნენ ფულს, ოფიციალური გადასახადის შე-

მოღების შემდეგაც არსად წასულან.

სადგომის მეთვალყურეები ამბობენ, რომ მათთვის ძველი სამუშაო ადგილების შენარჩუნების უფლება ოფიციალურად არავის მიუცია, თუმცა არც ის უთქვამთ, რომ მძღოლებისგან ფულს უკანონოდ ითხოვენ.

„დევნილი ვარ და რაც სოხუმიდან ჩამოვედი, მას შემდეგ ამ ადგილას ვდგავარ ყოველ დღე. ჯერჯერობით აქ დგომას არავინ გვიშლის. ჩვენი საქმე გვაქვს – მძღოლებს ვეხმარებით, თუ ვინმე რამეს მომცემს, მაღლობს ვეცხვი, თუ არა, რას ვიზამ“, – ამბობს ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდგომი არჩილი.

სერვისი ინდივიდუალურია: ზოგი მეთვალყურე, მთელი დღით მანქანის ერთ ადგილას გაჩერების საფასურად, გარკვეულ თანხას ითხოვს, ზოგი იმაზეც თანახმაა, რასაც მძღოლები კეთილი ნებით გაიღებენ. არის ახალი პრაქტიკაც – მეთვალყურე მხოლოდ იმ მძღოლს ეხმარება, რომელიც მანქანის გაყვანის შემდეგ ფულის გადახდას დაჰპირდება. „მე ჩემ საქმეს ვაკეთებ და ამაში ვითხოვ გასამრჯელოს. წინასწარ ვეკითხები, – აპირებენ თუ არა გადახდას. თუ – არა, მაშინ მეც არ დავეხმარები, რატომღა შევწუხდები?“ – ამბობს „სტაიანშიკი“ ლეონიძის ქუჩიდან. არის ასეთი შემთავაზებაც – თუ პარკირების 25 ლარი გადახდილი არ გაქვს, სადგომის მეთვალყურე ისეთ ადგილს მიგასწავლის, სადაც „სითი პარკის“ ინსპექტორი ვერ დაგაჯარიმებს.

მერიამ ამბობენ, რომ თუ „სტაიანშიკები“ ვინმეს ფულს სთხოვენ, ეს მათ არ ეხებათ და ასეთ შემთხვევაში ავტომფლობელებს ურჩევენ, სამართალდამცავ ორგანოებს მიმართონ. ამ საკითხის დარეგულირებას მერია არ ჩქარობს, მაგრამ „სტაიანშიკებმა“ იციან, რომ ეს მალე მოხდება. ისინი ფიქრობენ, რომ პირობები მათთვის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ გამკაცრდება და შიშით ელიან მომავალი წლის მათს.



მომხრე
ნინო დანელია
მედიაშეკვლევარი

რამდენიმე დღეში გაირკვევა, არსებობს თუ არა პოლიტიკური ნება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი პოლიტიკური გავლენისგან გათავისუფლდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაირკვევა, შეუძლიათ თუ არა საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებს საკუთარ კერძო პარტიულ ინტერესებზე უარის თქმა და კანონის უზენაესობის პატივისცემა. სულ ცოტა ხანში საქართველოს პრეზიდენტი ნარადაგენს და პარლამენტი დაამტკიცებს სამეურვეო საბჭოს შვიდ ახალ წევრს.

ამჟამად ვითარება ასეთია: არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი მხარს უჭერს „მედია კლუბის“ ინიციატივას, რომ საპარლამენტო პოლიტიკურმა პარტიებმა უარი თქვან პოლიტიკურ კვებებზე და სამოქალაქო საზოგადოებას დაუთმონ ასპარეზი. ეს იქნება პირველი მცირე ნაბიჯი მაუწყებლის სრული დეპოლიტიზაციისაკენ.

არხის პოლიტიკური გავლენისაგან გათავისუფლებას ბევრი სკეპტიკოსი ჰყავს. ნაწილი მიიჩნევს, რომ საბჭოს წევრების შერჩევის ერთადერთი სწორი მექანიზმი ხალხისგან არჩეული ხელისუფლების მიერ მათი შერჩევაა. ბევრი სვამს კითხვას, თუკი საქართველოს პრეზიდენტი ფილტრავს კანდიდატთა სიას და პარლამენტის წევრები საბჭოს წევრებს ამტკიცებენ, როგორ შეიძლება ეს პროცესი თავისუფალი იყოს პოლიტიკური გავლენისგან.

შევეცდები, მოვიყვანო ის არგუმენტები, რაც მაფიქრებინებს, რომ არხის დეპოლიტიზაცია არა მხოლოდ სასურველი და აუცილებელია, არამედ საესებით შესაძლებელიც.

არხის დეპოლიტიზაცია შესაძლებელია იმიტომ, რომ კანონი მაუწყებლობის შესახებ პირდაპირ ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს, იყოს თავისუფალი პოლიტიკური გავლენისაგან. მაუწყებლობის შესახებ კანონის მე-15 მუხლში ძალიან მკაფიოდ წერია, რა სამართლებრივ საფუძველზე შეიქმნა საზოგადოებრივი მაუწყებელი: „**პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების საზოგადოებისათვის მიწოდების მიზნით**, ეს კანონი აფუძნებს ერთ საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილი, **საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის ორგანიზაციის პირი, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას**“. ამავე კანონის მე-16 მუხლში წერია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; **სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება**.

არხის დეპოლიტიზაცია შესაძლებელია, თუკი აღდგება მაუწყებლის დაფინანსების ის საკანონმდებლო მუხლი, რომლის მიხედვითაც, მაუწყებლის ბიუჯეტი შიდა ეროვნული პროდუქტის 0.15%-ით უნდა განისაზღვროს. უახლოეს დღეებში სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტში სწორედ ამ საკანონმდებლო ინიციატივით შევა. ამას ითხოვს საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოც და მედიის სფეროთი დაინტერესებული სამოქალაქო საზოგადოების ნაწილიც. საჯარაუდოა, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდება, რაც მაუწყებელს სახელმწიფო დაფინანსებისაგან დამოუკიდებელს გახდის და მასზე ფინანსური ზეწოლის შესაძლებლობას შეასუსტებს.

არასწორია არგუმენტი, რომ საბოლოოდ მაინც პარლამენტი ირჩევს სამეურვეო საბჭოს, რაც სწორედაც საბჭოზე პოლიტიკურ გავლენას ნიშნავს. საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ბი-ბი-სი. მისი საბჭოს წევრობის კანდიდატებთან გასაუბრებას



ფოტო: მარიამ ყურაშვილი

რეალურია თუ არა მაუწყებლის და

ატარებს კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტის საჯარო მოხელე, რომელიც თავმჯდომარეობს შესარჩევ კომისიას. კომისიაში შედიან დამოუკიდებელი ექსპერტი და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე. კომისიის რეკომენდაციები მიდის ჯერ კულტურის, მედიისა და სპორტის სახელმწიფო მდივანთან, შემდეგ პრემიერ-მინისტრთან და შემდეგ დედოფალთან. სწორედ კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებითა და ღია, გამჭვირვალე შესარჩევი პროცესის შედეგად დედოფალი ნიშნავს საბჭოს 12 წევრს. მოუხედავად იმისა, რომ შესარჩევ პროცესში დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოხელეები და დედოფალი იღებენ მონაწილეობას, პროცესი არაპოლიტიკურია და ბი-ბი-სი ბოლომდე ასრულებს საკუთარი რეგულაციის უმნიშვნელოვანეს პუნქტს: მაუწყებელი დამოუკიდებელია მთავრობისგან და ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესს.

გეთანხმებით, რომ დიდი ბრიტანეთი, მისი პოლიტიკური თუ მედია კულტურა განსხვავდება საქართველოსგან, მაგრამ ოდესღაც ჩვენც უნდა დავინყოთ ამ მიმართულებით სიარული, რომ მუდმივად არ ვიყოთ განვითარებადი დემოკრატიების რიცხვში.

კარგი იქნება, თუკი სამოქალაქო საზოგადოება დაიწყებს დისკუსიას საბჭოს წევრების შერჩევის სხვა მოდელზეც. ერთ-ერთი ასეთი მოდელი შეიძლება იყოს სამოქალაქო საზოგადოების შეთანხმების შედეგად დაკომპლექტებული კომისია, რომელიც შემდეგ თავად შეარჩევს საბჭოს წევრებს; ასევე, შეიძლება სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფებმა დაასახელონ კანდიდატები და გამჭვირვალე საჯარო დისკუსიების შედეგად სამოქალაქო საზოგადოებამ შეარჩიოს საბჭოს წევრები, დაასაბუთოს, რის საფუძველზე შეარჩია ისინი და სია და რეკომენდაციები პარლამენტს წარუდგინოს დასამტკიცებლად. შესაძლოა ბევრი სხვა მოდელის მოფიქრებაც. მთავარია ფიქრი დავინყოთ და გადავწყვიტოთ, რომ ჩვენ ყველას გვინდა პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი, პროფესიული და მალალხარისხიანი საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელსაც თითოეული ჩვენგანი აფინანსებს. **■**



საზოგადოებრივი პოლიტიზაცია?



მონინალმდევე
დავით ზურაბიშვილი
რესპუბლიკური პარტია

კითხვა, „რეალურია თუ არა, საზოგადოებრივი მაუწყებელი იყოს დეპოლიტიზირებული“, ფაქტობრივად რიტორიკულია.

საქართველო რომ ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო იყოს, ან თუნდაც მისი განვითარების ვექტორი იყოს აქეთკენ მიმართული, მაშინ კიდევ შეიძლება იმაზე ვამატი, თუ რა დოზით უნდა შექდებოდეს ამ ტელეარხზე უმცირესობების პრობლემები, რა თემატიკა უნდა იყოს პრიორიტეტული და საერთოდ არის თუ არა პოლიტიკის ადგილი საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ იმ რეალობაში, სადაც ნაციონალური მასშტაბის ტელევიზიები მთლიანად დაკავებული არიან ხელისუფლების პროპაგანდით. ეს არ მომხდარა თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, ეს არის ხელისუფლების შეგნებული და მიზანმიმართული პოლიტიკა. ამიტომ რაზედაც უნდა იყოს ლაპარაკი, რეალურად განხეთქილების ვაშლის როლში გამოდის საინფორმაციო პროგრამები. სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია. ვიდრე ხელისუფლება უარს არ იტყვის ინფორმაციის მონოპოლიაზე, ნებისმიერი საკითხი, რაც კი საზოგადოებრივ მაუწყებელს შეეხება, მათი მხრიდან განხილული იქნება მხოლოდ ერთი თვალთახედვით: შეიცავს თუ არა ესა თუ ის ინიციატივა ხელისუფლებისთვის არასასურველი ინფორმაციის გადაცემის თუნდაც პოტენციურ საფრთხეს.

აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას არ დააკმაყოფილებს არც ერთი ვარიანტი, რაც კი ინფორმაციაზე მის მონოპოლიას

დამუქრება. „მედია კლუბის“ ინიციატივაც, რომელიც გარკვეულწილად კომპრომისული ვარიანტია და მხოლოდ პერსონალურ ცვლილებებს ითვალისწინებს, სწორედ ამ კონტექსტში განიხილება.

არადა, ცოტა არ იყოს სახალისოც კია იმის ყურება, როგორ ცდილობენ ხელისუფლების ადებტები ინფორმაციაზე მონოპოლიის გამართლებას რაღაც ფსევდოინტელექტუალური არგუმენტებით: წერენ სტატიებს, იხსენებენ სალივანის, ალტმარკის თუ ლობეგლეჯიაშვილის საქმეებს, პარალელურს ავლებენ C-Span-თან და BBC-თან. მოკლედ, ისე უჭირავთ თავი, თითქოს წინასწარ არ ჰქონდეთ დასკვნა გამოტანილი და მართლა პრობლემის გადანყევებაზე მსჯელობდნენ.

რა თქმა უნდა, შესაბამისი პოლიტიკური ნების შემთხვევაში, არანაირი პრობლემა არ იქნებოდა დეპოლიტიზაციის ადეკვატური მექანიზმის შემუშავება, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ასეთი ნება არ არსებობს. „მედია კლუბის“ ინიციატივასაც ხელისუფლება მეტ-ნაკლებად მშვიდად ხვდება, რადგან აქ დამაბრკოლებელ ფაქტორად საპარლამენტო ოპოზიცია გამოდის – სწორედ ისინი არ თმობენ თავიანთ არაოფიციალურ კვლევას მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს არჩევნების ჩანყობილ თამაშში.

არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ხელისუფლების მოთხოვნით ხდება, მაგრამ ფორმალურად ხელისუფლება არაფერ შუაშია. ამიტომ ამ ვითარებაში მას დასავლეთთანაც ვერ „ჩაუშვებ“, პირიქით, მთელ დისკუსიას ის დემოკრატიული პროცესის შემადგენელ ნაწილად გასაღებს და აქეთ შეიძლება დაინეროს ქულები. საზოგადოებრივი მაუწყებელი კი დარჩება ისეთი, როგორიც არის.

თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის პრობლემა არ გადავა საზოგადოებისა და ხელისუფლების დაპირისპირების სიბრტყეში, ეს საკითხი მკვდარი ნერტილიდან არ დაიძრება. ერთადერთი გზა, რამაც შეიძლება აიძულოს ხელისუფლება დათმობაზე წავიდეს, არის სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური ოპოზიციისა და დასავლეთის (როგორც ცალკეული სახელმწიფოების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების) ერთობლივი წნეხი.

უალრესად მნიშვნელოვანია იმის დაფიქსირება, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში ცვლილებებს სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების ფართო სპექტრი ითხოვს.

მაგრამ ამისთვის ერთი პატარა ბარიერის გადალახვა საჭირო: სამოქალაქო საზოგადოების წიაღში უნდა დაიდლოს ის კომპლექსი, რომ მათ ოპოზიციასთან გააიგივებინ. სახელისუფლო პროპაგანდა, რა თქმა უნდა, ასეც მოიქცევა, თუმცა, ვისაც რეალური შედეგის მიღწევა სურს, მას ნაკლებად უნდა აინტერესებდეს, რას დანერს ამაზე ნოდარ ლადარია, თუ ყველაფერი ღიად, საჯაროდ და კონკრეტული მოთხოვნების საფუძველზე გაკეთდება, ოპოზიციასთან იდენტიფიცირების „შავი პიარი“ აზრს დაკარგავს. დიდი და მძერი ერთობა აქ ნამდვილად არაა აუცილებელი. ყველა ინიციატივა, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოებრივ მაუწყებელზე სახელისუფლო კონტროლის შესუსტებისკენ, პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდან ავტომატურად იქნება მხარდაჭერილი, მათ ხომ, საკუთარი ბორკილების გარდა, დასაკარგი არაფერი აქვთ.

პარადოქსია, მაგრამ დღეისათვის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამომავლო დეპოლიტიზაცია დიდწილად და მოკიდებული ამ თემის პოლიტიზაციაზე.

ეს არ არის გარანტია, მაგრამ არის შანსი. სხვა შემთხვევაში კი, შანსი არ არის, სამაგიეროდ არის გარანტია, რომ არაფერი შეიცვლება. ■

„აღიანსება“ 2013 წელს გამოიაროს“

იმის მიხედვით, თუ ვინ მიიღებს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას, გაირკვევა, ოპოზიცია ხელისუფლებას რეალურ კონკურენციას გაუწევს, თუ მხოლოდ არჩევნების ლეგიტიმაციაში დაეხმარება.

სოფო ჭაავა, დიანა ტრაპაიძე



ფოტო: თინათინ ბარამიძე/საინფორმაციო

■ საარჩევნო კოდექსის რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა NDI-ში, თბილისი, ნოემბერი 2009

საარჩევნო კოდექსის რეფორმაზე მომუშავე ჯგუფი 10 თვის შემდეგ მხოლოდ იმაზე შეთანხმდა, რომ ვერც ერთ პრინციპულ საკითხზე ვერ თანხმდება. 18 ნოემბერს, I-ის ოფისში მორიგი დისკუსიის შემდეგ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ ამ ფორმატით მუშაობის გაგრძელების აზრს ვეღარ ხედავს და მისი პარტია ჯგუფს ტოვებს.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ნაციონალური მოძრაობის განცხადება უფრო მუქარაა, ვიდრე გადამწყვეტილება. „ლიბერალთან“ საუბარში მმართველი პარტიის გენერალური მდივანი ზურაბ მელიქიშვილი ამბობს, რომ ასეთი მნიშ-

ვნელოვანი პროცესის ჩაშლის შესახებ ჯერ პარტიაში უნდა იმსჯელონ. მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა სამუშაო ჯგუფში მაინც დარჩება.

მმართველი პარტიის ბიუროკრატის მიზეზი და მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნების მთავარი სადავო საკითხია საარჩევნო ბარიერი. ოპოზიციის მხრიდან მერის ყველაზე ძლიერი კანდიდატის, ირაკლი ალასანიას „ალიანსი“ ხელი-სუფლებიდან მნიშვნელოვან დათმობას ითხოვს – „ალიანსი საქართველოსთვის“ 50%-იანი ბარიერის დაწესებას ემხრობა. „ალიანსი“ კოდექსზე მომუშავე ჯგუფს სექტემბრის ბოლოს შეუერთდა და მას შემდეგ მოლაპარაკებების პროცესში მათ

ხელსაყრელ საარჩევნო პირობებს მიაღწიონ.

ბარიერის პროცენტული მაჩვენებელი არჩევნებზე, შესაძლოა, გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდეს – რაც უფრო დაბალი იქნება ის, მით უფრო იზრდება მმართველი პარტიისთვის პირველივე ტურში გამარჯვების შანსი. ოპოზიციისთვის კი, იმის გამო, რომ დღემდე საერთო კანდიდატზე შეთანხმებას ვერ ახერხებენ, გამარჯვების ერთადერთი გზა მეორე ტურია. „ალიანსი საქართველოსთვის“ იმედოვნებს, რომ მეორე ტურში ოპოზიციიდან სწორედ მათი კანდიდატი – ირაკლი ალასანია გავა. ამ შემთხვევაში, ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეო-



ფოტო: თინო ბარჩხვაძე

■ ოპოზიციას ორი გზა რჩება – პრაიმერის ჩატარება და საერთო კანდიდატზე შეჯერება ან არჩევნების სრული ბიუჯეტი. ორივე გზა ყველა ოპოზიციური სუბიექტების თანხმობას მოითხოვს.

5 პროცენტი დათმეს. დასახელებული 45-ის საპასუხოდ, მმართველმა პარტიამ მკაფიოდ და არაერთხელ მიანიშნა, რომ მათი დათმობის მაქსიმუმი 30 პროცენტია. ნაციონალური მოძრაობა არ დაეთანხმა არც „ქრისტიან-დემოკრატების“ „კომპრომისულ“ ვარიანტს – ბარიერის ერთი მესამედით ანუ 33 პროცენტით განსაზღვრას.

30%-დან 40%-მდე განსაზღვრული ბარიერი, როგორც ჩანს, არც ერთ მხარეს არ აძლევს ხელს, რადგან ამ შემთხვევაში არც ერთს არ აქვს გამარჯვების გარანტია. ამიტომ ნაციონალური მოძრაობაც და „ალიანსიც“ ცდილობენ, მათთვის

ბის ხმების მის სასარგებლოდ გაერთიანების გარდა, არჩევნებში გამარჯვება ალასანიას არა მხოლოდ მერის პოსტს, არამედ სრულფასოვანი ლიდერის სტატუსს მოუტანს.

ეს კარგად იცინა მმართველ პარტიაში. „რაში სჭირდება მაღალი ლეგიტიმაცია კანალიზაციის, ლამპიონების, გაზის, გათბობისა და გზების პრობლემების გადაჭრას? ეს უნდა მხოლოდ ალასანიას, რადგან მას სჭირდება ოპოზიციის ლიდერის სტატუსი. ვურჩევ, საარჩევნო კალენდარს კარგად დააკვირდეს და 2013 წელს გამოიაროს“, – ამბობს მიხეილ მაჭავარიანი. ის საარჩევნო კოდექსის

რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის წევრი არ არის, თუმცა 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების მომზადებაში ბოლომდე ჩართულა.

„ლიბერალთან“ ინტერვიუში ირაკლი ალასანია ბარიერთან დაკავშირებით საკუთარ პრინციპულ პოზიციას ასე განმარტავს: „10%-ით ან თუნდაც 33 %-ით არჩეული მერი მაღალი ნდობის გარეშე რჩება და თბილისელების უმრავლესობას კვლავ ექნება განცდა, რომ დედაქალაქის თავი არ არის მათი რჩეული. ეს კიდევ უფრო გააღრმავებს უნდობლობას და პოლიტიკურ კრიზისს“.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ კოდექსზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრები გარძელებდა, ნაციონალური მოძრაობა ბარიერს, სავარაუდოდ, აღარ აწევს. ოპოზიციას ორი გზა რჩება – პრაიმერის ჩატარება და საერთო კანდიდატზე შეჯერება ან არჩევნების სრული ბოიკოტი. ორივე გზა ყველა, მათ შორის საპარლამენტო ოპოზიციური სუბიექტის თანხმობას მოითხოვს.

„ალიანსი საქართველოსთვის“ წევრი ზურაბ აბაშიძე ამბობს, რომ პრაიმერის

ჩატარებისას გადამწყვეტია პროცესში „მთავარი მოთამაშების – ქრისტიან-დემოკრატების, ეროვნული ფორუმისა და ლიბორისტების მონაწილეობა“. დასახელებული სამი პარტიიდან პრაიმერში ჩართვას არც ერთი არ აპირებს. ნათელაშვილის პარტია და გუბაზ სანიკიძე, ნინო ბურჯანაძის მსგავსად, არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ. „ქრისტიან-დემოკრატები“ კი მერის საკუთარ კანდიდატს პრაიმერის გვერდის ავლით წარადგენენ.

„თუ ჩვენ გვინდა გამარჯვება, უნდა გვყავდეს ერთი კანდიდატი“, – ამბობს კონსერვატორი კახა კუკავა. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ერთიანობა არ არის მიღწეული, მაინც მუშავდება პრაიმერის წესები და ცნობილია მონაწილეობის პირველ მსურველთა ვინაობაც – ზურაბ ნოლაიდელი, ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი და ლევან გაჩეჩილაძე.

ის, რომ ოპოზიციის ყველა წარმომადგენელს თვითმმართველობის არჩევნებზე საერთო მიზანი არ აქვს, კოდექსზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრებზეც გამოჩნდა. ჯგუფში შესული 11 პარტიიდან 10

ოპოზიციურია. ლოგიკურია, რომ ოპოზიციას ნებისმიერი საკითხი ადვილად უნდა გაეტანა ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ, რაც ასე არ მოხდა. ჯგუფი კოდექსის ცვლილებების ორ პროექტს განიხილავდა – ნაციონალური მოძრაობის და „ალიანსის“. 18 ნოემბრის სხდომაზე ორივე პროექტს კენჭი უყარეს. ნაციონალური მოძრაობის პროექტის წინააღმდეგ მხოლოდ „ალიანსის“ 3 პარტია გამოვიდა, სხვებმა კი მხარი მმართველი პარტიის ვარიანტს დაუჭირეს. იმის ნაცვლად, რომ ჯგუფში უმცირესობაში ხელისუფლება აღმოჩენილიყო, ოპოზიციამ „ალიანსი“ დატოვა თამაშგარე მდგომარეობაში.

ქრისტიან-დემოკრატი ლევან ვეფხვაძე, ჯგუფის მუშაობის ჩაშლაში ნაციონალური მოძრაობის ხისტ პოზიციას კი არ აკრიტიკებს, „ალიანსს“ ადანაშაულებს. ის ამბობს, რომ ალასანიას გუნდისგან უფრო მეტ მოქნილობას ელოდა, ახლა კი იმის გამო, რომ „ალიანსმა“ ბარიერის 30%-მდე დანევაზე კატეგორიული უარი თქვა, მთელი მუშაობა წყალში იყრება.

ვეფხვაძის თქმით, არის საშიშროება, ხელისუფლებამ ჯგუფში შეთანხმებულ ყველა საკითხს, მათ შორის – მერის პირდაპირი არჩევის წესსაც, იგნორირება გაუკეთოს და არჩევნები ძველი კოდექსის მიხედვით ჩაატაროს.

ვიცე-სპიკერი ვეფხვაძე საკანონმდებლო ინიციატივას ამზადებს და ჯგუფის მიერ უკვე შეთანხმებული პუნქტების დაკანონებას შეეცდება. ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლება მიაღწევს იმას, რაც სავარაუდოდ მისი დიდი ხნის გეგმა – საარჩევნო კოდექსში შევა ოპოზიციასთან შეთანხმებული ცვლილებები. თუმცა, ამ ცვლილებებს შორის არ იქნება 30%-ზე მაღალი ბარიერი. „ალიანსის“ წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე „ლიბერალთან“ საუბარში ამბობს, რომ ალასანიას გუნდი კომპრომისისთვის მზადაა, თუმცა საბარიერო მინიმუმის 40%-ზე ქვევით დანევის შემთხვევაში, ოპოზიციის არჩევნებში მონაწილეობა აზრს დაკარგავს.

ვიდრე საპარლამენტო ოპოზიციის და კოდექსზე მომუშავე ჯგუფის მონაწილე ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა მმართველ პარტიასთან ყველა დათმობაზე მიდის, არც „ალიანსს“ და არც დანარჩენ არასაპარლამენტო ოპოზიციას ხელისუფლებაზე ზენოლის მნიშვნელოვანი ბერკეტი არ აქვს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ალასანია ბოიკოტის გზას აირჩევს, თვითმმართველობის არჩევნებში ხელისუფლების კანდიდატი მარტო მაინც არ დარჩება. **■**

ექსკლუზიური კავანისი

თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის გამზირზე და კოსტავას ქუჩაზე 7 ახალი ბანერი გამოჩნდა. „დაპირებები სრულდება“ – ამ საერთო სახელწოდების ქვეშ პოსტერებზე ჩამოთვლილია: „საქართველო ჩანყოფის გარეშე“, „საქართველო კორუფციის გარეშე“ და „საქართველო აბაშიძის გარეშე“. ფოტოებზე კი ერთიანი ეროვნული გამოცდები, საპატრულო პოლიცია და ბათუმის თანამედროვე შენობებია ასახული.



საშიშროების მინისტრის განცხადებით, ბანერები

კომპანიის გაყიდვების მენეჯერის, გიორგი ასათიანის თქმით, ბანერები რამდენიმე თვეა, მზად არის, მაგრამ მხოლოდ ახლა დაკიდეს. მერიამი ამბობენ, რომ შეკვეთის შესახებ არაფერია იციან და ბანერები პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ დაფინანსებული ჰგონიათ.

სარეკლამო კომპანია „outdoor.ge“-ში ბანერების განთავსებისთვის გადა-

ხდილ თანხას არ ასახელებენ. ამავე ადგილებზე რეკლამის განთავსების მსურველ კერძო კომპანიებს კი ასე პასუხობენ: „რუსთაველზე გამორიცხულია. რაც არის გაკრული, ის უნდა იყოს. ჩვენ იმას ვერც ვხსნით და ვერც ვაქტივავთ. ამის ნებაც იმიტომ დაგვრთეს, რომ ეს ბანერები იყოს გაკრული, თორემ, როგორც წესი, რუსთაველზე და თავისუფლების მოედანზე არანაირი სარეკლამო ადგილი არ არსებობს“. ამ ბანერების განთავსებაში მერია, სავარაუდოდ, თვეში დაახლოებით 63,000 აშშ დოლარს დახარჯავს. ცენტრალურ უბნებში სარეკლამო ბანერის ერთი კვადრატული მეტრის ერთი თვით განთავსების საშუალო ფასი 35 აშშ დოლარია. ბანერების საერთო ფართობი დაახლოებით 1800 კვადრატული მეტრია.



ქრისტიან-დემოკრატების შეხვედრა, თბილისი, ნოემბერი 2009

ფოტო: თინათინ ზარმაზაშვილი

ქრისტიან-დემოკრატიული პარტია

კონსტრუქციული „დროება“

ქრისტიან-დემოკრატების გადაწყვეტილებები ხშირად ქმნის მმართველი გუნდისთვის სასარგებლო და არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის საზიანო პირობებს. გააზრებულია თუ შემთხვევითი ეს პოლიტიკა?

ანიტა თვაური

თბილისის მერის საარჩევნო ბარიერზე შესათანხმებლად NDI-ის ოფისში სახელისუფლებო, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთი შეკრების შემდეგ ტელეკომპანიები „რუსთავი 2“ და „პირველი არხი“ მოგვითხრობდნენ, რომ ხელისუფლება დათმობებზე წავიდა, „ალიანსი“ კი მოლაპარაკებების პროცესს აფერხებს. „ქრისტიან-დემოკრატების ინიციატივა ყველა ოპოზიციურმა პარტიამ მისაღებად ჩათვალა, გარდა ალასანიას გუნდისა... რატომ გაემიჯნა ალიანსი ოპოზიციას?“ – კითხვას სვამდა „პირველი არხი“.

შეხვედრა, სინამდვილეში, შეთანხმების გარეშე დასრულდა. ქრისტიან-დემოკრატების ინიციატივა კი მისაღები მხოლოდ საპარლამენტო ოპოზიციის და ხელისუფლებისთვის აღმოჩნდა. „ალიანსი საქართველოსთვის“, რომელიც ამ კომისიაში სულ 7 არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას ანუ ოპოზიციური სპექტრის ყველაზე დიდ ნაწილს წარმოადგენს, საკუთარ პოზიციაზე, და უმცირესობაში დარჩა.

არასაპარლამენტო, იგივე „რადიკალური“ ოპოზიციის უმნიშვნელო უმცირესობად და მარგინალუბად წარმოდგენა ხელისუფლებამ დიდი ხნის წინ

დაისახა მიზნად. ჯერ კიდევ 2007 წლის ნოემბრის აქციების დაწყებამდე ოპოზიციური სპექტრის სრული განდგომით შეშინებულმა მმართველმა გუნდმა თვითგადარჩენისათვის ახალი გეგმა შეიმუშავა. „ლიბერალის“ ერთ-ერთი წყაროს თქმით, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა „ვარდების რევოლუციაში“ და საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ადამიანია, მას ხელისუფლების სახელით შესთავაზეს შეექმნა ლიბერალური „ოპოზიციური“ პარტია, რომლის მიზანი იქნებოდა პარლამენტში მოხვედრა. ახალ პარტიას პარლამენტში და პოლიტიკურ პროცესებში კონსტრუქციული

ოპოზიციის როლი უნდა ეკისრა და ამით ხელისუფლებასთან ერთად ე.წ. რადიკალური ოპოზიცია ამ პროცესებს მიღმა დარჩეთ. თუმცა უარის გამო ეს იდეა აღარ განხორციელდა.

კონსერვატორი კახა კუკავა მიიჩნევს, რომ ნოემბრის აქციების დასრულებიდან ერთ თვეში ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტთა ჯგუფით შექმნილი პარტიის „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ დაარსება სწორედ ამ გეგმის ალტერნატივა გახდა: „ეს იყო მეთიუ ბრაიზას და ხელისუფლების ერთობლივი პროექტი, რომ უნდა შექმნილიყო ოპოზიციური პარტიების მთელი ჯგუფი, რომელიც შექმნიდა ოპოზიციურ ანტიურაჟს საქართველოში ხელისუფლებისათვის და გაემიჯნებოდა რეალურ ოპოზიციას“.

ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი ლევან ვეფხვაძე განმარტავს, რომ პარტიის შექმნის აუცილებლობა გუნდმა 2007 წლის 7 ნოემბერს ტელეკომპანიის დარბევის შემდეგ იგრძნო. „მაშინ გადავწყვიტეთ, რომ უნდა გაგვეკეთებინა პარტია და ინფორმაციულ სფეროზე ზრუნვა დაეწყო“, – იხსენებს ვეფხვაძე, რომელიც გადაცემა „დროების“ მთავარი პროდუქსერი იყო. მისი თქმით, პარტიის შექმნის პროცესი დროებით შეაჩერა ტელევიზიის მოულოდნელმა გახსნამ ნოემბრის ბოლოს. იმ დროს ჯერ კიდევ ჟურნალისტი გიორგი თარგამაძე პოლიტიკურ გარემოს ასე აფასებდა: „რა განსხვავებაა პუტინის რუსეთსა და სააკაშვილის საქართველოს შორის? საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, აბსოლუტურად მონოპოლიზებულია პოლიტიკური სივრცე, ტერორის განცდის ბიზნესი, პარლამენტი პრეზიდენტის ხელშია და მანიპულირების საგანია“.

თუმცა, თარგამაძემ ამ მონოპოლიზირებულ პოლიტიკურ სივრცეში და პრეზიდენტის მიერ კონტროლირებად პარლამენტში შესვლა მაინც არჩია და ტელევიზიის პოლიტიკური პროგრამების რედაქტორმა 2008 წლის 7 თებერვალს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ დააარსა. პარტიამ არსებობა ფიზიკური პირობის შემოწმებით დაიწყო. ცესკო-ში შესული დოკუმენტების მიხედვით, ამ შემოწმებით უმეტესი ნაწილი თავად პარტიის წევრების, მათ შორის მაგდა ანიკაშვილისა და ლევან ვეფხვაძის (შესაბამისად 29,000 და 30,000 ლარი) პირადი ფინანსები იყო. დღეს ისინი ამბობენ, რომ ეს ფული მთლიანად მათ არ ეკუთვნოდათ და იყო

შემთხვევები, როცა ბიზნესმენები მათ ანონიმურად გადასცემდნენ თანხას, რაც პარტიის დამფუძნებლებს შემდეგ საერთო ანგარიშზე საკუთარი სახელით შეჰქონდათ. „ძირითადად ის ადამიანები გვეხმარებოდნენ, ვისაც „დროება“ თავის დროზე დაეხმარა“, – ამბობს მაგდა ანიკაშვილი.

საპარლამენტო არჩევნებამდე 4 თვით ადრე შექმნილმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ 21 მაისის არჩევნებში ხმების 8,66% და პარლამენტში 6 სადეპუტატო მანდატი მოიპოვა. პარტიაში ამბობენ, რომ ასეთი მაღალი მაჩვენებელი გიორგი თარგამაძის ჟურნალისტურმა ნარსულმა და გადაცემა „დროების“ მაღალმა რეიტინგმა მოუტანათ. 2008 წლის თებერვალში, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ თბილისში ყველაზე ავტორიტეტული ფიგურა პატრიარქის შემდეგ გიორგი თარგამაძე იყო.

ქრისტიან-დემოკრატების წინასაარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო საკონსტიტუციო ცვლილება, რომლითაც მართლმადიდებლობა საქართველოს ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდებოდა. პროგრამის პრიორიტეტებს შორის იყო სოციალური სფერო და ძალადგანი სტრუქტურების დეპოლიტიზება.

წელიწადნახევრიანი საპარლამენტო მუშაობის შემდეგ ქრისტიან-დემოკრატების პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად გამოიკვეთა კონსტიტუციულობა, თანამშრომლობა ყველა პოლიტიკურ ძალასთან, ძირითადად კი მაინც ხელისუფლებასთან, და „შედეგზე ორიენტირებულ საკითხებზე“ მუშაობა.

„ჩვენი ყველაზე დიდი წარმატება არის ის, რომ ჩვენ ვარსებობთ“, – ამბობს პარტიის ლიდერი გიორგი თარგამაძე. მან იცის, რომ პარლამენტში, სადაც სახელისუფლებო პარტია საკონსტიტუციო უმრავლესობითაა წარმოდგენილი, მისი 6-მანდატიანი პარტია მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებებს ვერ მოახდენს. ქრისტიან-დემოკრატები ამბობენ, რომ ამიტომაც აირჩიეს ისეთ საკითხებზე მუშაობა, როგორიცაა ჯანდაცვა, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები და შედეგად, ხელისუფლების მხრიდან დათმობესაც იღებენ. მაგდა ანიკაშვილს ასეთ დათმობის მაგალითად უმწეოთათვის ჯანდაცვის პოლისის ერთწლიანი ვადის 3 თვემდე შემცირება მოჰყავს.

გარდა დათმობებისა, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას და მის ლიდერს ხელისუფლებისგან ქება არ აკლიათ. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გიორგი თარგამაძეს „მისაბაძი პოლიტიკოსი და სწორი მოთამაშე“ უწოდა. მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე სააკაშვილმა ჯანდაცვის მინისტრს ქრისტიან-დემოკრატების შენიშვნების გათვალისწინება დაავალა, თავად კი კამერების თანდასწრებით მოუსმინა გორის რაიონიდან დაბრუნებულ თარგამაძესა და ვეფხვაძეს, როცა ისინი პრეზიდენტს საკუთარ კაბინეტში ტირმისის მოსახლეობის სირთულეებზე უყვებოდნენ.

12 თებერვალს პარლამენტში ყოველწლიური მიმართვის დროს პრეზიდენტმა სააკაშვილმა გიორგი თარგამაძეს ასე მიმართა: „მინდა დავანყნარო ბატონი გიორგი თარგამაძე, რომელიც ალბათ სხვა ბევრ ღირსეულ კანდიდატურასთან ერთად ფიქრობს 2013 წელზე, ... 2013 წლამდე შევასრულებ საპრეზიდენტო მოვალეობას და შემდეგ საქართველოში იქნება ახალი პრეზიდენტი, რომელიც მოვა დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნების შედეგად“.

ქრისტიან-დემოკრატები კრიტიკას არც საპარლამენტო უმრავლესობისგან იმსახურებენ. ხელისუფლების მსგავსად, ქრისტიან-დემოკრატები გამოხატა არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან არჩევნების, კომისიებისა თუ საბჭოების მუშაობაში მონაწილეობაზე ბოიკოტს. მათთვის, ისევე როგორც მმართველი გუნდის წარმომადგენლებისთვის, მიუღებელია ქუჩის საპროტესტო აქციები და ხელისუფლების ვადამდე შეცვლა. იმ საგარეო საფრთხის პირობებში კი, რაც ქვეყანას რუსული აგრესიის სახით ემუქრება, ქრისტიან-დემოკრატებისთვის ნებისმიერი შიდა პოლიტიკური კრიზისი მეორეხარისხოვანია.

თუ „იმედში“ მუშაობის დროს „დროების“ რედაქცია სახელისუფლებო პოლიტიკასთან განსაკუთრებულად დაპირისპირებულ ჯგუფად ითვლებოდა, პოლიტიკაში გადასული ეს ადამიანები ხელისუფლების აშკარა კრიტიკისგან თავს იკავებენ და მთავარ მიზნად რადიკალიზმისთვის თავის არიდებას ისახავენ. სწორედ ამის მისაღწევად გაემიჯნენ ქრისტიან-დემოკრატები პარლამენტში შესვლის დღიდან ე.წ. რადიკალურ ოპოზიციურ სპექტრს.

თარგამაძის პარტია „კონტროლდუქტიულად“ მიიჩნევა 2009 წლის გაზაფხულზე არასაპარლამენტო ოპოზიციის

მიერ არჩეულ გზას – პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით დემონსტრაციების გამართვას. კონსერვატიული პარტიის ლიდერი კახა კუკავა დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების მცდელობას, 9 აპრილის საპროტესტო აქციებზე ხალხი არ მისულიყო, თარგამაძის პარტიის წევრების მიერ გაკეთებული განცხადებებიც უწყობდა ხელს. „ამ პარტიას ჰყავს ნიჭიერი ლიდერი და ის ყოველთვის დელიკატურად გადმოსცემს იმ მესიჯებს, რაც ხელისუფლებისგან მოდის“, – ამბობს იგი.

ასეთ გადაწყვეტილებებს მნიშვნელობას მინც ანიჭებს. თუ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლების მწვავე კრიტიკით მოპოვებულმა რეიტინგმა „დროების“ ჟურნალისტთა ჯგუფს არჩევნებში მაღალი მაჩვენებელი მოუტანა, დღეს მათი პარტიის ზედმეტად შემრიგებლური ტონი ამ რეიტინგის კლების მიზეზი ხდება.

„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვები აჩვენებს, რომ ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ამომრ-

ჩვევლთა რიცხვი განსაკუთრებით დედაქალაქში კლებულობს. სოციოლოგ იაგო კაჭკაჭიშვილის აზრით, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პოპულარულობის კლება მათი საპარლამენტო მოღვაწეობის უფერულობამ განაპირობა. „მათ დამოუკიდებელი გზის ძიებაში ამომრჩეველს სერიოზული ხელჩასაჭიდი ვერ შესთავაზეს“, – ამბობს კაჭკაჭიშვილი.

თვითმმართველობის არჩევნების წინ ქრისტიან-დემოკრატებს ჰქონდათ შანსი, ხელისუფლებასთან გარიგების ეჭვე-

■ „ჩვენი ყველაზე დიდი წარმატება არის ის, რომ ჩვენ ვარსებობთ“, – ამბობს გიორგი თარგამაძე. მან იცის, რომ პარლამენტში მისი პარტია მნიშვნელოვან ცვლილებებს ვერ მოახდენს და ამიტომაც აირჩია ისეთ საკითხებზე მუშაობა, როგორც ჯანდაცვა, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები.

„საქართველოს გზის“ ლიდერს, სალომე ზურაბიშვილს ქრისტიან-დემოკრატების პოლიტიკური არჩევნის საილუსტრაციოდ ის შემთხვევა მოჰყავს, როცა ოპოზიციის „საბრალდებო დასკვნაში“, ანუ ხელისუფლების შეცდომების დოკუმენტირებაში, მათ მონაწილეობა შესთავაზა და პასუხი ვერ მიიღო.

საპარლამენტო ოპოზიციასთან, მათ შორის ქრისტიან-დემოკრატებთან თანამშრომლობის ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა კონსერვატორ კახა კუკავასთვისაც: „ჩვენ გავუზავნეთ პოლიტპატიმრების ნუსხა და ვთხოვეთ, საპარლამენტო ბერკეტები გამოეყენებინათ, ასევე შეეთავაზეთ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოზე ერთიანი ოპოზიციის ჩამოყალიბება, საარჩევნო კოდექსის ცვლილებებთან დაკავშირებით ოპოზიციის ერთობლივ მემორანდუმზე ხელის მოწერა, მაგრამ უარი მივიღეთ“. სწორედ ასეთი შემთხვევების გამო, არასაპარლამენტო ოპოზიციაში ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ხელისუფლების მოკავშირედ მიიჩნევა.

გიორგი თარგამაძე ამ ეჭვებს „ნეობოლშევიკური აზროვნების“ პროდუქტს უწოდებს და ამბობს, რომ მსგავს იარაღებს მნიშვნელობას არასოდეს ანიჭებდა. „ჩემი ამომრჩეველი არის გონიერი ადამიანი და ის არასოდეს გაიზიარებს ამ მითს. ის არ არის წამიერი ემოციური პროპაგანდის მსხვერპლი“, – ამბობს თარგამაძე.

თუმცა, ამომრჩეველი, როგორც ჩანს,



ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს, რომელ პარტიას დაუჭარბობს მხარს?

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	
2007 წლის ივლისი	10.6%
2008 წლის სექტემბერი	7.3%
2008 წლის დეკემბერი (საერთო)	15.1%
2008 წლის დეკემბერი (თბილისი)	8.0%
2009 წლის მარტი	7.7%
2009 წლის მაისი	5.9%

კვლევა ჩატარა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა

ბი გაექარწყლებინათ, ისე, რომ თან არც საკუთარი კონსტრუქციული პოლიტიკის კურსიდან გადაეხვიათ. არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა მათ პრაიმიერი მონაწილეობა შესთავაზა, რომლის შედეგად ოპოზიციას თვითმმართველობის არჩევნებში მერის ერთიანი კანდიდატი ეყოლებოდა. თუმცა, „რადიკალებმა“ პასუხად უარი მიიღეს. ქრისტიან-დემოკრატები მაისის არჩევნებში თავის კანდიდატს დამოუკიდებლად წარადგენენ. გიორგი თარგამაძე განმარტავს, რომ პრაიმიერი მისთვის მიუღებელია, რადგან ის ხელისუფლებაში მოსვლის მთავარ იდეას – პოლიტიკურ პლურალიზმს უფულებელყოფს. „ჩვენ ალტერნატივა უნდა შევთავაზოთ ხალხს და არა ისევე თუ პოლუსად გაყოფა“, – ამბობს გიორგი.

მსგავსი გადაწყვეტილებებით, ქრისტიან-დემოკრატები გააზრებულად თუ შემთხვევით ხშირად ქმნიან მმართველი გუნდისთვის სასარგებლო და არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის საზიანო პირობებს. თუმცა ის, რომ მათ პარტიას ხელისუფლება საკუთარი პოლიტიკური გეგმის შესასრულებლად იყენებს, ქრისტიან-დემოკრატ თარგამაძეს არ აწუხებს: „და რა პრობლემაა მერე, ცუდია, რომ იყენებს? თუკი ქრისტიან-დემოკრატები ვახერხებთ, რომ საქართველოს როგორც ველური პოლიტიკური დაპირისპირების არეულად კი არ წარმოვაჩინოთ მთელი მსოფლიოს თვალში, არამედ პოლიტიკური კულტურის ამაღლებას ვუნწყობთ ხელს, მაშინ რატომაც არა?!“

„ბატონო, პრეზიდენტო, მოგმართავთ აფხაზეთიდან დევნილი ოჯახის სახელით, 1992 წელს სოხუმიდან ჩამოსულეზმა, ჩვენდა საუბედუროდ, სწორედ იმ ადგილას შევიძინეთ ბინა, სადაც დღეს თქვენი რეზიდენციაა. 2004 წელს, მერიის მოთხოვნით, საცხოვრებელი სახლი დავტოვეთ და იქ თქვენი რეზიდენციის მშენებლობა დაიწყო, მას შემდეგ 5 წელია, ჩემი ოჯახი კომპენსაციის აღებას უშედეგოდ ცდილობს. ეს 5 წელი მეუღლესთან და 2 შვილთან ერთად საშინელ პირობებში ვცხოვრობ, ჩემი ოჯახი სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული საშინელი უსამართლობის მსხვერპლია“, – წელს ეს წერილი აფხაზეთიდან დევნილმა იზა გვაჯაიამ პრეზიდენტ სააკაშვილს მისწერა.

1992 წელს აფხაზეთიდან დევნილმა ცოლ-ქმარმა – იზა გვაჯაიამ და ბესიკ ფიფიამ თბილისში, ავლაბარში ე.წ. ყაზარმის უბანში ბინა შეიძინეს და 2 მცირეწლოვან შვილთან ერთად იქ დასახლდნენ. სახლი, რომელიც სამოქალაქოს ქ. №1-ში მდებარეობდა, ფიფიების ოჯახმა რუსეთის მოქალაქე ლუდმილა ზარიცკაია-კოვტუნისგან მაშინ 3500 დოლარად შეიძინა. ვინაიდან ბინა პრივატიზებული არ იყო, ფიფიებმა მისი გადაფორმება ვერ მოახერხეს და ლუდმილა ზარიცკაიასთან (რომელიც კრასნოდარის მხარეში ცხოვრობდა) 3-წლიანი მინდობილობა გააფორმეს. სამ წელიწადში ერთხელ იზა გვაჯაია კრასნოდარში ჩადიოდა და ახალი მინდობილობა ჩამოჰქონდა, მოგვიანებით მინდობილობის მეშვეობით ფიფიებმა ბინის პრივატიზებაც მოახდინეს და გული დაიმშვიდეს. „ვინაიდან ლუდმილა ზარიცკაიასთან ემეგობრობდით, არანაირ პრობლემად არ მიგვაჩნდა, ბინის ჩვენ სახელზე გადაფორმება და ალბათ ამიტომაც მიგვრჩა, ბოლო მინდობილობას ვადა 2 თვის გასული ჰქონდა, როცა 2004 წლის შემოდგომაზე თბილისის მერიიდან მოგვაკითხეს და ბინის დათმობა მოგვთხოვეს. გვითხრეს, – აქ პრეზიდენტის რეზიდენცია შენდება და ფართი უნდა დაგვითმოდო“, – იხსენებს იზა გვაჯაია.

მერიის წარმომადგენლებმა ფიფიების ოჯახს სახლის საბუთების მონესრიგება მოსთხოვეს და კომპენსაციის გადახდაც აღუთქვეს. საჭირო გახდა კრასნოდარიდან ახალი მინდობილობის ჩამოტანა. იმ დროს რუსეთთან მიმოსვლა უკვე გართულებული იყო, რის გამოც ოჯახმა ახლობელს, რუსეთის მოქალაქე მამუკა ტყეშუჩავას სთხოვა, მინდობილობა მას ჩამოეტანა.



ჟურნალისტური გამოძიება

პრეზიდენტის გაუმჯობესებელი სასახლე

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია საჯაროა, გაურკვეველია, რა დაჯდა და რა სახსრებით აშენდა პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია.

გივი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“



პრეზიდენტის რეზიდენციაში, თბილისი 2009

ფოტო: ირაკლი ბაზდვიანი / REUTERS

თაღლითობა №1

„ტყეებუჩავამ მართლაც ჩამოიტანა ახალი მინდობლობა ზარიცკაიასგან, ფიფიებმა მას სუფრა გაუშალეს, სადაც მამუკა ტყეებუჩავამ შეიტყო, რომ ამ მინდობლობით ფიფიებს სახელმწიფოსგან კომპენსაცია უნდა აეღოთ. ამის შემდეგ ტყეებუჩავა ფიფიებისგან მალულად ისევ ჩაივდა ზარიცკაიასთან. ზარიცკაია მას ენდობოდა და ლუდმილა იოლად დაარწმუნა, რომ ბესიკ ფიფიას ვალის სანაცვლოდ სახლს ართმევდნენ და ამიტომ საჭირო იყო ახალი მინდობლობის გაცემა ვინმე ზურაბ ოთარაშვილზე. ლუდმილა ზარიცკაიამ ტყეებუჩავას დაუჯერა, გვაჯაიას სახელზე გაცემული მინდობლობა გააუქმა და ახალი მინდობლობა ტყეებუჩავას მეგობარ ზურაბ ოთარაშვილის სახელზე გააკეთა“, – აცხადებს ფიფიების ადვოკატი მარიამ ნეფარიძე.

მას შემდეგ, რაც ლუდმილა ზარიცკაიამ ფიფიების სახლის განკარგვის უფლება მინდობლობით ზურაბ ოთარაშვილს გადასცა, ოთარაშვილმა ბინა მამუკა ტყეებუჩავას გადაუფორმა. ფიფიებმა ამის შესახებ საჯარო რეესტრში შეიტყვეს და სამართალდამცავებს მიმართეს. თაღლითობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო, ამ დროს რეზიდენციას უკვე აშენებდნენ. საცხოვრებელი სახლიდან, ფიფიების გარდა, ყველა გაასახლეს. ისინი ზემოთ აღნიშნული თაღლითობის გამო, კომპენსაციას დროულად ვერ იღებდნენ.

„დაიწყეს კორუპუსის მონგრევა, ჩემი ბინა შუაში იყო, თან ყოველდღე გვეუბნებოდნენ, – ვერ ხედავთ, სახლი ინგრევა, აქ ცხოვრება საშიშია, შეიძლება ქერი ჩამოგენგრეთ, ან ეზოში ბავშვს აგური დაეცეს. ბოლოს იძულებული გაგხდით, სახლი დაგვეცალა“, – იხსენებს იზა გვაჯაია.

ქალაქის მერია ფიფიებს შეუთანხმდა, რომ თაღლითობის ფაქტზე გამოძიების და სასამართლოს დასრულების შემდეგ ოჯახი სახელმწიფოსგან კუთვნილ თანხას მიიღებდა. ისანი-სამგორის გამგეობა უბინაოდ დარჩენილებს ბინის ქირას 6 თვის განმავლობაში უხდიდა.

ამასობაში მამუკა ტყეებუჩავას და ზურაბ ოთარაშვილის საქმე სასამართლოს გადაეცა, 2007 წლის 30 ივლისს საქალაქო სასამართლომ ორივე მათგანი ფიფიების სახლის თაღლითურად მითვისებაში დამნაშავედ ცნო და 2-2 წლით პატიმრობა მიუსაჯა. მამუკა ტყეებუჩავა სასამართლოში არ გამოცხადებულა, მასზე ძებნა გამოცხადდა. იმავე წლის 21 დეკემბერს შედგა მორიგების აქტი, რომლის მიხედვითაც, მამუკა ტყეებუჩავამ იზა გვაჯაიას სახლი დაუბრუნა. მორიგების აქტზე, ტყეებუჩავას ნაცვლად, ხელი მისმა წარმომადგენელმა ელდარ გოგიამ მოაწერა, ვინაიდან ტყეებუჩავა ჯერ კიდევ იძებნებოდა.

თაღლითობა №2

კომპენსაციის მისაღებად ფიფიების ბრძოლა წარმატებით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ შემდეგ უკვე სახელმწიფოსთან შეექმნათ პრობლემა. როცა თაღლითმა ტყეებუჩავამ გვაჯაიას ქონება ოფიციალურად დაუბრუნა, სახლი მხოლოდ საბუთებშია არსებობდა, სახლის ადგილზე კი პრეზიდენტის რეზიდენცია აშენდა. კუთვნილი კომპენსაციის მისაღებად ოჯახი ვიცე-მერ მამუკა ახვლედიანს დაუკავშირდა.

„დანგრეული სახლის სანაცვლოდ თანხას ვითხოვდით, რომლის საერთო ფართი 260 კვადრატული მეტრი იყო. ახვლედიანს ვუთხარა, რომ კომპენსაციად 750 ათასი დოლარი მინდოდა, ეს თანხა ექვირა და საბოლოოდ 595 ათასი დოლარი შემომთავაზა. ჩემს მეზობლებსაც 1 კვ.მ-ში 2000 დოლარი გადაუხადეს, ამიტომ ამ თანხაზე დავთანხმდი. მითხრა, – რეესტრიდან ამონაწერი მომიტანე, ხელშეკრულება გავაფორმოთ და ფულს ხვალვე გადმოგიორიცხავო“, – იხსენებს ბესიკ ფიფია.

საჯარო რეესტრში ფიფიების სახლის ნაწილი – 73 კვ.მ. იყო დარეგისტრირებული.

იზა გვაჯაიას საბუთის აღება ექვარებოდა და ამონაწერის 1 დღეში ასაღებად 15 ლარი გადაიხდა. თუმცა, საჯარო რეესტრმა გვაჯაიას 5 დღის დაგვიანებით მისცა ამონაწერი. გაირკვა, რომ ფიფიების სახლი თაღლითობისთვის მსჯავრდებული ტყეებუჩავას მოთხოვნით დაეყვანებოდა.

საჯარო რეესტრის ოურისტმა ამონაწერის დაგვიანებით გაცემა ტექნიკური მიზეზით ახსნა. „შესაძლებელია, საბუთის გაცემა ტექნიკური მიზეზით დაგვიანდა“, – გვპასუხობს რეესტრის ოურისტი ვანდა ჯიჯელავა.

ეს მიზეზი მეტად საეჭვოა, ვინაიდან გვაჯაიას ამონაწერი 15 ივლისს 11 საათსა და 45 წუთზე მისცეს. სასამართლომ კი მისი სახლი 11 საათსა და 21 წუთზე დააყვანა. საჯარო რეესტრმა ყადაღა გვაჯაიასთვის ამონაწერის მიცემამდე 24 წუთით ადრე დაადო ბინას. ნიშანდობლივია ის, რომ გვაჯაიას ამონაწერი ერთ დღეში უნდა მიეღო და 5 დღე ალოდინეს, ყადაღა კი რეესტრმა ძებნილი ტყებუჩავას მოთხოვნიდან 25 წუთში დაარეგისტრირა. საჯარო რეესტრს, კანონით, ტყებუჩავას მოთხოვნილი ყადაღის დადებისთვის 3-დღიანი ვადა ჰქონდა.

რეესტრის ქმედების სამართლებრივი შეფასება ოურისტი ირაკლი ცნობილაძეს ვთხოვეთ: „იზა გვაჯაიას დაყადაღებული ქონების ამონაწერი მისცეს, რასაც იგი მერიამი წარსადგენად ველარ გამოიყენებდა. რეესტრის ასეთი ქმედება ეჭვს ბადებს, რომ მოხდა ამონაწერის გაცემის ხელოწერი დაყოვნება“.

მართლაც, ოჯახმა რეესტრიდან დაგვიანებით მიღებული ამონაწერი ველარ გამოიყენა, დაყადაღებულ ქონებაში მერიამ კომპენსაცია აღარ გადაიხდა. გაირკვა, რომ ძებნილმა ტყებუჩავამ სასამართლოს მიმართა და მორიგების იმ აქტის გაუქმება მოითხოვა, რომლითაც თალღითურად მითვისებული ქონება 2007 წელს იზა გვაჯაიას დაუბრუნა. სააპელაციო სასამართლომ თალღითობისთვის გასამართლებული, ძებნილი ტყებუჩავას საჩივარი უჩვეულოდ სწრაფად – 3 დღეში განიხილა და დააკმაყოფილა.

„ძებნილმა ტყებუჩავამ სასამართლოს დახმარებით ის ქონება დაიბრუნა, რისი თალღითურად მითვისებისთვისაც 2 წელი მიუსაჯეს და იძენებოდა. ძებნილმა ტყებუჩავამ სასამართლოს გადაწყვეტილება რეესტრში წარადგინა და ქონება ისევ თავის სახელზე დაირეგისტრირა“, – აცხადებს ფიფიების ადვოკატი.

როგორ იყიდა მერიამ 1500 ლარად 150-ათასიანი ქონება

ტყებუჩავამ ფიფიების ქონება 5 სექტემბერს ხელახლა დაირეგისტრირა. 73 კვადრატული მეტრი ფართი, რომლის საბაზრო ღირებულება დაახლოებით 150 ათას დოლარს შეადგენდა, ტყებუჩავამ იმავე დღეს 5 ათას ლარად მიჰყიდა ყოფილ პოლიციელს, გელა შინჯიკაშვილს.

გელა შინჯიკაშვილმა კი 5 ათას ლარად შეძენილი ქონება 3 დღეში თბილისის მერიას 1500 ლარად მიჰყიდა. საბოლოოდ თალღითების მეშვეობით მერიამ ქონება, რომლის სანაცვლოდაც, ფიფიებს 595 ათას დოლარს სთავაზობდა, 1500 ლარად ჩაიგდო ხელში.

ჩვენ ტელეფონით ვესაუბრეთ გელა შინჯიკაშვილს, და ვკითხეთ:

– რატომ მიჰყიდეთ მერიას სახლი ასე იაფად?

– შენი საქმე არ არის, ძმაო, მოდი ესე გეტყვი – ა ეგრე, ლამაზად ავდექი და მივყვიდე...

– თქვენ როგორ შეიძინეთ?

– ჭრელად, ა ეგრე, ზეციდან ჩამოვარდა.

– 5000 ლარად რომ იყიდეთ 3 დღეში, 1500 ლარად რატომ მიჰყიდეთ?

– იმიტომ, რომ ვალი მქონდა.

– ტყებუჩავას რომ თალღითური გზით ჰქონდა მითვისებული ეს ყველაფერი, ხომ იცოდით თქვენ, და რატომ იყიდეთ?

– ეხლა სასამართლოზე ხომ არა ვარ?

– ამის შემდეგ შინჯიკაშვილმა ტელეფონი გაგვითმია.

მცდელობის მიუხედავად, ქონების იაფად შეძენის თაობაზე არც თბილისის მერიამი გვიპასუხეს. თუმცა მოვიპოვეთ გიგი უგულავას ხელმოწერილი დადგენილება, რომელიც ამ ფართის შეძენას ეხება. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოქალაქე გელა შინჯიკაშვილმა 8 სექტემბერს მერიას მიმართა და თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ ადგილზე მდებარე 73 კვ.მ. ფართის 1500 ლარად შეძენა შესთავაზა. იმავე დღეს თბილისის მთავრობა შეიკრიბა, რომელმაც შინჯიკაშვილის შეთავაზება მოიწონა და ფართის ყიდვა გადაწყვიტა. იმავე დღეს მერიასა და შინჯიკაშვილს შორის საჯარო რეესტრში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გაფორმდა.

ფიფიების ადვოკატი ამბობს, რომ მის კლიენტებს სახელმწიფომ ქონება ტყებუჩავას ხელით წაართვა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასამართლოდან დაწყებული რეესტრით დამთავრებული, მამუკა ტყებუჩავას არსად მიუმართავს. მისი სახელით სხვა მოქმედება და მისი ხელმოწერებიც გაყალბებულია. ხელმოწერების ექსპერტიზა მოვითხოვეთ, მაგრამ პროკურატურამ ეს არ გააკეთა, რაც კიდევ უფრო მაეჭვებს. მას შემდეგ, რაც მერიამ ტყებუჩავას დახმარებით ეს ქონება 1500 ლარად ჩაიგდო ხელში, მას საპროცესო გარეგება გაუფორმეს და თალღითობისთვის მისჯილი 2-წლიანი პატიმრობა პირობითი სასჯელით შეუცვალეს. მიუხედავად

იმისა, რომ გამოძიებასთან არ თანამშრომლობდა და იმალებოდა, სასჯელი მაინც შეუმსუბუქეს“.

თალღითის საპროცესო აშენებული რეზიდენცია

დოკუმენტაციის მიხედვით, 2008 წლის 8 სექტემბერს ქალაქის მერიამ გელა შინჯიკაშვილისგან 73 კვ.მ. ფართი აბდუმელიშვილის ქუჩა №1ბ-ში შეიძინა – ანუ მერიამ იმ ადგილას მდებარე უკვე აშენებული პრეზიდენტის რეზიდენციის ნაწილი იყიდა.

„სხვის საკუთრებაში რაიმეს აშენება არ შეიძლება, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა“, – აცხადებს ოურისტი ირაკლი ცნობილაძე.

საბუთების მიხედვით, პრეზიდენტის რეზიდენცია სხვის საკუთრებაში, კერძოდ, ძებნილი მამუკა ტყებუჩავას მიწაზე აშენდა, რაც კანონდარღვევაა. თუმცა თალღითობისთვის გასამართლებულ ტყებუჩავას ეს არ გაუსაჩივრებია და ალბათ არც გაასაჩივრებს, მას ხომ მერიისთვის 1500 ლარად ფართის მიყიდვაში განუხლები დახმარების შემდეგ საპროცესო გარეგება გაუფორმეს“.

„პოლიციიდან კი არ ვარ, რამდენიმე დღეში“

ფიფიები ამტკიცებენ, რომ მათ წინააღმდეგ სახელმწიფო ზენოლას დღემდე ახორციელებს. ამის ერთ-ერთ მაგალითად 2008 წლის 12 ივლისს მომხდარ ფაქტს იხსენებენ, როცა ლამის 11 საათზე ფიფიების ნაქირავებ ბინაში 3 პიროვნება შეიჭრა, რომლებმაც თავი სასამართლოს კურიერებად გამოაცხადეს. იზა გვაჯაიამ ისინი ვიდეოკამერით გადაიღო. ეს პირები იახლში ძალით შეუვარდნენ, რაც თავად ვნახეთ. „უწყება მოგიტანეთო, მე ვუთხარი, დაეტოვებინათ, მაგრამ ისინი სახლში შემოვარდნენ და საწოლების ქვეშ იყურებოდნენ. ვფიქრობ, ჩემ ქმარს ეძებდნენ. ბესო სახლში რომ დახვედროდათ, აუცილებლად ნარკოტიკს ან იარაღს დაგვიგდებდნენ, რომ ამის შემდეგ მაინც შეგვეწყვიტა ჩვენი კუთვნილი კომპენსაციისთვის ბრძოლა“.

ჩვენ გვაჯაიას და მისი „სტუმრების“ ვიდეორჩანაწერიდან რამდენიმე დიალოგს ვბეჭდავთ:

– „სახლში ვერ შემოვიშვებთ, მეშინია, რომ დამიგდოთ რამე...“

– აქამდე ათასჯერ დავდებდი, გეუბნები, სასამართლოდან ვარ მეთქი და არა პოლიციიდან ან პროკურატურიდან, მე რა უნდა დავდო, კაცო.

– რომელი სასამართლოს კურიერი ხარ?

- სამოქალაქო სასამართლოსი.
- რა გვარი ხარ, მერე რატომ საბუთს არ მაჩვენებ?
- სიგუა ვარ სოსო“.

სახლში შეჭრილთაგან ერთი რომ მართლაც სოსო სიგუა იყო, იმავე ღამეს ფიფიებთან გამოძახებულმა პატრულმა დაადასტურა. ოღონდ პატრულის მიერ შედგენილ ოქმში ვკითხულობთ, რომ სოსო სიგუა თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელია და არა სასამართლოს კურიერი.

ფიფიებმა მათ სახლში შეჭრილი პოლიციელების დასჯა მოითხოვეს, მოკვლევა დაიწყო, მაგრამ ისე შეწყდა, პოლიციელები არ დაუსჯიათ.

ფიფიებმა ქართული სასამართლოს დახმარებით კუთვნილი კომპენსაციის მიღება 5 წლის განმავლობაში რომ ვერ მოახერხეს, ევროპულ სასამართლოს მიმართეს. ოჯახი, სამართლიანი სასამართლოს იმედით, ყოფილ სამხედრო ჰოსპიტალში ერთ პალატაში ცხოვრობს.

იღუმელი სასახლე

პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია ოფიციალურად 2009 წლის 12 ივლისს გაიხსნა. მიხეილ სააკაშვილი პირველი ოფიციალური პირი იყო, ვინც რეზიდენციის მშენებლობის ხარჯებზე ღიად ილაპარაკა. „ის, რაც ჩვენ დავხარჯეთ, თუნდაც ამ სასახლის მშენებლობაში, ეს არის 0,17-0,18% საქართველოს საერთო ხარჯების, ეს არის პრაქტიკულად ძალიან ცოტა“. პრეზიდენტის მიერ დასახელებული პროცენტები ექსპერტებმა დაიანგარიშეს და დაახლოებით 50-60 მლნ ლარი მიიღეს. რეზიდენციის ინტერიერის კადრები ქართული მედიიდან მხოლოდ „რუსთავი 2“-მა გადაიღო. P.S.-ის სიუჟეტშივე დასახელდა კიდევ ერთი ციფრი – 40 მლნ.

ზუსტად რამდენი დაიხარჯა რეზიდენციის მშენებლობაზე, ამის მოძიება სტუდია „მონიტორმა“ 3 თვის წინ დაიწყო. მივმართეთ თბილისის მერიას, პრეზიდენტის ადმინისტრაციას შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფას“, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს. თუმცა, რა დაჯდა რეზიდენციის მშენებლობა და საიდან დაფინანსდა – ეს ინფორმაცია არავინ მოგვანოდა.

შეკითხვაზე არ გვიპასუხა ფინანსთა სამინისტრომ, რომელიც ქვეყნის ფინანსების მთავარი განმკარგველია. სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსმა სატელეფონო საუბარში გვი-



„ის, რაც ჩვენ დავხარჯეთ, თუნდაც ამ სასახლის მშენებლობაში, ეს არის 0,17 - 0,18% საქართველოს საერთო ხარჯების, ეს არის პრაქტიკულად ძალიან ცოტა“ – მიხეილ სააკაშვილი.

თხრა, რომ ავლაბრის რეზიდენცია ბიუჯეტის ფულით არ აშენებულა.

გიორგი კაკაურიძე, საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი: „ბიუჯეტში რეზიდენციის მშენებლობისთვის თანხა არ ყოფილა გათვალისწინებული, არც სახელმწიფო ხაზინიდან გადარიცხულა თანხები. ჩემი ინფორმაციით, ავლაბრის რეზიდენცია ბიუჯეტის სახსრებით არ აშენებულა“.

გაურკვეველია, რა სახსრებით აშენდა ავლაბრის რეზიდენცია. სახელმწიფოს ბიუჯეტს გარე ლეგალური ხარჯები არ გააჩნია, არადა სოლიდურ ხარჯზეა საუბარი. ოპოზიციონერი პოლიტიკოსები თავის მხრივ ამტკიცებენ, რომ სასახლის მშენებლობა 800 მლნ დოლარი დაჯდა.

რამდენი დაიხარჯა რეზიდენციის მშენებლობაზე და საიდან, ამ კითხვაზე, კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის მიუხედავად, პასუხი ვერც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მიიღო. „შეუძლებელია კანონიერი იყოს მშენებლობა, რომელიც ღმერთმა იცის, რა წყაროებით დაფინანსდა, იმიტომ რომ ერთადერთი კანონიერი რესურსი, რაც სახელმწიფოს აქვს, ეს არის ბიუჯეტი. ცხადია, მშენებლობა არალეგალური წყაროებით დაფინანსდა“, – აცხადებს ასოციაციის წევრი თამარ ჩუგოშვილი.

კანონდარღვევით აშენებული რეზიდენცია

ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობის მიმდინარეობა 2004 წელს სასამართლოს განხილვის საგანიც გახდა, მაშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციას „არქმშენინსპექციამ“ სასამართლოში უჩივლა. „არქმშენინსპექციის“ მაშინდელი უფროსი, ნესტან თათარაშვილი რეზიდენციის მშენებლობის უკანონობაზე ღიად ლაპარაკობდა. „ჩვენ შევამოწმეთ პრეზიდენტის რეზიდენციის მშენებლობა და აღმოჩნდა, რომ სამუშაოები მიმდინარეობდა მშენებლობის ნებართვის გარეშე. შევადგინეთ ოქმი და კონკრეტული ვადის შემდეგ მივმართეთ სასამართლოს, რათა აღეკვეთა უნებართვო მშენებლობა. ვთვლიდი და ვთვლი, რომ პრეზიდენტსაც ისევე მოეთხოვება კანონის დაცვა, როგორც სხვას“, – ამბობდა თათარაშვილი.

სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდეგ ნესტან თათარაშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მოგვიანებით განუმარტეს, რომ გაათავისუფლების მიზეზი პრეზიდენტის რეზიდენციასთან დაკავშირებით შეტანილი სარჩელი გახდა. საბოლოოდ სასამართლო დავა პრეზიდენტის ადმინისტრაციის გამარჯვებით დასრულდა, სასამართლოს გადაწყვეტილება „არქმშენინსპექციას“ აღარ გაუსაჩივრებია. ნესტან თათარაშვილი იქ უკვე აღარ მუშაობდა.

P.S. ნიშანდობლივია ის, რომ ამერიკული თეთრი სახლის და გერმანული რაიხსტაგის შესახებ ინფორმაცია საჯაროა, ინტერნეტში ამ შენობების მშენებლობის ხარჯების შესახებ ინფორმაცია ცენტების სიზუსტითაა გამოქვეყნებული. საქართველოში კი ინტერნეტ-ფორუმებზე გამოკითხვებს მართავენ, სადაც მთავარი კითხვა ასეთია – რა დაჯდა პრეზიდენტის რეზიდენცია? სავარაუდო პასუხები 100-დან 900 მლნ დოლარამდე მერყეობს. რეზიდენციის გამჭვირვალე გუმბათის მიღმა ისევ გაუმჭვირვალე ხარჯები იმალება. **■**

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტესტი

რუსული კომპანიები, დიდი ხანია, ქართულ კავშირგაბმულობაში შემოიღწევას ცდილობენ. „რკინიგზის ტელეკომი“ რეგიონულ ექსპანსიაზე „დამიზნებული“ კომპანიისთვის მიმზიდველი აქტივია.

რევაზ საყვარიშვილი

ოპტიკურ-ბოჭკოვან ტესტირებაში პრივატიზაციის ახალი ტალღის აგორება სცადა – ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად და ინვესტორთა ახალი ნაკადის მოსაზიდად.

„საქართველოს რკინიგზის ტელეკომის“ გაყიდვით იწყება და უნდა გაგრძელდეს, სხვა აქტივებთან ერთად, „საქართველოს ფოსტის“, სასტუმრო „გულაურისა“ და რესპუბლიკური საავადმყოფოსთვის კერძო პატრონების მოძებნის ტენდენცია.

თუმცა, თუ წინა გაყიდვის მცდელობას „რკინიგზის ტელეკომის“ საწყის ფასად 25 მილიონი დოლარი იყო განსაზღვრული, ამჯერად ის თითქმის განახევრებულია. „საქართველოს რკინიგზის“ შვილობილის შექმნის მსურველებმა ვაჭრობა 14,15 მილიონი დოლარიდან უნდა დაიწყო და 100-ათასლარიანი ბიჯით სასურველ ნიშნულამდე მიიყვანონ.

„რკინიგზის ტელეკომი“ მთლიანად საკომუნიკაციო საქმიანობისთვისაა სერტიფიცირებული. ის ცალკე ერთეულად 2004 წლის აგვისტოში „საქართველოს რკინიგზის“ 100%-იანი მონაწილეობით დაარსდა. დღეისთვის „რკინიგზის ტელეკომი“ ფლობს 600 კილომეტრის სიგრძის ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელს, რომელიც განთავსებულია საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზის ხაზის გასწვრივ და ფარავს ქვეყნის უმეტეს ნაწილს. მის საკუთრებაშია ასევე ცალკეული სატელეფონო ინფრასტრუქტურა თბილისსა და რეგიონებში. მისი ინტერნეტ-მომსახურების ქვედანაყოფი კი ძირითადად კორპორატიულ მომხმარებელზეა ორიენტირებული.

აუქციონის პირობების თანახმად, გამარჯვებული ვალდებულია, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი წლის ვადაში მოახდინოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავ-

სება სარკინიგზო ლიანდაგის გასწვრივ „რკინიგზის ტელეკომისთვის“ გადაცემულ 40-სანტიმეტრიან ზოლში.

ამასთან, გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან სამ წელიწადში „საქართველოს რკინიგზას“ საკუთრებაში გადასცეს სარკინიგზო ლიანდაგის გასწვრივ „ტელეკომისთვის“ გადაცემულ ზოლში ჩადებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ერთი წყვილი. „საქართველოს რკინიგზა“ კი იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 წლის განმავლობაში არ მოახდინოს სარკინიგზო მაგისტრალისა და განშტოებების გასწვრივ მიწის ფართის გასხვისება ან დროებით სარგებლობისთვის გაცემა, გარდა სახელმწიფო აუცილებლობიდან გამომდინარე მიზეზებისა.

სატენდერო პირობების მიხედვით, „საქართველოს რკინიგზას“ უფლება აქვს, გამარჯვებულ პრეტენდენტს, თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მოსთხოვოს პროექტის შედეგად გამოთავისუფლებულ მიწაზე ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის მოწყობა და გამართვა.

ამ პირობების დაკმაყოფილების მსურველთა განაცხადების მიღება 16 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. თუმცა, მოგვიანებით ვადაში კიდევ ერთი კვრით გადაიწია. ეს არ არის სიახლე. „რკინიგზის ტელეკომის“ გასაყიდი აუქციონი, გარკვეული სპეციფიკური ვითარების გამო, მანამდე რამდენჯერმე გადაიდო. სპეციფიკური ვითარება ამ აქტივთან დაკავშირებით ყოველთვის იქმნებოდა, რაც არც ახლანდელ აუქციონზეა გამორიცხული. საგულისხმოა, რომ ტენდერის პირობებში პირდაპირ არის ჩადებული მუხლი, რომელიც „საქართველოს რკინიგზას“ ანუ სახელმწიფოს (რკინიგზის 100%

სახელმწიფოს საკუთრებაა) ხელშეკრულების გაფორმებამდე ნებისმიერ დროს ტენდერის შედეგების გაუქმების საშუალებას აძლევს.

სავარაუდოდ, ამ უფლებას სახელმწიფო მხოლოდ მაშინ გამოიყენებს, თუ აუქციონზე სასურველი მოცულობის თანხას არავინ გადაიხდის, ან გამარჯვებული კომპანიის ვინაობა და წარმომავლობა სერიოზული მითქმა-მოთქმის საბაზი გახდება. ამის საფრთხე კი ძალიან რეალურია, ვინაიდან „რკინიგზის ტელეკომზე“, მისი განსაკუთრებული მოცულობის გამო, თვალი ბევრ არცთუ მეგობრულად განწყობილი ქვეყნის კომპანიას შეიძლება ჰქონდეს დადგმული.

„რკინიგზის ტელეკომის“ გასაყიდად ჯერ კიდევ გაზაფხულზე გასამართი აუქციონის დროს ძალიან ხშირი იყო საუბრები იმის თაობაზე, რომ მისი შექმნა საკუთარი შვილობილის – „როსტელეკომის“ მეშვეობით რუსულ სატელეკომუნიკაციო მონსტრს – „სვიაზინვესტს“ სურს. სწორედ ამ გზით რუსული გიგანტი აზერბაიჯანის, თურქეთისა და ევროპის ქვეყნებზე გასვლას გეგმავს, რაც მისი სტრატეგიის გაცხადებული ნაწილია.

ფოთი-ვარნას მაგისტრალური არხის ამოქმედებამდე ევროპის ოპერატორებს საქართველოს გავლით აზიაზე გასვლა რამდენიმე არხით შეუძლიათ. ერთი ნოვოროსიისკი-ფოთის მაგისტრალური არხია, რომლის მფლობელიც საერთაშორისო კონსორციუმია ქართული „ფოტონეტის“, რუსული „როსტელეკომის“ და დანიური „დანტელეკომის“ შემადგენლობით. გარდა ამისა, არსებობს მაგისტრალური არხი „ელტანეტი“, რომელიც საქართველოში საერთაშორისო მაგისტრალური ქსელების მიერთებას თურქეთთან რადიო-სარელეო კავშირის სისტემებით უზრუნველყოფს.

„რკინიგზის ტელეკომის“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით სახელმწიფო უწყებები სარგებლობენ. სახელმწიფო უწყებების სატელეკომუნიკაციო მომსახურებას „სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის“ სააგენტო განსაზღვრავს, სააგენტოს უფლება აქვს, ხელშეკრულება ნებისმიერ ინტერნეტპროვაიდერთან გააფორმოს, ხოლო „რკინიგზის ტელეკომს“ მხოლოდ ინფორმაციის გამტარის ფუნქცია დაეკისროს.

რომელი ინტერნეტ-პროვაიდერის მომსახურებით სარგებლობენ სახელმწიფო უწყებებში, ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებულია, თუმცა რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ „რკინიგზის ტელეკომის“ 100%-იან ნილს სხვა ქვეყნის სახელმწიფო კომპანია შეიძენს, ძნელი სათქმელია.

რუსული კომპანიები, დიდი ხანია, გეგმავენ ქართულ კავშირგაბმულობაში შემოღწევას. იმავე „როსტელეკომს“ არც დაუმაღავს, რომ კომპანიის სტრატეგიის მთავარი ხაზი 2009 წელს ქვეყნის საზღვრებს გარეთ ქსელის გაფართოებაა, რისთვისაც რამდენიმე მილიარდი დოლარის დახარჯვას აპი-

რებს. უმსხვილესი რუსული სატელეკომუნიკაციო კომპანიის დაინტერესება ლოგიკურია, რადგან ის ამ დროისთვის ნოვოროსიისკი-ფოთის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის აზერბაიჯანამდე მისაწვდენად „ფოტონეტის“ რესურსს იყენებს. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ „რკინიგზის ტელეკომი“ ინტერნეტით სომხეთსაც უზრუნველყოფს.

სწორედ რეგიონულ ექსპანსიაზე „დამიზნებული“ კომპანიისთვის არის „რკინიგზის ტელეკომი“ მიმზიდველი აქტივი. მხოლოდ საქართველოს ფარგლებში „ჩაკეტილი“ კომპანიისთვის ეს საკმაოდ ძვირადღირებული და გაუმართლებელი დანახარჯი იქნება.

არსებული ინფორმაციით, განაცხადები „რკინიგზის ტელეკომის“ შესაძენად მხოლოდ ორმა ქართულმა კომპანიამ – „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ და „ახალმა ქსელებმა“ შეიტანეს. „კავკასუს ონლაინმა“ კი, რომელიც თავდაპირველად ასევე გამოთქვამდა „რკინიგზის ტელეკომის“ შეძენის სურვილს და პარტნიორად ევრობანკს მიიჩნევდა, საბოლოოდ თავი შეიკავა. რაც შეეხება დანარჩენ ორს, რამდენად შეძლებენ

ისინი ახალ აქტივთან დამოუკიდებლად „დაჭიდებას“ ან ვის გაიხდის პარტნიორად, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია.

რაც შეეხება ტრანსნაციონალებს, გავრცელებული ინფორმაციით, „რკინიგზის ტელეკომის“ შეძენის სურვილი უმსხვილესმა ჰოლანდიურმა „ლინქს ტელეკომმა“ გამოთქვა, რომელიც თავისი საქმიანობით მთელ ევროპას მოიცავს.

„რკინიგზის ტელეკომის“ დასაკუთრების გაცხადებულ მსურველთაგან ჯერჯერობით ის ყველაზე მსხვილი პრეტენდენტია. თუმცა, რთული სათქმელია, მისი ინტერესი დამოუკიდებელია თუ სხვა კომპანიის ინტერესებზე „გადის“.

ცნობისათვის: „ლინქს ტელეკომის“ პარტნიორების ნუსხაში სხვებთან ერთად ოთხი მსხვილი რუსული საკომუნიკაციო კომპანიაა: „კომსტარი“ და „რეგიონთაშორისი ტრანზიტ ტელეკომი“ (შედიან ჯგუფ „სისტემაში“, რომელიც განიხილავს რუსულ სახელმწიფო საკომუნიკაციო კომპანიაში შესვლის შესაძლებლობას), „კომკორი“ („რენოვას“ ჯგუფი) და „გოლდენ ტელეკომი“ („ვიმპელკომის“ ჯგუფი). ■

დეგაპრინტი

DEGAPRINT

სიფრული ოფსეტური ბეჭდვა

ტელ.: +995 32 995007 / 998843

ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net



გალი პრეზიდენტის ბარეში

გალის რაიონი აფხაზეთის პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიის მიღმა რჩება. ეს რესპუბლიკაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების ფასია.

ანტონ კრივენიუკი, სოხუმი, გალი

აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში გალის რაიონის მხოლოდ 3 ათას ხუთასი მცხოვრები შეძლებს მონაწილეობის მიღებას. რეგიონის მოსახლეობის უმეტესობა 12 დეკემბერს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს გამოეთიშება, რადგან ერთადერთი საბუთი, რომლითაც კენჭისყრაში მონაწილეობა შეიძლება, აფხაზეთის მოქალაქის პასპორტია. შესაბამისი შესწორება საარჩევნო კანონმდებლობაში ცოტა ხნის წინ შეიტანეს, რათა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს განვითარებული მოვლენები არ განმეორებულიყო. მანამდე ხმის მიცემა ძველი საბჭოთა პასპორტით და ეგრეთ ნოდებული ფორმა N9-ითაც იყო შესაძლებელი, რაც დარღვევებისა და ფალსიფიკაციის საფუძვლი გახდა.

აფხაზეთის სხვა რაიონებთან შედარებით გალში პასპორტიზაცია სულ ახლახან, გვიან დაიწყო და სოხუმში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კონფლიქტის მიზეზი გახდა.

ოპოზიცია აცხადებს, რომ გალის აქტიური პასპორტიზაციით ხელისუფლება ცდილობს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება გაინაღდოს, რადგან აქაური მოსახლეობა 2004 წლის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე ბალაფშის ამომრჩევლად ითვლება.

ხელისუფლება ამ ბრალდებას უარყოფს და ამბობს, რომ მისი მიზანი გალის მოსახლეობის ერთიან აფხაზურ სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობაა.

ოპოზიცია განსაკუთრებით აღაშფოთა „მოქალაქეობის შესახებ კანონში“ სახელდახელოდ შეტანილმა ცვლილებებმა. ამ ცვლილებების თანახმად, გალელებს აფხაზური მოქალაქეობის მიღება განსაკუთრებული, შეღავათიანი პირობებით შეეძლო.

აფხაზეთში მოქმედი კანონის მიხედვით, ქვეყნის მოქალაქედ ითვ-



■ გალის მოსახლეობის უმეტესობა 12 დეკემბერს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებს გამოეთიშება, რადგან ერთადერთი საბუთი, რომლითაც კენჭისყრაში მონაწილეობა შეიძლება, აფხაზეთის მოქალაქის პასპორტია.

ლება ადამიანი, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის ხელმოწერამდე არანაკლებ ხუთი წელი რესპუბლიკაში ცხოვრობდა. ეს აქტი 1999 წელს მიიღეს. ანუ, ფაქტობრივად, აფხაზეთის მოქალაქეობის უფლება ომამდელი მოსახლეობის მხოლოდ იმ ნაწილმა მიიღო,

რომელსაც ომის შემდეგ რესპუბლიკა არ დაუტოვებია. კანონის შეცვლილ ვერსიაში კი მითითებული იყო, რომ გალის რაიონში მოქალაქეობის მიღების უფლება აქვთ პირებს, რომლებიც 2005 წლისთვის აქ მუდმივად ცხოვრობენ.

ეს პუნქტი იმდენად მწვავე დაპირისპირების მიზეზი გახდა, რომ პარლამენტმა ცოტა ხნის წინ მიღებული კანონი უკანვე გაიხმო. გალის რაიონში პასპორტების გაცემა კი 1 ოქტომბრიდან საერთოდ შეჩერდა.

ვიდრე 1 ოქტომბერს პასპორტიზაციის პროცესი შეჩერდებოდა, სულ რაღაც თვენახევრის განმავლობაში აფხაზეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი ოთხი ათასამდე გალში მცხოვრებმა ადამიანმა მიიღო. მანამდე მათი რიცხვი რამდენიმე ათეული იყო.

თუმცა, ეს რაიონის მოსახლეობის მხოლოდ ათი პროცენტია. რეგიონის

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კი საარჩევნო კამპანიის მიღმა დარჩება. ასეთი შემთხვევა პირველად მოხდა ომის შემდგომი 16 წლის განმავლობაში. ამ რეგიონის მოსახლეობა მეტ-ნაკლებად აქტიურად მონაწილეობდა 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებში, 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და ადგილობრივ, მუნიციპალურ არჩევნებშიც.

სავარაუდოდ, გალის პასპორტიზაცია ამ ეტაპზე ძველებურად აქტიურად აღარ გაგრძელდება.

თანაც, მოქმედი კანონმდებლობით, აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების იმედი გალის მთელ მოსახლეობას სულაც არ უნდა ჰქონდეს. ომის შემდეგ გალის მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილი დარჩა აფხაზეთში მუდმივად საცხოვრებლად. ასე რომ, შეიძლება ნონსენსი გამოვიდეს – ამ რეგიონმა, შეიძლება, საერთოდ ვერ შეძლოს თავისი ადგილობრივი ხელისუფლების არჩევა. ვერც აფხაზეთის პარლამენტში ეყოლება საკუთარი წარმომადგენლები.

ამჟამად საკანონმდებლო ხელისუფლებაში რეგიონს სამი დეპუტატი წარმოადგენს. კიდევ ორი დეპუტა-

თველო-აფხაზეთის დღევანდელი ურთიერთობის გათვალისწინებით. იმის შემონიშნა, ნამდვილად თქვა თუ არა ადამიანმა უარი საქართველოს მოქალაქეობაზე, რთულია. თანაც, ადგილობრივ მოსახლეობას ძალზე სუსტი მოტივაცია აქვს საქართველოს მოქალაქეობაზე უარის სათქმელად. გალში მცხოვრებნი საქართველოდან სოციალურ დახმარებას იღებენ, ასევე სარგებლობენ ყველა სხვა შესაძლებლობებით, რასაც საქართველოს მოქალაქეობა ითვალისწინებს.

აფხაზეთის პოლიტიკურ სივრცეში არის მხოლოდ ორი ძალა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გალში ჩასვლას და საარჩევნო კამპანიის იქ წარმოებას გეგმავს. ეს არის „ედი-ნაია აფხაზია“, რომლის საპრეზიდენტო კანდიდატი მოქმედი პრეზიდენტი სერგეი ბალაფშია და ოპოზიციური პარტია „ერა“ ბესლან ბუტბას ლიდერობით. „ერა“ ერთადერთი ოპოზიციური ძალაა, რომელიც გალის პასპორტიზაციის წინააღმდეგ არ გამოდიოდა. იგი ასევე ერთადერთია, რომელიც ითხოვს პოლიტიკის გააქტიურებას გალის მოსახლეობის ერთიან აფხაზურ სივრცეში ინტეგრაც-

იის რესურსები გალის რაიონში საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ძალზე შეზღუდულია. ოპოზიციის განკარგულებაშია მხოლოდ პლაკატები, ბუკლეტები და აგიტატორები, რომლებიც სახლიდან სახლში თუ ივლიან. რაც შეეხება მედია რესურსებს, მათი გამოყენება გალში ოპოზიციას არ შეუძლია.

გალის რაიონში აფხაზური არხებიდან მხოლოდ სახელმწიფო ტელევიზია მაუწყებლობს, რომელიც მოქმედი პრეზიდენტის პროპაგანდითაა დაკავებული. ბესლან ბუტბას კუთვნილი ტელეარხი „აბაზა“ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მაუწყებლობისთვის საჭირო ლიცენზიას ვერ იღებს. ხელისუფლებასვე ემსახურება ადგილობრივი გაზეთიც, რომელიც რუსულ და მეგრულ ენებზე გამოდის. ოპოზიციური და დამოუკიდებელი გამოცემები გალის რაიონამდე ცუდად აღწევს. თუმცა აქ მათი წამკითხავიც არავინაა – აფხაზური ენა აქ არავინ იცის. რუსულიც ცუდად იციან საიმისოდ, რომ პრესა იკითხოთ.

დღეს ხელისუფლებაც და ოპოზიციაც თანხმდებიან, რომ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება-

■ გალის რაიონში აფხაზური არხებიდან მხოლოდ სახელმწიფო ტელევიზია მაუწყებლობს, რომელიც მოქმედი პრეზიდენტის პროპაგანდითაა დაკავებული.

ტია არჩეული ოლქებში, რომლებიც ტყვარჩელისა და ოჩამჩირის შემადგენლობაში გადაცემულ სოფლებს აერთიანებს. ამ სოფლებშიც ასევე ქართული მოსახლეობა ცხოვრობს.

„ოპოზიცია დარწმუნებული არაა, რომ გალში ბალაფშის პოზიციები გაფუჭდა. თანაც აქ, ისე როგორც არსად, ადმინისტრაციული რესურსის ჩართვა შეიძლება. ბუნებრივია, პრეზიდენტიც კარგად ხვდება გალის რაიონში თავის შესაძლებლობებს“, – ამბობს ახალგაზრდული ორგანიზაცია „აპსილაას“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ასტამურ ლოგუა.

თუმცა, გალში პასპორტიზაციის შეჩერების მოთხოვნისას, ოპოზიცია ხმამაღლა სულ სხვა არგუმენტებს ასახელებდა. მათ შორის მთავარი ის იყო, რომ აფხაზური პასპორტის გაცემა, ქართულ პასპორტზე უარის თქმის გარეშე, დანაშაულია საქარ-

ციის მიზნით. ამ ორივე პოლიტიკურ ძალას აქვს რეგიონული ოფისები და აგიტატორთა ქსელი ადგილებზე.

ოპოზიციის კიდევ ერთი კანდიდატის – რაულ ხაჯიმბას გარშემო კი თავი მოიყარეს რადიკალურად განწყობილმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც გალის რაიონის მოსახლეობის პოლიტიკურ აქტიურობას ეწინააღმდეგებიან და ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში მათ ჩართვას აპროტესტებენ.

გალის რაიონული ადმინისტრაციის თანამშრომელი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, ამბობს, რომ რაიონში სერგეი ბალაფშის პოზიციები გაუარესდა. „მან ბევრი დანაპირები არ შეასრულა. კერძოდ, არ გააუქმა მიწის გადასახადი. ადამიანები ისევ დანგრეული გზებით მგზავრობენ. შესაძლოა, მოსახლეობის ნაწილმა აქ ოპოზიციას, მაგალითად, ბუტბას მისცეს ხმა“, – ამბობს ის.

ზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედი უახლოესი წლების განმავლობაში. ეს პირველი არჩევნებია მას შემდეგ, რაც რიგმა ქვეყნებმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარეს. აფხაზეთმა უნდა დაუმტკიცოს მტრებსაც და მეგობრებსაც, რომ შემდგარი ქვეყანაა, რომელსაც დამოუკიდებლად შეუძლია საკუთარი მომავლის შენება. სამწუხაროა, რომ ამ უმნიშვნელოვანესი, ისტორიული პროცესისგან ქვეყნის მოსახლეობის ერთი ნაწილი სრულიად გათიშული აღმოჩნდა. შესაძლოა, ამ ეტაპზე საარჩევნო მარათონიდან გალის ამოვარდნამ პოლიტიკური ოპონენტები დაპირისპირებისგან იხსნა, მაგრამ რა შედეგი ექნება ამას მომავალში, არავინ იცის. ■

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს და არა „ლიბერალს“

აზერბაიჯანი და სომხეთი მშვიდობის ზღვარზე?

დაიდება თუ არა ჩარჩო ხელშეკრულება,
რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის ყველაზე უფრო
ხანდაზმული კონფლიქტის მოგვარების პრინციპებს
შეიმუშავებს?

შაჰინ რზაევი, ბაქო

ყარაბაღის სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში უპრეცედენტო აქტიურობაა. სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები – ილჰამ ალიევი და სერჟ სარგსიანი მიუხედავად მთიანი ყარაბაღის საკითხზე საგანგებო, წელს უკვე მეექვსე შეხვედრას გამართავენ. ამ შეხვედრის შემდეგ სამშვიდობო მოლაპარაკებებში სერიოზული გარღვევა მოსალოდნელია.

მთიანი ყარაბაღის გარშემო კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის 1988 წელს დაიწყო, როცა ყარაბაღი საბჭოთა აზერბაიჯანის შემადგენლობაში შედიოდა. კონფლიქტის შეიარაღებული ფაზის დასრულებისა და 1994 წელს მხარეების დაზავების შემდეგ ყარაბაღს მართავს მთავრობა, რომელიც ადგილობრივი სომხებითა და კომპლექტებული. ათობით ათასი აზერბაიჯანელი დევნილობაშია. გარდა უშუალოდ მთიანი ყარაბაღის ტერიტორიისა, სომხური მხარის კონტროლქვეშა ასევე აზერბაიჯანის შვიდი რაიონი, რომელიც ყარაბაღს ესაზღვრება. გაერო-ს უშიშროების საბჭომ მრავალრიცხოვანი რეზოლუციებით დაგმო სომხეთის მიერ ყარაბაღის მოსაზღვრე აზერბაიჯანული ტერიტორიების ოკუპირების ფაქტი. მთიანი ყარაბაღი დღეს არც ერთი ქვეყნის, მათ შორის, არც სომხეთის მიერ არ არის აღიარებული.

მართალია, მთიანი ყარაბაღი გაყინულ კონფლიქტად ითვლება, მაგრამ მშვიდობა აქ ძალზე მყიფეა. კონფლიქტის შეიარაღებული ფაზის დასრულების შემდეგ საზღვართან ორმხრივი სროლებისა და სნაიპერთა ტყვიების შედეგად ორივე მხარეს ყოველწლიურად დაახლოებით 150-200 ჯარისკაცი იღუპება. მუდმივ

შიში ცხოვრობენ საზღვრისპირა სოფლების მცხოვრებნი, რომელთათვისაც მინის ნაკვეთების დამუშავება და საქონლის მწყემსვაც კი ძალზე სახიფათო საქმიანობაა.

კონფლიქტის მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე მხარეები კონფლიქტის მოგვარების პრინციპებთან დაკავშირებული ჩარჩო ხელშეკრულების ხელმოწერასთან ასე ახლოს არასოდეს ყოფილან. ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი თითქმის შეჯერებულია, თუმცა კვლავაც რჩება წყალქვეშა ნალღები, რომლებმაც ნებისმიერ წუთს შეიძლება შეწყვიტონ სამშვიდობო პროცესი.

ყარაბაღთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისთვის სასიკეთო ატმოსფეროს შექმნა ოქტომბრის შუა რიცხვებში ციურისში ხელმოწერილმა სომხეთ-თურქეთის ოქმებმაც განაპირობა.

თურქეთი – აზერბაიჯანის მეგობარი ქვეყანა, რომელმაც 1993 წელს სომხეთთან საზღვარი ბაქოსთან სოლიდარობის ნიშნად ჩაკეტა, აცხადებს, რომ ამ საზღვარს მხოლოდ მაშინ გახსნის, რაც ერევანი მთიანი ყარაბაღის გარშემო ოკუპირებული ტერიტორიებიდან გავა. ამ შინაარსის განცხადება თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა უკვე რამდენჯერმე გააკეთა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იქნება ერდოღანის აშშ-ში ვიზიტი დეკემბრის დასაწყისში.

ანკარასთან დიალოგისას სომეხი დიპლომატები ცდილობენ, ყარაბაღის საკითხი მკვეთრად გამოიწონ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების თემისგან და თურქ კოლეგებთან შეხვედრებისას სიტყვა „მთიანი ყარაბაღის“ ხსენებასაც კი გაუზიარონ. ერევანს არ სურს თურქეთთან ურთიერთობების ყარაბაღის



ხარჯზე აღდგენა.

მიმდინარე წლის ივლისში პრესაში გამოქვეყნდა ეგრეთ წოდებული „მადრიდული პრინციპები“, რომელთა საფუძველზეც, მოსალოდნელია მთიანი ყარაბაღის საკითხზე მხარეებს შორის ჩარჩო შეთანხმების ხელმოწერა. ეს პრინციპები შემდეგი პუნქტებისგან შედგება:

1. მთიანი ყარაბაღის გარშემო მდებარე ტერიტორიების აზერბაიჯანის კონტროლქვეშ ან აზერბაიჯანისთვის დაბრუნება;
2. მთიანი ყარაბაღისთვის გარდამავალი სტატუსის მინიჭება, მისი უსაფრთხოებისა და თვითმმართველობის უზრუნველყოფა;
3. სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის დამაკავშირებელი დერეფნის უზრუნველყოფა;
4. რეფერენდუმის ჩატარების გზით ყარაბაღისთვის საბოლოო სამართლებრივი სტატუსის მინიჭება, რასაც აუცილებელი სამართლებრივი შედეგები უნდა მოჰყვეს;
5. ადგილობრივი პირებისა და დევნილების თავიანთ სახლებში დაბრუნების უფლება;
6. უსაფრთხოების საერთაშორისო გა-



■ ილჰამ ალიევი და სერჟი სარგსიანი

ტიტუციის შეცვლა მოუწევს (გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ავორიტარული მმართველობის პირობებში ეს ძალზე იოლი საქმეა). თუმცა, აზერბაიჯანის ხელისუფლებას ჯერ რეფერენდუმზე თანხმობა არ განუცხადებია. პრეზიდენტი ილჰამ ალიევი „მადრიდული პრინციპების“ კომენტირებისას ამბობს: „პირველ ეტაპზე შეიძლება დროებით სტატუსზე შევთანხმდეთ, ხოლო საბოლოო სტატუსი მაშინ გადაწყდება, როდესაც ამაზე მოვილაპარაკებთ. ეს, შესაძლოა, ერთ წელიწადში მოხდეს, შესაძლოა – ათ წელიწადში, ასში, ან სულაც არ მოხდეს“.

ჯერ ისევ დაუდგენელია აზერბაიჯანელი დევნილების მთიან ყარაბაღში დაბრუნების პირობები და ვადები. სომხურ მხარეს მიაჩნია, რომ დევნილები ყარაბაღის საბოლოო სტატუსის განსაზღვრის შემდეგ უნდა დაბრუნდნენ. აზერბაიჯანული მხარე კი თვლის, რომ ეს მანამდე უნდა მოხდეს, რათა მათაც მიიღონ მონაწილეობა სტატუსის განსაზღვრის პროცესში.

კონსენსუსი მიღწეულია საერთაშორისო გარანტიებისა და მშვიდობისმყოფელთა განლაგების საკითხშიც. აზერ-

■ კონფლიქტის მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე, მხარეები კონფლიქტის მოგვარების პრინციპებთან დაკავშირებული ჩარჩო ხელშეკრულების ხელმოწერასთან ასე ახლოს არასოდეს ყოფილან.

რანტიები, რაც ასევე სამშვიდობო საქმიანობასაც გულისხმობს.

ცხადია, ამ სახით ჩამოყალიბებული პრინციპები ძალზე არაკონკრეტულია და სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. სწორედ ამით სარგებლობს ორივე მხარე შიდა აუდიტორიასთან საუბრისას.

სომხეთი თანახმაა, საწყის ეტაპზე შეიძინოს ოკუპირებული რაიონიდან ხუთი გაათავისუფლოს. დანარჩენი ორიდან გასვლას კი მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდება, როცა მთიანი ყარაბაღის საბოლოო სტატუსი განისაზღვრება. აზერბაიჯანიც არ არის ოკუპირებული რაიონების ეტაპობრივად დაბრუნების წინააღმდეგი. ის თანახმაა, პირველ ეტაპზე 5 რაიონი დაუბრუნდეს, თუმცა ითხოვს, დანარჩენი ორი რაიონიდან სომხური ძალების გასვლის ვადები წინასწარ განისაზღვროს.

აზერბაიჯანი ასევე თანახმაა მთიანი

ყარაბაღისთვის გარდამავალი სტატუსის მინიჭებაზე. თუმცა, ამ თანხმობას ყოველ ჯერზე თან ახლავს პირობა, რომ სტატუსი „აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში“ უნდა განისაზღვროს. კონკრეტულად რა დატვირთვა ექნება ამ სტატუსს, ჯერ არაა ცნობილი.

თითქმის შეთანხმებულია მთიანი ყარაბაღისა და სომხეთის დამაკავშირებელი დერეფნის გახსნის საკითხი. აქ მხოლოდ ტექნიკური დეტალების გარკვევაა დარჩენილი.

მხარეებს შორის ყველაზე პრინციპულ აზრთა სხვადასხვაობას მთიანი ყარაბაღის საბოლოო სტატუსის რეფერენდუმის გზით გადაწყვეტა იწვევს.

აზერბაიჯანის კონსტიტუცია ქვეყნის ერთ ცალკეულ ნაწილში რეფერენდუმის ჩატარებას კრძალავს. ამდენად, თუ აზერბაიჯანის ხელისუფლება ამ პუნქტს დათანხმდება, მაშინ ჯერ ქვეყნის კონს-

ტიტუციის შეცვლა მოუწევს (გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ავორიტარული მმართველობის პირობებში ეს ძალზე იოლი საქმეა). თუმცა, აზერბაიჯანის ხელისუფლებას ჯერ რეფერენდუმზე თანხმობა არ განუცხადებია. პრეზიდენტი ილჰამ ალიევი „მადრიდული პრინციპების“ კომენტირებისას ამბობს: „პირველ ეტაპზე შეიძლება დროებით სტატუსზე შევთანხმდეთ, ხოლო საბოლოო სტატუსი მაშინ გადაწყდება, როდესაც ამაზე მოვილაპარაკებთ. ეს, შესაძლოა, ერთ წელიწადში მოხდეს, შესაძლოა – ათ წელიწადში, ასში, ან სულაც არ მოხდეს“.

ჯერ ისევ დაუდგენელია აზერბაიჯანელი დევნილების მთიან ყარაბაღში დაბრუნების პირობები და ვადები. სომხურ მხარეს მიაჩნია, რომ დევნილები ყარაბაღის საბოლოო სტატუსის განსაზღვრის შემდეგ უნდა დაბრუნდნენ. აზერბაიჯანული მხარე კი თვლის, რომ ეს მანამდე უნდა მოხდეს, რათა მათაც მიიღონ მონაწილეობა სტატუსის განსაზღვრის პროცესში.

კონსენსუსი მიღწეულია საერთაშორისო გარანტიებისა და მშვიდობისმყოფელთა განლაგების საკითხშიც. აზერ-

ბაიჯანი წინააღმდეგი არ არის თავის ტერიტორიაზე სამშვიდობო ძალებს უმასპინძლოს. დასაზუსტებელია მხოლოდ მათი შემადგენლობა. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა სახელმწიფო ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „მადრიდული პრინციპები“ მისი ქვეყნის ინტერესებს პასუხობს. ამასთან ალიევიმ აღნიშნა, რომ სომხური მხარე განგებ აჭიანურებს სამშვიდობო პროცესს, რადგან არსებული სტატუს კვოს შენარჩუნება მის ინტერესებშია.

ალიევის ოპტიმიზმს „მადრიდული პრინციპებთან“ დაკავშირებით აზერბაიჯანში ბევრი არ იზიარებს. მაგალითად, ყოფილმა სახელმწიფო მრჩეველმა, ახლა კი დამოუკიდებელმა პოლიტოლოგმა ვაფა გულუზადემ მკაცრად გააკრიტიკა მომავალი შეთანხმების პრინციპები: „ეს პრინციპები საერთაშორისო ნორმებს ეწინააღმდეგება“

და აზერბაიჯანის დანაწევრებისკენა მიმართული. შუამავლები ცდილობენ, ერის თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპები შეაჯვარონ, მაგრამ ამასთან აზერბაიჯანული მიწების ოკუპაციის ფაქტს არ გამოხედავენ, – ამბობს პოლიტოლოგი.

„მადრიდული პრინციპების“ წინააღმდეგ აზერბაიჯანული ოპოზიციაც გამოდის. მაგალითად, კლასიკური სახალხო ფრონტის პარტიის ლიდერმა მირახმედ მირალიოღლუმ „მადრიდული პრინციპების“ წინააღმდეგ ყველას ეროვნული დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა. ამ საკითხში მას მხარს უჭერს დეპუტატი ნევერი, ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პანაჰ ჰუსეინი. მისი შეფასებით, „აზერბაიჯანის პრეზიდენტის ბოლო გამოსვლებში აღარ შეინიშნება ძველებური სიმტკიცე ოკუპირებული ტერიტორიების ნებისმიერი გზით გათავისუფლებასთან დაკავშირებით“. ჰუსეინი საზოგადოებას „სამარცხვინო მშვიდობის“ წინააღმდეგ კონსოლიდაციისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, „მადრიდული პრინციპები“ „სამარცხვინო მშვიდობის“ დამყარებისკენაა მიმართული და არა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ.

საზოგადოებრივი აზრი და კონფლიქტის მონაწილე რომელიმე ქვეყანაში შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაცია მშვიდობიანი პროცესის სერიოზულ დაბრკოლებად შეიძლება იქცეს. მაგალითად ისეთი, როგორც 1999 წელს სომხეთში იყო, როცა 27 დეკემბერს სომხეთის პარლამენტში ტერაქტი მოხდა. მსგავსი სცენარის განვითარება აზერბაიჯანში ნაკლებად სავარაუდოა, თუმცა ამის სრულიად გამორიცხვაც არ შეიძლება.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებად შეიძლება იქცეს „მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელების პოზიცია, რომლებმაც არაერთხელ განაცხადეს, რომ მათი მონაწილეობის გარეშე ხელმოწერილი ნებისმიერი შეთანხმება უარყოფილი იქნება. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ აშშ-ს, ევროკავშირისა და რუსეთის ინტერესთა თანხვედრის შემთხვევაში, ყარაბაღის დე ფაქტო ხელისუფლებამ ვერ გაბედავს წინ აღუდგეს მოსკოვსა და ერევანს.

ფაქტია, რომ სერიოზული ცვლილებების დრო დგება. 15-ზე მეტი წლის განმავლობაში პირველად „მშვიდობას შანსი მიეცა“. ახლა პოლიტიკოსების საქმეა, ეს შანსი ხელიდან არ გაუშვან. **■**

სომხეთი, საქართველო, თურქეთი

უაღტერნატივო გზა

საქართველო სომხეთისთვის უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო დერეფნად დარჩება, იმის მიუხედავად, შეწყვეტს თუ არა თურქეთი ბლოკადას.

თათულ ჰაკოპიანი, ერევანი, სტამბოლი



ყარსის სადგური

სომხეთს, გარდა იმისა, რომ ხმელეთითაა გარემოცული (ანუ ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნია), თავისი ოთხი უშუალო მეზობლიდან ორთან საზღვარი აქვს ჩაკეტილი. რუკაზე კარგად ჩანს, რა სავალალო მდგომარეობაშია სომხეთი: ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ტერიტორიულად ყველაზე პატარა ქვეყანას აღმოსავლეთიდან და

დასავლეთიდან თურქეთი და აზერბაიჯანი ბლოკავენ. ჩაკეტილია სომხეთის საზღვრების თითქმის 80 პროცენტი, შესაბამისად, გადაკეტილია აზერბაიჯანსა და თურქეთში შემავალი და სომხეთიდან გამავალი ყველა გზა, სარკინიგზო ხაზები და გაზსადენები.

სამხრეთით მოსაზღვრე ირანთან სომხეთს სულ 40 კმ-ის სიგრძის, თუ-

მცა ძალზე მნიშვნელოვანი საზღვარი აკავშირებს, რომელიც მდინარე არაკსს მიუყვება.

თუმცა, სასიცოცხლო მნიშვნელობის საზღვარი სომხეთს საქართველოსთან აქვს, რადგან ამ ქვეყანაზე გადის მისი გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ყველა სახმელეთო, სარკინიგზო და საზღვაო გზა. საგარეო ტვირთბრუნვის 70 პროცენტი სწორედ საქართველოს ტერიტორიის – ქართული რკინიგზების, ბათუმისა და ფოთის პორტების გავლით ხორციელდება.

საქართველოზე გადის ის მილსადენიც, რომლითაც სომხეთს რუსული გაზი მიეწოდება. მართალია, რამდენიმე წლის წინ ირანი-სომხეთის ალტერნატიული გაზსადენიც აშენდა, თუმცა დღემდე სომხეთი მხოლოდ რუსულ „ცისფერ აირს“ მოიხმარს. ირანიდან შემოსული გაზი სომხეთში ელექტროენერჯიად იქცევა და უკან, ირანიშივე ბრუნდება. რუსულ-ქართული სასაზღვრო ჭიშკარი – ზედა ლარსი-ყაზბეგი ისევ რომც გაიხსნას, ეს სომხური ეკონომიკისთვის უმნიშვნელო იქნება, რადგან, სომხეთისთვის საქართველოს სარკინიგზო ხაზები და შავი ზღვისპირა პორტები გაცილებით მნიშვნელოვანია.

თურქეთის მხრიდან ბლოკადის გაუქმებისა და სომხეთ-თურქეთის საზღვრის გახსნის შემთხვევაში, სომხეთს

■ სომხეთისთვის საქართველოს სატრანზიტო მნიშვნელობა შეიძლება შემცირდეს ერთადერთ შემთხვევაში – თუ მთიანი ყარაბაღის პრობლემა გადაიჭრება და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდება.

გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი, ახალი ალტერნატიული გზები გაუჩნდება. ავტომატურად გაიხსნება ორი სახმელეთო ჭიშკარი (ერთი 40 კილომეტრში ერევნიდან საკონტროლო-გამშვები პუნქტი ალიჯანი-მარგარა, მეორე კი – ყარსი-გიუმრის მონაკვეთზე); ასევე გაიხსნება თურქეთისა და სომხეთის სარკინიგზო ხაზების ურ-

თერთდამაკავშირებელი, 1933 წლიდან გაუქმებული მონაკვეთი – ყარსი-გიუმრი; თურქეთი-სომხეთის საჰაერო საზღვარი (დერეფანი H-50), რომელიც ანკარას რამდენიმე წლით ჰქონდა ჩაკეტილი, და მხოლოდ 1996 წელს არასრული დატვირთვით აღდგა.

მეორე საკითხია, თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნის შემთხვევაში, ისარგებლებს თუ არა სომხეთი თურქული სარკინიგზო ხაზებით? რამდენად მომგებიანი იქნება ეს სომხეთისთვის და რამდენად მზად არის თურქეთის რკინიგზა, ქართულს კონკურენცია გაუწიოს?

ვისაც თურქეთის ტერიტორიაზე ადგილობრივი რკინიგზის საშუალებით უმოგზაურია, დამეთანხმება, რომ ამ ქვეყნის სარკინიგზო საფარი სავალალო მდგომარეობაშია. სამგზავრო მატარებელი ყარსიდან სტამბოლამდე ჩასვლას 45 საათს ანდომებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თურქული რკინიგზის საშუალო სისწრაფე მხოლოდ 20-25 კმ/სთ-ია. სწორედ ამის გამოა, მატარებლებით თავად თურქებიც ძალიან იშვიათად რომ სარგებლობენ.

ასი წლის წინათ დაგებული თურქული სარკინიგზო სისტემა ისეთ უიმედო მდგომარეობაშია, რომ სერიოზული ტვირთის გადასაზიდად მისი გამოყენება უბრალოდ შეუძლებელია. რასაკვირველია, ნაწილობრივ სომხეთი თურქული ტრანზიტითაც ისარგებლებს, პირველ რიგში – სახმელეთო გზებით, მაგრამ აბსოლუტურად ცხადია, რომ უახლოესი ათწლეულის განმავლობაში, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და სარკინიგზო ხაზების კარგი მდგომარეობის წყალობით, საქართველო სომხეთისთვის მაინც ყველაზე მნიშვნელოვან სატრანზიტო სახელმწიფოდ დარჩება.

როგორც ვთქვით, სომხეთის საგარეო ტვირთბრუნვის 70 პროცენტი საქართველოს სარკინიგზო გზებისა და შავი ზღვის პორტების გავლით ხორციელდება.

რუკას თუ დავხედავთ, მივხვდებით, რომ სარკინიგზო გზა ერევნიდან ბათუმისა და ფოთის პორტებამდე სიგრძით სამჯერ უფრო მოკლეა, ვიდრე თურქეთის სარკინიგზო გზა ერევნიდან თურქეთის სამსუნის პორტამდე.

მეტიც, ქართული სარკინიგზო ხაზი ძირითადად დაბლობებზე გადის, თურქული კი – უფრო მთა-გორიან რაიონებზე. რატომ უნდა ისარგებლოს სომხეთმა სამჯერ უფრო გრძელი და

საშინელ მდგომარეობაში მყოფი თურქული სარკინიგზო ხაზით, როდესაც სომხური ტვირთის ერევნიდან ბათუმამდე გადაზიდვას ერთ დღეზე ნაკლები დრო სჭირდება, ერევნიდან თურქეთის სამსუნის პორტამდე კი – ორ დღეზე მეტი?

კონკურენციის პირობებში, საქართველო მაინც იძულებული გახდება, მეტ-ნაკლებად შეამციროს მის ტერიტორიაზე გავლისთვის დანესებული სატრანზიტო ტარიფები.

მაგრამ, თურქული ტარიფები ქართულთან მიმართებაში შეუდარებლად დაბალიც რომ აღმოჩნდეს, საქართველო მაინც უალტერნატივოდ დარჩება.

სომხეთისთვის საქართველოს სატრანზიტო მნიშვნელობა შეიძლება შემცირდეს ერთადერთ შემთხვევაში – თუ მთიანი ყარაბაღის პრობლემა გადაიჭრება და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ნორმალური ურთიერთობა დამყარდება. მაშინ, საქართველოს სარკინიგზო გზების გარდა, სომხეთი ასევე აზერბაიჯანული რკინიგზითაც ისარგებლებს თავის უმნიშვნელოვანესი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორის – რუსეთის და ევროპის ტერიტორიაზე გასასვლელად. თუკი ერევანი და ბაქო ნორმალურ ურთიერთობას დაამყარებენ, მაშინ სომხეთს შეეძლება ირანთანაც ალადგინოს სარკინიგზო კავშირი. უკვე ოცი წელია, გაუქმებულია სარკინიგზო ხაზი ერევანი-თავრიზი-თეირანიც, რადგან ის აზერბაიჯანის, უფრო ზუსტად, ნახიჩევანის ტერიტორიაზე გადის. თუმცა, ცხადია, ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებას უახლოეს მომავალში არავინ ელის.

ცოტა ხნის წინ სომხეთმა და ირანმა მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომლის ღირებულება, სხვადასხვა შეფასებებით, ერთიდან ორი მილიარდი დოლარის ფარგლებში მერყეობს. ეს რკინიგზა მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ ქართულს მაინც ვერ შეცვლის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ყველაზე მომგებიანი იქნებოდა სომხეთისთვის აფხაზეთის სარკინიგზო ხაზის აღდგენა. თუმცა, ეს პერსპექტივაც ძალიან ბუნდოვანია, იქიდან გამომდინარე, თურა ურთიერთობები აქვთ დღეს საქართველოსა და რუსეთს. ■

თათულ აკობიანი არის ერევნის ფონდ „სივილიტასის“ ექსპერტი

საქართველოს როლი კავკასიაში

საქართველო – „დემოკრატიის უნივერსიტეტი“ კავკასიაში?

მოდერნიზებული, დემოკრატიული პროექტის შეთავაზებით საქართველოს შეუძლია კონკურენცია გაუწიოს რუსულ იმპერიულ პოლიტიკას კავკასიაში.

ვალერი ძუცვეი, ვაშინგტონი



ვლადიმერ პუტინი და მიხეილ სააკაშვილი

როდესაც სიტყვა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაზე ჩამოვარდება, პირველ რიგში იგულისხმება შეუარიგებელი ანტაგონისტები, ბრძოლა საერთაშორისო თუ შიდა საზოგადოებრივი აზრისთვის.

მიუხედავად ამ ნინაღმდეგობებისა, კავკასიაში, შესაძლოა, გაჩნდეს პოზიტიური კონკურენცია რუსულ იმპერიულ პოლიტიკასა და ქართულ ანუ ქართულ-დასავლურ რეგიონულ დემოკრატიულ პროექტს შორის.

კავკასიაში რუსეთი რომ იმპერიულ პროექტს ახორციელებს, ამის დასტურად 2008 წლის მოვლენები გამოდგება: აგვისტოს ომი, აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება და, რაც მთავარია, მოსკოვსა და ამ ორ ტერი-

■ საქართველო რეალურად შეიძლება გახდეს რეგიონის დემოკრატიული ძალებისთვის მიმზიდველი ქვეყანა. ოღონდ იმ პირობით, თუ საქართველოს მთავრობა შეგნებულად და ღიად იტყვის უარს იმპერიულ პროექტზე და არჩევანს დემოკრატიული რეგიონული განვითარების სასარგებლოდ გააკეთებს.

ტორიას შორის ვასალური კავშირი.

ბოლო დროს გაჩნდა იმის ნიშნები, რომ საკუთარი ალტერნატიული პროექტით რეგიონში შესვლას საქართველოც აპირებს. ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ადასტურებს ისიც, რომ იანვრიდან მაუწყებლობას დაინყებს ახალი ქართული რუსულენოვანი ტელეარხი, რომელიც თანამგზავრის მეშვეობით მთელ კავკასიას დაფარავს. განვითარებად ქვეყნებში, სადაც მედია ჯერჯერობით მომგებიან ბიზნესად ვერ იქცა, ტელევიზიებს ტყუილად არავინ ქმნის. გავისხენოთ იგივე ქართული პროექტი – ტელეკომპანია „ალანია“, რომელსაც მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები ჰქონდა. ახალი ტელევიზიის გახსნის სურვილი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს მზარდი ინტერესი აქვს კავკასიის რეგიონის, მათ შორის, მისი ჩრდილოეთ ნაწილის მიმართ.

რუსეთის იმპერიული ინტეგრაციული პროექტი, პირველ რიგში, გულისხმობს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში სამხედრო ძალისთვის არაპროპორციულად დიდი მნიშვნელობის მინიჭებას, მცირე პარტნიორებთან ურთიერთობაში მკაცრ დიქტატსა და მათგან უსიტყვო მორჩილებას. ასევე, ურთიერთობათა მკაცრი ეკონომიკური და პოლიტიკური ვერტიკალის აგებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საგარეო პარტნიორებთანაც. დამოკიდებული ტერიტორიების თვითმყოფად, წარმატებულ განვითარებას ეს პროექტი არ ითვალისწინებს.

ინტეგრაციის ქართულ ვარიანტში, რომელსაც თბილისი აგვისტოს ომამდე გეთავაზობდა, რუსულთან ბევრი მსგავსების მოძებნა შეიძლებოდა.

ცხადია, კავკასიის იმპერიული მონყობის რუსული გეგმა გაცილებით ფართომასშტაბიანი იყო, ვიდრე საქართველოს ხელისუფლების პროექტი სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დამორჩილებასთან დაკავშირებით. 2008 წლის აგვისტოში ორი იმპერიული გეგმა ერთმანეთს შეეჯახა და თბილისის გეგმამ მოსალოდნელი მარცხი იწვნია.

დღეს საქართველოს, განვითარების ალტერნატიული მოდელის შეთავაზების გარდა, სხვა გზა აღარ დარჩა.

კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება უნიკალურია თავისი ჩიხურობითა და ამავდროულად პოლიტიკური პლურალიზმით. რუსეთი ორი ასწლეულის მანძილზე ასე თუ ისე სრულად აკონტროლებდა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას. ხოლო უკანასკ-

ნელ წლებში რეგიონში გაჩნდა ერთადერთი ქვეყანა – საქართველო, რომელმაც რეალური დამოუკიდებლობა მოიპოვა რუსეთისგან. ის გახდა ტერიტორია, რომელზეც რუსეთს უპრეცედენტოდ მწირი გავლენა აქვს, განსაკუთრებით კი – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წარმევის შემდეგ.

კავკასიის ისტორიაში მანამდეც ყოფილა პერიოდები, როცა რეგიონის ნაწილი ან მთლიანად რეგიონი ერთდროულად რამდენიმე იმპერიის გავლენის ქვეშ არსებობდა. თუმცა, აქამდე კავკასიაში არასოდეს შემოსულა მოთამაშე, როგორცაა აშშ ან ევროკავშირი, რომლებიც თავიანთ კავკასიელ მოკავშირეებს არა მხოლოდ გაუფონარ საგარეო და შიდაპოლიტიკურ თავისუფლებას აძლევენ, არამედ მოითხოვენ და მოელიან კიდევ მათგან მათივე მოქალაქეების უფლებების გაზრდას.

მოვლენათა ამგვარ განვითარებას კავკასიაში დემოკრატიული და იმპერიული ინტეგრაციული პროექტების გარდაუვალი კონკურენცია უნდა მოჰყვეს. რატომ ინტეგრაციული? რადგან დღეს უკვე საკმაოდ თვალსაჩინოა, რომ მცირერიცხოვან კავკასიელ ხალხებს დამოუკიდებელი ეკონომიკური არსებობა არ შეუძლიათ და თვით მრავალრიცხოვანი კავკასიელი ხალხებიც ერთმნიშვნელოვნად მეტს მოიგებენ მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით. გარდა ამისა, პოლიტიკური თვალსაზრისითაც ძნელად წარმოსადგენია კავკასიელი ერებისთვის მშვიდობიანი თანაარსებობა ამა თუ იმ ინტეგრაციული ინსტიტუტების გარეშე.

კავკასია, განსაკუთრებით კი მისი ჩრდილოეთი ნაწილი, სრულიად იზოლირებულია გარე სამყაროსგან, მათ შორის – გარკვეულწილად რუსეთის ფედერაციისგანაც. ამდენად, სხვადასხვა ინტეგრაციული პროექტი კავკასიაში ბევრ სიახლეს მოიტანს.

კავკასია უმნიშვნელოდაა ჩართული შრომის განაწილების საერთაშორისო სისტემაში, ასევე ნაკლებად განვითარებულია რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია. ეს საკითხები დიდხანს ვერ დარჩება გადაუჭრელი. მოსკოვსაც კი, რომელიც შეგნებულად ცდილობს, იზოლაციაში ამყოფოს ჩრდილოეთი კავკასია, ამ მხრივ რალაციის გაკეთება მოუწევს.

პერმანენტული არასტაბილურობა სამოქალაქო ომის ელემენტებით – ასე შეიძლება დავახასიათოთ სიტუაცია, რომელიც დღეს ჩრდილოეთ კავკასიაშია შექმნილი.

ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების პოლიტიკური თავისუფლება დაახლოებით იმ პერიოდს შეესაბამება, როდესაც ყოფილ საბჭოთა კავშირში ტოტალიტარიზმი ყვაოდა. თანაც ხელისუფლების მხრიდან გაუთვალისწინებელი ქმედებების ალბათობა მაშინდელზე გაცილებით მაღალია.

თუ საბჭოთა ეპოქაში დისიდენტების ბედს კანონი წყვეტდა – მათ ციხეებში სვამდნენ ან ქვეყნიდან ასახლებდნენ, დღევანდელ რუსეთში, კანონმდებლობის დონეზე განსხვავებული აზრის ქონა და პოლიტიკური პლურალიზმი დაშვებულია. თუმცა, ამავე დროს, ჩრდილოეთ კავკასიაში მოღვაწე ადამიანის უფლებათა დამცველებს, ჟურნალისტებსა და არატრადიციული ისლამის მიმდევრებს უბრალოდ კლავენ. მკვლევლები რეგულარულია და მათ არავინ იძიებს.

ასეთ ვითარებაში, საქართველო რეალურად შეიძლება გახდეს რეგიონის დემოკრატიული ძალებისთვის მიმზიდველი ქვეყანა. ოღონდ იმ პირობით, თუ საქართველოს მთავრობა შეგნებულად და ღიად იტყვის უარს იმპერიულ პროექტზე და არჩევანს დემოკრატიული რეგიონული განვითარების სასარგებლოდ გააკეთებს. თანაც, არა მარტო დეკლარაციულად, არამედ მთელ რიგ პრაქტიკულ ნაბიჯებსაც გადადგამს.

პირველ რიგში, საქართველო თავად უნდა გახდეს უახლოესი მეზობლებისთვის პროგრესული განვითარების მისაბაძი მაგალითი.

პოტენციურ კონკურენტებს – რუსეთს და საქართველოს სრულიად განსხვავებული და ძალზე არათანაბარი სანაწიის პირობები აქვთ. რუსული იმპერიული პროექტი კავკასიაში ასწლეულების მანძილზე დამკვიდრებული ცხოვრების წესია, სუზერენსა და ვასალებს შორის მკაფიოდ განერილი ქცევის ნორმებით.

რაც შეეხება წარმომადგენლობითი დემოკრატიისა და ღია სამოქალაქო საზოგადოების იდეებს, ეს ყველაფერი რეგიონის ელიტისთვისაც კი სრულიად უცხო ხლია.

მართალია, საქართველოსა და რუსეთის კონკურენციაზე საუბარი ვინმეს შეიძლება სასაცილოდ მოეჩვენოს, მათი ძალზე არათანაბარი რესურსების შედარებაც კი არ შეიძლება, მაგრამ თუ დავაკვირდებით, თბილისს მაინც აქვს შანსი, გარკვეული უპირატესობა მოიპოვოს; კერძოდ, რუსეთს დღეს

ჩრდილოეთ კავკასიის მოდერნიზაციის არავითარი პროექტი არ გააჩნია; საქართველოს კი აქვს ქვეყნის მოდერნიზაციის პროექტი, რომელიც ავად თუ კარგად ხორციელდება და შედეგებიც მოაქვს.

ცხადია, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, სამოქალაქო საზოგადოება საქართველოშიც ჯერ კიდევ ძალიან სუსტადაა განვითარებული, მაგრამ თუკი ის ამ მიმართულებით კავკასიელთა მხარდაჭერასა და სწავლებას ითავებდა, იქნებ თვითონაც უკეთ აეთვისებინა „დემოკრატიის გაკვეთილები“.

საქართველოს შეუძლია გააკეთოს ის, რასაც არ აკეთებს რუსეთი – მაგალითად, გახსნას თავისი საზღვრები რუსეთის მოქალაქეების უვიზო გადაადგილებისთვის, ხელი შეუწყოს საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის საინფორმაციო ნაკადის გაფართოებას, ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, რასაც მოსკოვი შეგნებულად თრგუნავს. საქართველოს მართლაც აქვს შანსი ალტერნატივა შესთავაზოს ჩრდილოეთ კავკასიას და რეგიონისთვის ერთგვარ „დემოკრატიის უნივერსიტეტად“ იქცეს. ამ შანსის გამოყენება მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

არავის აქვს იმის ილუზია, რომ ქართული პროექტი, რომელიც ჯერ არც კი დაწყებულია, ერთ ან ორ წელიწადში გაუგონარ შედეგებს მოიტანს. ცხადია, თუ ამ პროექტმა იმუშავა, იგი მხოლოდ გრძელვადიან შედეგებზე უნდა იყოს გათვლილი. არც იმის მოლოდინი აქვს ვინმეს, რომ ზემოთ აღწერილი კონკურენტული პროექტი მოსკოვს თვალში მოუვა. თუმცა, მეორე მხრივ, რუსეთის მხრიდან თითოეული ხელისშემშლელი ნაბიჯი შეიძლება მისსავე სანინაღმდეგოდ გამოდგეს. რუსეთსა და დასავლეთის მიერ მხარდაჭერილ საქართველოს შორის ასეთი თუნდაც არათანაბარი კონკურენცია შეიძლება თანდათანობით კავკასიის დემოკრატიული ევოლუციის საფუძველი გახდეს. ამკარაა, რომ ასეთი ევოლუცია არა მარტო საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პრობლემების გადაჭრას გააიოლებდა, არამედ – რეგიონის სხვა კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებასაც. სწორედ ამიტომ, საბოლოოდ ყველა მხარე დაინტერესებული უნდა იყოს კავკასიის რეგიონის არაძალადობრივი, მოდერნიზაციული ტრანსფორმაციით. **■**

„ალია“ და ლორთქიფანიძე VS ადამიანის უფლებები

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჰომოფობიური განცხადებებისა და შეხედულებების მიუხედავად, თანამდებობას ინარჩუნებს.

ნინო ბექიშვილი



ფოტო: ანა სტეფანაშვილი

როცა „ქალთა ფონდმა“ საგრანტო კონკურსი გამოაცხადა „ქალთა სექსუალურ და გენდერულ იდენტობაზე დაფუძნებული დისკრიმინაციისა და ჰომოფობიის დასაძლევად“, გაზეთი „ალია“ კონკურსის დასრულებას არ დაელოდა და 14-16 ნოემბრის ნომერში გელა ზედელაშვილის სტატია გამოაქვეყნა, სათაურით – „საქართველოში ლესბოსელების სწავლება და დაფინანსება იწყება“.

„ალიას“ პუბლიკაციას არ განვიხილავდით, რომ არა ერთი ტენდენცია: საკმარისია ადამიანებმა საკუთარი არსებობის შესახებ საჯაროდ განაცხადონ, ან სადმე, ვინმემ ხმამაღლა გააუგონ საუბარი თავის უფლებების შესახებ, რომ ქართული ყვითელი პრესის რეაქცია მყისიერია ხოლმე. უკვე ტენდენციად იქცა ის, რომ ქართული გაზეთების გარკვეული ნაწილი („ჯორჯიან თაიმსი“, „ალია“, „ასავალ-დასავალი“ და სხვ.) ლიად ჰომოფობიურ, შუღლის გამაღვივებელ, ფემინოფობიურ და სექსისტურ სტატიებს ბეჭდავენ. როგორც წესი, ეს მასალები უპასუხოდ რჩება ხოლმე. ამ სტატიების ავტორები ან შეთქმულების თეორიებს ეძებენ, ან სამიშროებაზე – ქართული კულტურისა და ტრადიციების განადგურების საფრთხეზე იწყებენ მსჯელობას. ახლაც სწორედ ასე მოხდა. „ეს ამბავი ძალიან მაგონებს იმას, როგორ გაამრავლა ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ჩვენ ტყეებში რაღაც უცნაური ჯიშის მგელი, რომელიც უკვე სოფლებში ჩამოდის და ერთიანად მუსრავეს საქონელს. ეტყობა, ახლა ლესბოსელების მომრავლება-მოძლიერებაზეა ჯერი მიმდგარი და ვაი ჩვენი ბრალი, თუ ისინიც მგლებივით მოედვენ არამარეს“, – წერს ზედელაშვილი.

არც ისაა გასაკვირი, რომ „ალიამ“ კომენტარისთვის საქართველოს პარლამენტის დეპუტატს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, დემიტრი ლორთქიფანიძეს მიმართა. ამ ზაფხულს დემიტრი ლორთქიფანიძემ, მაშინ როდესაც ის სახალხო დამცველობის ერთ-ერთ კანდიდატად იყო დასახელებული, ჰომოსექსუალიზმის დანაშაულად მიჩნევა მოითხოვა. მაშინ საზოგადოების დივე ნაწილისა და პარლამენტართა რეაქციაც ადეკვატური იყო: საქართველოს კონსტიტუცია, ის დეკლარაციები და კონვენციები, რომელსაც საქართველო მიუერთდა, ჩვენ ქვეყანას ადამიანის უფლებათა აღიარებას და დაცვას ავალდებულებს. წარმოუდგენელია, ეს

არ იცოდეს პროფესიით იურისტმა კანონმდებელმა. თუმცა, ის ახლაც ზნეობის სადარაჯოზე დგას: „ნებისმიერი ხასიათის ექსპანსია, რომელიც მიზნად ისახავს ქართული ცნობიერების ამოძირკვას, ჩვენი ეკლესიისა და რწმენის გაუკუღმართებას, რაზედაც ჩვენი შვილები უნდა იზრდებოდნენ, უნდა იყოს კატეგორიული შეფასების საგანი. როცა მივცემთ ამ საკითხს სამართლებრივ შეფასებას, ეს ყველაფერი გამოქვეყნდება“. როგორ, რომელი კანონის საფუძველზე აპირებს ლორთქიფანიძე ფონდის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის სამართლებრივ შეფასებას, ძნელი სათქმელია. სამაგიეროდ, საკითხში გაურკვეველი მკითხველი ასეთ სატყუარას იოლად წამოეგება და ჰომოფობიური განწყობები საზოგადოებაში კიდევ უფრო გამძაფრდება.

■ საქართველოს პარლამენტის დეპუტატ დემიტრი ლორთქიფანიძეს საღვთო სჯული და თანამედროვე სახელმწიფოს კანონმდებლობა ერთმანეთში ერევა და უპირატესობას ამკარად პირველს ანიჭებს.

„ქალთა ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი ნანა ფანცულაია „ალიას“ სტატიამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა საგრანტო კონკურსის დროულობასა და აუცილებლობაში. ეს ისეთივე კონკურსია, როგორსაც სხვა არასამთავრობო

ორგანიზაციები და „ქალთა ფონდიც“ ხშირად აცხადებს. ფონდის საიტზე, ბუ-ნებრივია, მითითებულია დონორებიც. თუმცა, „ალიას“ ჟურნალისტი სწორედ ამ თემით მანიპულირებას შეეცადა: „ვინ აფინანსებს ლესბოსელებს საქართველოში?“ ნანა ფანცულაია საკუთარი უფლებების დარღვევაზეც ლაპარაკობს: ჟურნალისტიკმა მასთან სატელეფონო პრივატული საუბარი ინტერვიუს სახით გამოაქვეყნა.

ფონდ „ინკლუზივის“ დამფუძნებელი, LGBT უფლებათა დამცველი პაატა საბე-ლაშვილი ამბობს, რომ ახლა, როდესაც საზოგადოება უკვე მზადაა და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებმა საკუთარ უფლებებზე საუბარი დაიწყეს, საკითხს ტაბუ აღარ ადევს, მაგრამ შეფასებები, როგორც წესი, ნე-გატიური და ჰომოფობიურია: „ზუსტად ორი წელია, რაც გაზეთებში ეს კამპანია დაიწყო. საუბრობდნენ არარსებულ გეი პრაიდზე, თითქოს 500 გეი ჩამოდიოდა ჯერ ფოთში, შემდეგ – თბილისში. ალქა-ჯების ახალ კასტას ქმნიან, რომლებიც შემდეგ უნდა განდევნონ. ხდება ამ თე-მის პოლიტიზირება, არც გვეკითხებიან, როგორ ვუყურებთ მთავრობის დამსა-ხურებებს და მთავრობას იმას მიაწერენ, რაც არ გაუკეთებია“.

ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე საუბარი ჩვენც მიზანშეწონილად მი-გვაჩნია. საქართველოს პარლამენტის დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძეს საღვთო სჯული და თანამედროვე სა-ხელმწიფოს კანონმდებლობა ერთმა-ნეთში ერევა და უპირატესობას აშკარად პირველს ანიჭებს. მიუხედავად მისი ლიად ჰომოფობიური განცხადებებისა, ლორთქიფანიძის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე-ობიდან გადაყენების საკითხი პარლა-მენტარებს ჯერჯერობით არ დაუყენე-ბიათ. პარადოქსია, როცა ადამიანის უფლებათა დამცველი თანასწორობის საყოველთაო პრინციპებს არ აღიარებს, ეს უპირველესად საქართველოს კონს-ტიტუციისა და იმ საერთაშორისო კონ-ვენციების შეურაცხყოფაა, რომელთაც ჩვენი ქვეყანა მიუერთდა.

საჯარო პირების მიერ „სიძულვილის ენის“ გამოყენებას საქართველოს კა-ნონმდებლობა არ ზღუდავს. როგორც ჩანს, საჭიროა საკანონმდებლო ცვლი-ლებებზეც ვისაუბროთ, რათა დავიცვათ ჩვენი თანამოქალაქეების – სექსუალუ-რი უმცირესობების წარმომადგენელთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვათა უფლებები. 

**გამოინერეთი ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი
გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე**



ლიბერალი

6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი
25 ნომერი (1 წელი) 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

23 37 31, (899) 48 62 41

ან მოგვანოღეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: info@liberali.ge



■ შამუკა ლლონტის და ეროსი კინწარმევილის
პრესკონფერენცია, თბილისი 2009

ფოტო: ლევან სერაპუაძე

მაესტრო 2

„მაესტრო“ „რუსთავი 2“-ის გზის გავლას აპირებს. მოახერხებს თუ არა მისი ახალი მენეჯერი, ეს საკაბელო არხიც „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად“ არ აქციოს?

რუსუდან ფანოზიშვილი

„მაესტროს“ პატარა სტუდიაში პრესკონფერენციაზე მისულ ოცამდე ჟურნალისტს ტელევიზიის მფლობელმა მამუკა ლლონტიმა სთხოვა, – კიბეზე ცალ-ცალკე ჩადით, მორყეულია და არ ჩაინგრესო. მკვეთრად კრიტიკული და ოპოზიციური ტელეკომპანია „მაესტრო“, უსახსრობის გამო, დახურვის პირას იყო, როცა ქართულ მედიაში და „მაესტროს“ სტუდიაში ეროსი კინმარიშვილი მივიდა და მათ თანამშრომლობა შესთავაზა.

მამუკა ლლონტი აღნიშნავს, რომ მისთვის მთავარი ფაქტორი ეროსის მენეჯერული გამოცდილება და ბევრი არ უფიქრია, ისე დათანხმდა კინმარიშვილის შეთავაზებას, ხელში აეღო „მაესტროს“ მენეჯმენტი.

არხს ერთი წლის განმავლობაში სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ყოფილი შეფი მართავს, თუმცა მამუკა ლლონტი ვეტოს უფლებას იტოვებს. „მაგალითად, იმ შემთხვევისთვის, რომ უცებ, ვთქვათ, დავით კიკალიშვილი („რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი – ავტ.) არ აღმოჩნდეს ჩვენ არხზე საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელად“, – განმარტავს ლლონტი. ლლონტსა და კინმარიშვილს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, წილის მფლობელები არ უნდა შეიცვალონ, ვიდრე კინმარიშვილი „მაესტროს“ მართავს.

„მაესტროს“ თანამშრომლები, ძირითადად სტაჟიორები და სტუდენტები, რომელთა უმრავლესობასაც სტაბილუ-

რი ხელფასი არ აქვს, ახალი მენეჯერისგან ორი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებას ელიან – ყოველი თვის ბოლოს ხელფასს და სარედაქციო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

„მაესტროს“ ახალგაზრდა თანამშრომელთა უმრავლესობას მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ როგორ იმართებოდა ყველაზე პოპულარული ტელეარხი ეროსი კინმარიშვილის მენეჯერობისა და მფლობელობის დროს. მათ არც „რუსთავი 2“-ის შექმნის ისტორია ახსოვთ და არც „ვარდების რევოლუციის“ დროს მისი როლი.

„რუსთავი 2“ თავიდან იყო ძალიან მაგარი სიახლე, ჰქონდა კრიტიკული პათოსი. მაგალითად, გიგა ბოკერია ამ არხზე იყო თოქშოუს ნამყვანი. მახსოვს, ერთ-ერთმა მისმა გადაცემამ შევარდნაძის რისხვა გამოიწვია და დახურეს. „თავისუფლების ინსტიტუტი“ სწორედ მაგის გამო დაარსდა“, – იხსენებს ოპოზიციონერი დავით ზურაბიშვილი.

რესპუბლიკელი ზურაბიშვილი 2003 წლის რევოლუციის დროს „თავისუფლების ინსტიტუტის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო: „მაგრად ლავირებდა ეროსი, მაგრამ 2 ნოემბრის არჩევნების დროს უკვე ფსონი დადო ფვანიაზე და სააკაშვილზე. რევოლუციის პერიოდში გარიგებაც იყო და მეტიც, ერთი „სასტავი“ იყო და ერთად იგეგმებოდა ეს ყველაფერი. თვითონ ეროსი იყო რევოლუციის ერთ-ერთი შემოქმედი და ამან „რუსთავი 2“ ძალიან დაზიანა. ის გახდა „გამარჯვებული ხალხის ტელე-

ვიზია“ და ამის შემდეგ დაიწყო უკუსვლა“.

„მე ცოტა გადაჭარბებული მგონია ტელევიზიის განსაკუთრებული როლი. პოლიტიკას პირველ რიგში პოლიტიკოსები აკეთებენ, – ამბობს ზურაბიშვილის ყოფილი თანაგუნდელი და „თავისუფლების ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარე, ლევან რამიშვილი, – კოორდინაციას რაც შეეხება, „რუსთავი 2“-სა და პოლიტიკოსებს შორის კოორდინაცია რეალურად დაიწყო 2 ნოემბრის არჩევნების შემდეგ. სააკაშვილამდე „რუსთავი 2“ ფვანიაზე უფრო მუშაობდა“.

იმაზე, რომ „რუსთავი 2“ თავად მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესებში, იქ მომუშავე ჟურნალისტების ნაწილიც თანხმდება. ირმა ნადირაშვილს, რომელიც ახლა „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსია, მიაჩნია, რომ მაშინ არხს „ცოტა ზედმეტი მოსდიოდა“. კინმარიშვილი „რუსთავი 2“-ზე სარედაქციო დამოუკიდებლობის ეჭვის ქვეშ დაყენებას ზედაპირულს და კონტექსტიდან ამოვარდნილს უწოდებს. მისი თქმით, „რუსთავი 2“ ყოველთვის იმას აკეთებდა, რასაც ხალხი ითხოვდა.

„რუსთავი 2“-ის ყოფილი თანამშრომლები ვერ იხსენებენ ფაქტს, რომ მათ რომელიმე პოლიტიკოსისგან დირექტივა მიეღოთ ან შეკვეთილი მასალა გაეშვათ. ჟურნალისტები ამბობენ, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა „კურიერის“ ნიუსრუმში ეროსის ხელმძღვანელობის ბოლო დღემდე არსებობდა.

თუმცა, თავად კინმარიშვილის თქმით, რევოლუციის შემდეგ ნახევარი წლის განმავლობაში კომპანიამ შეგნებულად არჩია პოზიცია, რომ ხელისუფლება არ ეკრიტიკებინა, რადგან ქვეყანაში არეულობა იყო და მოვლენები, შესაძლოა, უმართავი გამხდარიყო.

„რუსთავი 2“-ის როლი საქართველოს ისტორიაში ისეთივე ტრაგიკულია, როგორც ბევრი კეთილი წამოწყების, რომელსაც საბოლოო ჯამში ავტორიტარიზმი ანადგურებს“, - ამბობს კინმარიშვილი, რომელიც ახლა „მეცტროს“-ში ყველაფერს თავიდან იწყებს.

„შეიცვლება არხი თუ არ შეიცვლება, ვერ გეტყვით, თუმცა ეჭვი მაქვს, რომ რადიკალური ტრანსფორმირება არ მოხდება“, - ამბობს ლევან რამიშვილი. ის არ ფიქრობს, რომ არხის გაძლიერების შემთხვევაშიც კი, ოპოზიციისთვის რაიმე შეიცვლება: „ახლა ხომ არ გაჩნდა

ბობის მცდელობა, სავარაუდოდ, „მეცტროს“ საინფორმაციო პოლიტიკას კიდევ უფრო გამომწვევს გახდის.

სატელევიზიო სივრცეში, სადაც ამ ეტაპზე საინფორმაციო ბალანსი მნიშვნელოვნადაა დარღვეული ხელისუფლების სასარგებლოდ, „მეცტროს“ მართლაც აქვს შანსი, ძლიერი საინფორმაციო სამსახურის შექმნით და სატელიტური მაუწყებლობის გამოყენებით ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე გახდეს. „მეცტროს“ ყოფილი სამედიაციური საბჭოს წევრი ია ანთაძე ფიქრობს, რომ კინმარიშვილის „მეცტროს“ ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს და სხვა, „დესტრუქციული ქართული ტელეარხებისგან განსხვავებით, კონსტრუქციულ საინფორმაციო სამსახურს შექმნის“. თუმცა ანთაძე ამბობს, რომ ეს დიდწილად იმაზე დამოკიდებული, რამდენად შეძლებს ახალი ხელმძღვა-

ოპოზიციურ პარტიებთან ფინანსური ურთიერთობის დამყარების მცდელობა „მეცტროს“ კინმარიშვილის მისვლამდეც ჰქონდა. 2008 წლის დეკემბერში მოლაპარაკებები არხის ხელმძღვანელსა და ხელისუფლებიდან წასულ ზურაბ ნოლაიდელს შორის მიმდინარეობდა. თავიდან „მეცტროს“ წილის 40%-ის გაყიდვაზე იყო საუბარი, თუმცა მოულოდნელად ნოლაიდელმა შეთავაზებული თანხისთვის ტელეკომპანიის 75% მოითხოვა და გარიგება ჩაიშალა. მაშინ წილების გაყიდვის სასტიკი წინააღმდეგი იყო რამდენიმე დამოუკიდებელი ჟურნალისტისგან შემდგარი „მეცტროს“ საბჭო, რომელიც ტელეკომპანიაში კინმარიშვილის მისვლამდე რამდენიმე თვით ადრე მამუკა ლლონტის გადამწყვეტილებით დაითხოვეს.

ია ანთაძის თქმით, საეჭვოა, რომ საერთაშორისო ფონდებმა მხარი

■ სატელევიზიო სივრცეში, სადაც ამ ეტაპზე საინფორმაციო ბალანსი მნიშვნელოვნადაა დარღვეული ხელისუფლების სასარგებლოდ, „მეცტროს“ მართლაც აქვს შანსი, ძლიერი საინფორმაციო სამსახურის შექმნით და სატელიტური მაუწყებლობის გამოყენებით, ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე გახდეს.

ეს ოპოზიცია? აქ არიან 15 წელია, და ამდენი ხანი რომ ვერაფერს მიაღწიეს, ცოტა ძნელია, წარმოიდგინო, რომ მე-15 წელს რამეს მიაღწევ“.

ეროსი კინმარიშვილის თქმით, „მეცტროს“ კრიტიკულ და ოპოზიციურ ნიშნას შეინარჩუნებს, მაგრამ კიდევ უფრო მსვავე და „აგრესიული“ გახდება. ახალი „მეცტროს“ პოპულარულობის მოპოვებას მიუყვებოდა ახალი ამბების გაშუქებით და მაყურებლისთვის „ინფორმაციული შიმშილის“ შევსებით აპირებს. ერთ-ერთი თემა, რასაც კინმარიშვილი აკონკრეტებს, რუსეთთან კავშირების აღდგენაა. „დიდი ხანია, ვმუშაობ ამ საკითხებზე: რუსულ-ქართული დიალოგი, მედიის ხელშეწყობა და ეროვნული განვითარების სტრატეგია. უნდა გავაჩეროთ ეს გაურკვევლობისკენ მიმავალი ჩვენი ხელისუფლება, რომელმაც არ იცის, რა არის გამოსავალი. მე მიმაჩნია, რომ დროულია რუსულ-ქართული დიალოგის დაწყება და ამისთვის ტელევიზიის გამოყენებას ვაპირებ“, - ამბობს „მეცტროს“ მენეჯერი. მისი რუსეთში ელჩობის შემდგომი პერიოდის გათვალისწინებით, კინმარიშვილის მიერ რუსეთთან ურთიერთობის დათ-

ხელობა დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემების და გამომწვევების ჭკვიანურად გადაჭრას.

საქმე ისაა, რომ ეროსი კინმარიშვილი არ აკონკრეტებს დაფინანსების წყაროებს, რომელთა საშუალებითაც აპირებს არხის გაძლიერებას. ამბობს მხოლოდ, რომ ფულის მოზიდვას „სხვადასხვა საშუალებით“ შეეცდება: „რესურსის მოძიების თვალსაზრისით, მიღებული იქნება ყველა ზომა, რაც კანონს არ ეწინააღმდეგება“.

კინმარიშვილმა უკვე დაიწყო შეხვედრები საერთაშორისო ფონდებთან. გარდა ამისა, „მეცტროს“ შემონიშნა და სარეკლამო შეკვეთებს ბიზნესმენებისგან და პოლიტიკური პარტიებიდანაც ელის. პირველი შეხვედრა კინმარიშვილს, როგორც „მეცტროს“ მენეჯერსა და ოპოზიციის ნაწილს შორის უკვე შედგა. კინმარიშვილმა მათ შესთავაზა მონაწილეობა მიეღოთ ფინანსების მოზიდვაში და ასევე ჩაედოთ ფული „მეცტროს“ ფონდში. „ეს დახმარება მათ ან რეკლამის სახით უნდა დაიბრუნონ უკან ან უანგაროდ მოგვცენ. შედეგები მოგვიანებით გამოჩნდება“.

დაუჭირონ ტელეკომპანიას, თუ ის პოლიტიკური პარტიების ფინანსებს გამოიყენებს.

„რუსთავი 2“-ის გამოცდილება კინმარიშვილს ერთდროულად ეხმარება და ხელს უშლის კიდევ. ეხმარება იმით, რომ მის მართვის შესაძლებლობებსა და პატარა, ღარიბი კომპანიისგან ძლიერი მედია-მანქანის შექმნის უნარში, ეჭვი არავის ეპარება. თუმცა, ნაკლებ ნდობას იმსახურებს ის მეთოდები, რითაც ის ამას ახერხებდა.

ჟურნალისტი ზვიად ქორიძე იხსენებს, რომ 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მაშინდელი „რუსთავი 2“ აშკარად მხარს უჭერდა ზურაბ ჟვანიას. ქორიძის თქმით, მალევე და მოულოდნელად „რუსთავი 2“-მა შეუზღუდავი პირდაპირი ეთერი მისცა ჟვანიას ყველაზე ძველმა პოლიტიკურ მტერს ასლან აბაშიძეს. მაშინ გაჩნდა ეჭვები, რომ ტელეკომპანიას სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებისგან უფრო მეტი ფული ჰქონდა აღებული, ვიდრე მხოლოდ სარეკლამო რგოლების გაშვებისთვის იყო საჭირო. „მეცტროს“ შემთხვევაში, იგივე რომ არ განმეორდეს, ქორიძე ასეთ გამოსავალს ხედავს:

„თუ რაიმე ტიპის ფონდი შეიქმნება, სადაც ბევრი პარტია ჩადებს შემონიშნულ ბიუჯეტს, სავარაუდოა, რომ „მაესტრო“ კონკრეტულად რომელიმე ძალას ვერ მიემხრობა და ახალ ამბებს მიუკერძოებლად გადასცემს“.

რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი არ ფიქრობს, რომ კინმარიშვილი ამჯერად საეჭვო დაფინანსებას დათანხმდება: „მარტივი მიზეზის გამო – ერთ თეთრს ვერ გამოაპარებენ, სახელმწიფო ჩასაფრებული იქნება“.

დაფინანსების გარდა, იმ გზაზე, რომელიც „მაესტრომ“ უნდა გაიაროს, ვიდრე „რუსთავი 2“-ის მსგავსი ძლიერი მედიაკომპანია გახდება, კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა. შეიცვალა მედიაბაზარი – სადაც ნაკლები ნდობის მქონე ერთი სახელმწიფო არხის გარდა, ახლა რამდენიმე კარგად განვითარებული ნაციონალური ტელევიზია მუშაობს. შეცვლილია პოლიტიკური გარემოც – შევარდნაძის განსხვავებით, ახლანდელი მონოლითური ხელისუფლება ნებისმიერ შესაძლებლობას იყენებს ყველა სფეროში კონტროლის შესანარჩუნებლად.

ამ სხვაობას კინმარიშვილი ასე ხედავს: „ამ ხელისუფლების თავხედობის მასშტაბები უფრო დიდია, ვიდრე ადრინდელის“. თუმცა, შეცვლილ გარემოს ის მხოლოდ ბუნდოვანი ბიზნეს-გეგმით და „მაესტროს“ ახალბედა ჟურნალისტებით ხედავს. კინმარიშვილი არ გამოირიცხავს, რომ „მაესტროს“ ახალ საინფორმაციო სამსახურს ძველი „რუსთავი 2“-ელების დახმარებით ააწყობს.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“, რომელსაც მუშაობაზე ორჯერ გაუთიშეს, მისი მენეჯერების მოხერხებულმა ლავირებამ გადაარჩინა. არხი არა მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში, არამედ მთელი თავისი არსებობის განმავლობაში იძულებული იყო, ანგარიში გაენია პოლიტიკური სიტუაციისა და ძალაუფლების მქონე ფიგურებისთვის. თან ამ პირობებში ტელეკომპანიის თანამშრომლებს არასდროს უგრძნიათ სარედაქციო ჩარევის მცდელობა. თითქმის იგივე გამოწვევების წინაშე დგას დღეს „მაესტროც“. არხის ახალი მენეჯერი და ძველი მფლობელი აცხადებს, რომ პოლიტიკურ გავლენებს არ დაემორჩილებიან, თუმცა ამ ამოცანის შესრულება დღეს „მაესტროსთვის“ ისეთივე რთული იქნება, როგორც ეს „რუსთავი 2“-სთვის იყო. **■**

რეკომენდაცია – ბრძოლა ბაღარჩინისათვის

ფრაგმენტები ეროსი კინმარიშვილის ინტერვიუდან, „ცხელი შოკოლადი“ № 44

■ რევოლუციის მთავარი გმირი იყო ხალხი. 30 წლის განმავლობაში, შევარდნაძე მობუზრდა და ყელში ამოუვიდა. „რუსთავი 2“ წვეთ-წვეთობით ვუგროვებდით ამ გალიზიანებას, ვუჩვენებდით, რატომ უნდა გალიზიანებულიყვნენ, დალილიყვნენ და თუ როგორ იყო საქართველო უკანასკნელი ქვეყანა კავკასიაშიც კი. ტელევიზიამ ამ ხალხს, მრავალწლიანი მუშაობით, ბევრ რამეზე აუხილა თვალი და როცა ადამიანები უკვე გვენდობოდნენ და ჩვენი რეიტინგი ეკლესიისას გაუტოლდა, რაც ძალიან დიდი მიღწევაა ასეთ კონსერვატიულ საზოგადოებაში, ეს ხალხი გამოგვყვა.

მეორე მიზეზი ამ რევოლუციის იყო თვითონ შევარდნაძე, რომელიც უკვე ვეღარ მართავდა. ბოლო მომენტში შევარდნაძე ვერანაირ გადაწყვეტილებას ვეღარ იღებდა.

■ ზურა (ყვანია) და ჩვენ ერთად ვმუშაობდით, რომ ის პრეზიდენტი გამხდარიყო. ... ჩვენ ზურას ვეხმარებოდით, მაგრამ მიშას ხარჯზე კი არა, ეს იყო პრინციპული საკითხი. მე მივინდოდა, ზურა გამხდარიყო პრეზიდენტი, როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსს“ უნდოდა პრეზიდენტი ობამა გამხდარიყო, მაგრამ მაკეინის წინააღმდეგ არ მუშაობდა. მე მაქვს ჩემი „ედიტორიალი“. ანუ, ზურას პრომოუშენი არ ხდებოდა სააკაშვილის, გამყრელიძის ან სულაც ნათელაშვილის ხარჯზე. არავის გამოუქება არ იჩრდილებოდა.

■ როცა 22-ში ზღვა ხალხი შეგროვდა, ზურა ამბობდა, – სამი დღე კანცელარია გექონდეს ალყაში და შევარდნაძე სამი დღე რომ ვერ შევა, გადადგებო. ზურას მოთხოვნა იყო, პარლამენტისკენ არ წავსულიყავით. ჩვენ კი „დავხაოდი“ ზურას და მიშას, – დროზე გადით პარლამენტისკენ-თქო. ესენი ვერ ხედავდნენ სიტუაციას, თვითონ მიტინგის შუაგულში არიან. ჩვენ კიდევ სტუდიაში რვა კამერა გვაქვს ჩართული, რვა სხვადასხვა სიგნალი მოგვცის და ვიცით, სად რა ხდება. პარლამენტის სიგნალი ცალკე მაქვს, ასლან აბაშიძის მიტინგის – ცალკე, კანცელარიის – ცალკე. მოკლედ, ვიცი რა ხდება, იქ მიტინგზე მობილურებიც

ალარ მუშაობს და კომუნიკაცია ამათ ერთმანეთში ალარ აქვთ.


ამ მომენტში მიშა იღებს, კარგი გაგებით, თავხედურ გადაწყვეტილებას და მიდის „ნა პრალომ“, ნინოც მიჰყვება, მაგრამ ქუსლებიანი ფეხსაცმელი აცვია და ჩიტაძეზე ჩამორჩება კოლონას. მიშა ძერჟინსკის ქუჩიდან ჩამოდის და მგონი, უკანა შესასვლელიდან შედის.

■ 21 ნოემბრის საღამოს, როცა ქალაქში „გველემპაის ჩირაღდანი“ – მანქანების განათებული კოლონა შემოვიდა. მიშამ ვითომ თბილისზე მარშის გაკეთება გადაწყვიტა. ეს მარში კი ისეთივე ქაოსური გამოვიდა, როგორც თვითონ არის – დაუმთავრებელი და გაურკვეველი. ნალენჯიხიდან რომ დაიძრა, ჩვენ ამას ვაჩვენებთ უწყვეტ რეჟიმში. სულ მიშა ტელევიზორში და ხალხი ხედავს, რომ რალაც ხდება. რეალურად კი, მიშას არავინ მოჰყვებოდა. გორიდან რომ გამოვიდა, სულ 30 მსუბუქი მანქანა, 3-4 მიკროავტობუსი და 2 იკარუსი მოსდევდა...

300-400 კაცი მოდის რეალურად გორიდან. თბილისის შემოსასვლელთან, როცა ნატახტარს გამოსცდნენ, საღამო ხანია, კვირაა, საცობია, საპროტესტო კოლონამ მოძრაობა ჩავეტა და გაჩნდა უსასრულო ჯაჭვი. წინა მანქანები ნელა მოდიან, უკავიათ ყველა ხაზი და დანარჩენებიც, იძულებული წესით, მოჰყვებიან და ჩანს მანქანების უშველებელი კოლონა. ამ დროს ჩვენი ოპერატორი ადის ჯვარზე და იღებს ამ კადრს. საღამოს 6 საათია, ქარია და მიკროფონებშიც საშინელი ხმაური ისმის. 6-საათიან „კურიერში“, პირდაპირ ეთერში შევადგეთ სააკაშვილის, არა, სააკაშვილის კი არა, რევოლუციის კოლონა.

ამ კადრების შემდეგ თბილისი ამბობს, – მთელი საქართველო ჩამოვიდა და ჩვენ სახლში ვსხედვართო. დიღომი გამოდის ქუჩაში, მიდის პიპინი, ყველა უერთდება. მეორე დღით მართლა დაიძრა მთელი თბილისი და ჩამოვიდა მთელი პროვინცია.

ინტერვიუს სრული ვერსია იხილეთ www.shokoladi.ge-ზე



მედია

რა ჭირს მედიას?

უშუალო ცენზურა მხოლოდ აისბერგის თავია. ხელისუფლება მედიაზე არაპირდაპირი ზეწოლის მექანიზმებს იყენებს.

თამარ ბაბუაძე



■ ჟურნალისტების, მედიამფლობელებისა და მედიაექსპერტების შეხვედრა, „ლიბერალის“ რედაქცია, ოქტომბერი 2009

ფოტო: ლეონ სარაშვილი

როდესაც „ლიბერალის“ რედაქციაში გამართულ ჟურნალისტურ შეხვედრაზე დასვით კითხვა, რა სჭირს ქართულ მედიას, ჩვენი ამოცანა იყო იმ მიზეზების გამოვლენა, რომლებმაც ქართული მედიის მდგომარეობა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პარადოქსულად შეცვალა.

მედიის პრობლემების დიაგნოზირებისას ერთადერთი სფერო, რომელიც კრიტიკას არ ექვემდებარებოდა, საკანონმდებლო ბაზა გახლდათ. 2003 წლის შემდეგ მედიასთან დაკავშირებული კანონები იმდენად დაიხვეწა, რომ ის ლიბერალიზმის და სიტყვის თავისუფლების გააზრტად ჩაითვადა.

თუმცა, ამ თემებზე მსჯელობისას, რადიკალურად სხვანაირად დავინახეთ პრობლემების სათავე. აღმოჩნდა, რომ ქართული მედიის სისუსტეები უშუალო ცენზურას იმდენად არ უკავშირდება, რამდენადაც სწორედ ამ კანონმდებლობას.

ეფექტურად შეფუთული დოკუმენტაცია, სინამდვილეში, ხელისუფლებას მედიაზე კონტროლის შენარჩუნებისთვის ლეგალურ გზებს უტოვებს. 2003-მდელი რეალობა, რომლის დროსაც თავისუფალ მედიასთან გამკლავების გაცილებით უფრო პირდაპირ და უხემ გზებს იყენებდნენ, შეიცვალა. ახლა ცენზურა უფრო ირიბი, ერთი შეხედვით, იურიდიულად გამართული და მონესრიგებულია.

საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ქართული მედიის პრობლემებს ეხებოდა, ლიტვის რადიოტელევიზიის კომისიის დირექტორმა ნეროუს მალიუკევიჩუსმა პირდაპირ თქვა: „ტელე-რადიო კომპანიების მფლობელების გამჭვირვალობა ეჭვქვეშ ჩვენთან არასდროს დამდგარა. ლიტვაში ტელეკომპანიას არც ერთი ოფშორული კომპანია არ ფლობს. ყოველთვის კონკრეტულად ვიცით, ვინ არის არხის მესპატრონე და მენილე, თუნდაც ის აქციების მხოლოდ ათ პროცენტს ფლობდეს. ყველაფერი ისეა მონეობილი, რომ პასუხი კითხვებზე ყველა ცნობის-მოყვარე მოქალაქემ მიიღოს“.

საქართველოს ორი ყველაზე მსხვილი ნაციონალური მაუწყებლის (ისევე, როგორც რამდენიმე სხვა ტელევიზიის) რეალური მფლობელების ვინაობა გაურკვეველია. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რამდენჯერმე გასხვისებული „რუსთავი 2“ ბოლოს იენისში გაიყიდა და მისი წილების 70 პროცენტის მფლობელი ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული ოფშორული კომპანია *Degson Limited* გახდა. საზოგადოებისთვის ამაზე მეტი ინფორმაცია

ხელმიუწვდომელია. წილების გაყიდვა აბსოლუტურად დახურულ და გასაიდუმლოებულ ვითარებაში მოხდა ისევე, როგორც წინა ჯერზე, როდესაც „რუსთავი 2“ ასევე ოფშორულმა, კაიპანის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა კომპანიამ გადაიფორმა, მისი მენილეების შესახებ ინფორმაცია კი დაიბლოკა.

უამრავი ეჭვი და უპასუხო კითხვა დარჩა ტელეკომპანია „იმედის“ გაყიდვის შემდეგაც. მიუხედავად იმისა, რომ მსჯელობა „იმედის“ გაყიდვის შესახებ, „რუსთავი 2“-თან შედარებით, ლიად მიმდინარეობდა, მაინც გაურკვეველია მისი წილების 90 პროცენტის მფლობელი კომპანიის – *Rakeen Georgian Holding*-ის სამართლებრივი სტრუქტურა და პასუხი კითხვაზე – მართლაც დგას თუ არა ამ კომპანიის უკან ქართველი მფლობელი.

ბუნდოვანია ტელეკომპანია „საქართველოს“ მფლობელობის საკითხიც. დოკუმენტაციის მიხედვით, ეს კომპანიაც დამოუკიდებელი და კერძოა, მისი მფლობელია ასევე გაურკვეველი წარ-

მოშობის კომპანია *Denal Union*. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მიხედვით, „საქართველო“ ოფიციალურად თანამშრომლობს თავდაცვის სამინისტროსთან და მისი ეთერის უდიდეს დროს სამხედრო პროგრამები ავსებს, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით მზადდება.

ამ ბუნდოვანების ლეგალიზებას საკანონმდებლო ხარვეზები ინვეს. ერთი მხრივ, კანონი არ ავალდებულებს მფლობელებს, გასცეს ინფორმაცია მენილეებისა და პარტნიორების შესახებ; მეორე მხრივ კი, მაუწყებლობის შესახებ კანონით, დაუშვებელია, ფიზიკური ანდა იურიდიული პირი ფლობდეს ერთზე მეტ ლიცენზიას ტელევიზიისთვის და ერთზე მეტს – რადიოსთვის.

გამოდის, რომ ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული ფირმის რეალური მფლობელი შეიძლება ერთდროულად რამდენიმე ლიცენზიას განკარგავდეს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აზრით, საქირა ფინანსთა მინისტრის 2008 წლის ბრძანება გაუქმდეს და სამენარმეო რეესტრის ბაზაში ის გრაფა აღდგეს, რომელიც პარტნიორებისა და მენილეების შესახებ ინფორმაციას შეიცავდა.

საქართველოს კანონმდებლობა არ არეგულირებს მედიასივრცის რა საბაზრო წილი შეიძლება იყოს ერთი ფიზიკური თუ იურიდიული პირის კონტროლქვეშ. მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის თანახმად, „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ ფლობს „რუსთავი 2“-ის აქციების 30 პროცენტს, „მზის“ 45 და

პოლიტიკური გავლენით მიმდინარეობს მაუწყებლების ლიცენზირებაც. კომისიის უფლებები კი იმდენად ფართოა, რომ მას მაუწყებლების სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის საშუალებას აძლევს.



მიხეილ სააკაშვილი გამოეხატა „გახსენი რკინის ფარდა“, თბილისი 2009

„პირველი სტერეოს“ 65 პროცენტს. მისი შვილობილი კომპანია *Georgian Media Incorporated* კი „იმედის“ აქციების მფლობელიც არის. ანუ, გამოდის, რომ „ინდუსტრიული ჯგუფი“, საერთო ჯამში, მედია ბაზრის ორ მესამედს აკონტროლებს.

ეს ცვლილებები შესაძლებელია შეუძინველიც დარჩენილიყო, რომ არა ტელეკომპანიების სარედაქციო პოლიტიკა. 2004 წლიდან მოყოლებული თანდათან – დაფარულად და თანმიმდევრულად – ტელეეთერი სახელისუფლებო პროპაგანდად ამოავსო. „კავკასიისა“ და „მესტროს“ თვითმზანი კი კონტრპროპაგანდა გახდა.

IREX-ის 2009 წლის ანგარიშის მიხედვით, პოლიტიკური გავლენით მიმდინარეობს მაუწყებლების ლიცენზირების საკითხიც. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებები კი იმდენად ფართოა, რომ მას მაუწყებლების სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის საშუალებას აძლევს.

კომუნიკაციების კომისია ორი ტიპის ლიცენზიას გასცემს: საერთო ლიცენზიის მფლობელებს ახალი ამბების გაშუქების უფლება აქვთ, სპეციალიზებული ლიცენზია კი ამის უფლებას არ იძლევა. სწორედ ეს გახდა „მესტროს“ თითქმის ორწლიანი დავის გამომწვევი მიზეზი. ასეთი ტიპის შინაარსობრივი შეზღუდვა აბსურდულად მიჩნიათ მედიასამართლის ექსპერტებს. ისინი ასევე აკრიტიკებენ კანონის იმ მოთხოვნას, რომ საკაბელო ტელევიზიებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ იყენებენ სახელმწიფოს ამონურვად რესურსს, მაუწყებლობისთვის ლიცენზია მაინც სჭირდებათ.

IREX-ის კვლევაში ნათქვამია ისიც, რომ ზოგჯერ კანონს კომპანიების მიმართ შერჩევით იყენებენ. ის, რაც კომისიამ არ აპატია „მესტროს“ (სპეციალიზებული ლიცენზიის ფარგლებში საინფორმაციო პროგრამის მომზადება), აპატია „ალანას“, რომელიც ლიცენზიის მიღების გარეშეც 2008 წლამდე შეუზღუდავად მაუწყებლობდა.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია **Article 19-ის** წარმომადგენელი ანუ ბეგოიანი ამბობს, რომ აუცილებელია კომისიამ, შინაარსზე დაფუძნებული ლიცენზიების ნაცვლად, საერთო ლიცენზიების გაცემა დაიწყოს, რათა კომისიას აღარ ჰქონდეს საშუალება, გავლენა მოახდინოს მაუწყებლების სარედაქციო პოლიტიკაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბეგოიანის თქმით, კომისია სარედაქციო კონტროლის იარაღის როლში აღმოჩნდება.

სატელევიზიო სივრცე საქართველოში – მფლობელები, მაკონტროლებლები და საკანონმდებლო ბარემო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, ნოემბერი, 2009

■ საქართველოს სატელევიზიო ბაზარზე ორი კერძო ტელეარხი – „რუსთავი-2“ და „იმედი“ – დომინირებს. 2009 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით, საბაზრო წილის 35,6%-ით „რუსთავი-2“ ქვეყანაში ყველაზე პოპულარული არხია. მას მოსდევს „იმედი“ 25,4% საბაზრო წილით. ორივე არხს ერთად ბაზრის 61% უკავია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტელევიზორის წინ გატარებული ყოველი 100 წუთიდან 61-ს საქართველოს მოქალაქეები „რუსთავი 2-სა“ და „იმედს“ უთმობენ.

■ სატელევიზიო რეკლამაში 2008 წელს სულ დაახლოებით 30-დან 33 მილიონამდე ამერიკული დოლარი დაიხარჯა. სატელევიზიო ბაზრის ყოფილი წარმომადგენელი, რომელმაც ანონიმურად დარჩენა არჩია, თვლის, რომ ეს მონაცემებიც კი ზედმეტად ოპტიმისტურია. სამწუხაროდ, საქართველოს სარეკლამო ბაზრის შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, რადგან არ არსებობს ორგანიზაცია, რომელიც რეკლამის სუფთა გასაგებების ან ზრდადი შემოსავლების განსაზღვრით არის დაკავებული. 2008 წლის აგვისტოს ომისა და გლობალური კრიზისის შედეგად რეკლამაზე დანახარჯებმა კიდევ უფრო იკლო.

■ კერძო ტელევიზიებმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ 2008 წელს მათი შემოსავლები 80,8 მილიონი ლარი იყო. საკაბელო ლიცენზიის მფლობელების შემოსავალმა იმავე წელს 11,3 მილიონი ლარი შეადგინა. საბოლოო ჯამში, საქართველოს სატელევიზიო არხების ოფიციალურად გაცხადებული შემოსავლები 2008 წელს 92 მილიონ ლარზე მეტი იყო. ამ მონაცემებში არ შედის სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე კომპანიების შემოსავლები. თუ ჩავთვლით, რომ 2008 წელს სატელევიზიო რეკლამებზე 35 მილიონი ამერიკული დოლარი (58 მილიონი ლარი) დაიხარჯა, გამოდის, რომ საქართველოს ტელევიზიებმა, სულ მცირე, 34 მილიონი ლარი (20,2 ამერიკული დოლარი) სხვა, უცნობი წყაროებიდან მიიღეს.

■ საქართველოს სატელევიზიო რეკლამების საერთო ღირებულება 2008 წელს 20-23,5 მილიონ ევროს შეადგენდა. იგივე რიცხვი მაკედონიაში (2 მილიონი მოსახლეობით) 180 მილიონი ევროა, ბელორუსში (მოსახლეობა 9,6 მილიონი) – 238 მილიონი ევრო, ლატვიაში (2,2 მილიონი მოსახლეობით) – 335 მილიონი ევრო, ლიეტუვაში კი (3,6 მილიონი მოსახლეობით) – 331 მილიონი ევრო.

■ 2009 წლის მარტში კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაამტკიცა მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე პირების ქვეყის კოდექსი, სადაც მედია საქმიანობის მთავარი პრინციპები, წესები და პროფესიული სტანდარტებია განსაზღვრული. ეს კოდექსი რეგულირების სავალდებულო სისტემას აწესებს და ეროვნულ მაუწყებლებს ავალდებულებს, 2009 წლის 12 სექტემბრამდე თვითრეგულირების ინდივიდუალური მექანიზმები შეიმუშაონ. აღსანიშნავია, რომ მარეგულირებელი კომისიის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი მიღებულ ქვეყის კოდექსს არაკონსტიტუციურად მიიჩნევს, რადგან ის მომხმარებელს საჩივრის პირდაპირ სასამართლოში მიტანას უკრძალავს და ამ საჩივრის თავდაპირველად მაუწყებელში წარდგენას ავალბებს.

■ პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ამჟამად კომუნიკაციების ეროვნული კომისია სამაუწყებლო ლიცენზიებს არ გასცემს. 2008 წლის მაისში მარეგულირებელმა ლიცენზიების გაცემა დროებით შეაჩერა. ამის მიზეზი, მისი განცხადებით, იყო ის, რომ კომისიას სურდა, სამაუწყებლო ბაზარი შეესწავლა და დაედგინა, თუ რა პრიორიტეტებზე უნდა გამახვილებულიყო მომავალში ყურადღება, ანუ რა სახის ლიცენზიები უნდა გაცემა. მას შემდეგ წელიწადნახევარი გავიდა, ეს პროცესი კი კვლავ გრძელდება და ჯერაც უცნობია, როდის დასრულდება. ამრიგად, მარეგულირებელმა კომისიამ წარმოშვა დროებითი ბარიერი, რომელიც ბაზარზე ახალი მოთამაშის გაჩენას ხელს უშლის.

კომისიის მიუკერძოებლობის სასარგებლოდ არც ამ სტრუქტურის ხელმძღვანელების სია მეტყველებს. გიორგი არველიძის შემდეგ, რომელიც ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და პრეზიდენტის აპარატის უფროსი იყო, ახლა კი „იმედის“ დირექტორია, კომისიის თავმჯდომარე „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორი, ირაკლი ჩიქოვანი გახდა. ოფიციალური ცნობით, ჩიქოვანმა რამდენიმე კვირით ადრე გაყიდა თავისი წილი „რუსთავი 2“-ში, ვიდრე კომისიის თავმჯდომარე გახდებოდა. თუმცა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის მიხედვით, კომისიის მიმართ საზოგადოების ნდობაზე უარყოფითად მოქმედებს ის ფაქტი, რომ კომისიის თავმჯდომარემ წამყვანი ტელეარხის აქციები დაწინაურებდა ცოტა ხნით ადრე დაუდგენელ ფასად გაყიდა. ხოლო სწორედ იმის გამო, რომ გაუმჭვირვალეა მაუწყებლების მფლობელების საკითხი, დაზუსტებით ვერაინ

საქართველო კიდევ უფრო უკან იხევს, ვიდრე შარშან იყო, 128-ე ადგილს კამბოჯასა და კენიასთან ერთად ინაწილებს და სწორედ ამ ორ ქვეყანასთან ერთად ასრულებს იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომლებსაც ნახევრად თავისუფალი მედია აქვთ. საქართველოს ქვემოთ უკვე იმ 65 ქვეყნის ჩამონათვალი იწყება, სადაც მედია ცალსახად და ჯერჯერობით უშანსოდ არათავისუფალია. მათ შორის არიან: აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და ვენესუელა, სიის ბოლოს კი – ჩრდილოეთ კორეა.

ქართული მედიის ნახევრად თავისუფლებას კი მედიაბაზრის პრობლემებიც ამძაფრებს. „ლიბერალში“ შეკრებილი ჟურნალისტებისთვის მეორე აღმოჩენა ის იყო, რომ თავისუფალი მედიაბაზრის განვითარება თუ არ ხდება, ესეც მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია. ისევე IREX-ის თავისუფალი მედიის ინდიკატორებს რომ დავეყრდნობთ:

ამ ოფიციალური ინფორმაციის პარალელურად, არსებობს მეორე რეალობაც. როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური მედიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ რეკლამის დინებას ბაზარზე მედიასაშუალებების „უსაფრთხოება“ განსაზღვრავს. რეკლამებს იღებენ ის მედიაკომპანიები, რომელთა შინაარსიც პოლიტიკურად სანდოა. ბიზნესკომპანიებს ან პირდაპირ სთხოვენ ასეთი გადანაცვტილებების მიღებას, ანდა ისინი, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ არჩევანს თავად აკეთებენ. რადიოსადგურ „ჭერეთის“ დამფუძნებელი, რამაზ სამხარაძე ამბობს, რომ რამდენიმე თვის წინ „ჭერეთთან“ დადებული ხელშეკრულება რადიოეთერში რეკლამის ერთწლიანი განთავსების შესახებ მობილური კავშირის კომპანია „ბილინ-მა“ მოულოდნელად, სწორედ იმიტომ გააუქმა, რომ რადიოეთერში ხელისუფლების კრიტიკის შემცველი სიუჟეტები

■ რეკლამებს იღებენ ის მედიაკომპანიები, რომელთა შინაარსიც პოლიტიკურად სანდოა. ბიზნესკომპანიებს ან პირდაპირ სთხოვენ ასეთი გადანაცვტილებების მიღებას, ანდა ისინი, არსებული რეალობიდან გამომდინარე, ამ არჩევანს თავად აკეთებენ.

დამატაციებს, რომ ეს აქციები ძველი მფლობელის ხელში აღარაა.

მედიასამართლის სპეციალისტების აზრით, კომისიაზე პოლიტიკური გავლენის საფრთხეს ზრდის კომისიის წევრების არჩევის წესიც, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტი ყოველ თავისუფალ ადგილზე სამ კანდიდატს არჩევს, წარუდგენს პარლამენტს, ის ფარული კენჭისყრით ირჩევს წევრებს, რომელთაც საბოლოოდ ისევ პრეზიდენტი ნიშნავს, ერთ-ერთ მათგანს კი თავმჯდომარედ ამტკიცებს. Freedom House-ის თავისუფალი პრესის 2009 წლის მოხსენებაში კომისიის დაკომპლექტების ეს წესი მედიაზე კონტროლის გაძლიერების ერთ-ერთ მოტივად არის დასახელებული. კანონის მიხედვით, საპარლამენტო ოპოზიციას კომისიაში თავისი წევრის წარდგენის უფლება ჰქონდა და თავისი წარმომადგენელი იქ ჰყავს კიდევ, თუმცა კომისია მაინც სამთავრობო გავლენის ქვეშ დარჩა.

ამ გარემოებების აკინძვაც კი საკმარისი ხდება იმის გასარკვევად, თუ რატომ არაფერი იცვლება ქართულ მედიაში, უფრო პირიქით – რატომ უარესდება ქართული მედიის თავისუფლების ხარისხი წლიდან წლამდე. 2009 წლის Freedom House-ის თავისუფალი პრესის რუკაზე

მედიასაშუალებები უნდა წარმოადგენდნენ პროფესიონალურ და მოგების მომტან კომპანიებს. მედია შემოსავალს მრავალგვარი წყაროებიდან უნდა იღებდეს. დამოუკიდებელი მედია არ უნდა იღებდეს სამთავრობო სუბსიდიებს. სტრატეგიული გეგმების, სარეკლამო შემოსავლების გაზრდისა და პროდუქტის დასახვეწად ბაზრის კვლევის მონაცემები უნდა გამოიყენებოდეს. მაუწყებლების რეიტინგები და გავრცელების მაჩვენებლები სანდო და დამოუკიდებელი კომპანიის მიერ უნდა იყოს შედგენილი.

დავინყოთ უკანასკნელით. ჩვენთან ელექტრონულ მედიაბაზარზე მაუწყებლების წილს საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე AGBNielsen Media Research-ის ლიცენზიის მფლობელი კომპანია TV MRGE ადგენს. ამ მონაცემების მიხედვით, ქართულ მედიაბაზარს ორი უმსხვილესი მოთამაშე ჰყავს – „რუსთავი 2“ და „იმედი“. და თუ ამ ინფორმაციას გავყვებით, ლოგიკური გამოვა, თუ რეკლამის უდიდესი წილიც მათ კომპანიებზე მოდის და არა „მაესტროსა“ და „კავკასიაზე“, რომელთა რეიტინგიც მათ ვერ შეედრება, რომ აღარაფერი ვთქვათ, რადიოებზე, ბეჭდურ თუ ინტერნეტ მედიაზე. თუმცა,

გადიოდა. არსებობს სხვა კონკრეტული შემთხვევებიც, რომელთა შესახებ საჯაროდ არ საუბრობენ.

მედიაბაზარზე ამ მდგომარეობის შენარჩუნებას ხელს უწყობს სარეკლამო სააგენტოების როლიც. პოლიტიკური გავლენა მათზე უშუალოდ ვრცელდება. იმის გამო, რომ მაუწყებლების მფლობელობის საკითხი გაუმჭვირვალეა, მხოლოდ ემპირიული დაკვირვების შედეგად თუ შეიძლება სურათის შეკვრას: როდესაც „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთ ხელმძღვანელად „სარკეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, კობა დავარაშვილი დაინიშნა, „რუსთავი 2“-ის ეთერში ძირითადად „სარკეს“ მიერ დამზადებული რეკლამები გადიოდა. ტელევიზიაში ირაკლი ჩიქოვანის მისვლის შემდეგ კი, ეთერი მისი კომპანიის, „მაგისტლის“ პროდუქციამ დაიკავა.

IREX-ის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბუნდოვანებით არის მოცული მთავრობის მიერ ტელემაუწყებლების სუბსიდიების თემაც და ამაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. თუმცა, რამდენიმე რეგიონული კომპანიის შემთხვევაში, რომელთა შესახებ ინფორმაცია მარეგულირებელ კომისიაშიც დევს, მათ პირდაპირ დამფინანსებლად ად-

გილობრივი მუნიციპალიტეტები სახელდება. მაგალითად, ასეთია ტელეარხი „ახმეტა TV 1“, რომელსაც ახმეტის მუნიციპალიტეტი ფლობს.

თუმცა, გაცილებით უფრო სახიფათოა, მსხვილი ნაციონალური მაუწყებლების დოტაციით შენახვა. ფინანსური დამოკიდებულება პოლიტიკურ ძალებზე ავტომატურად სპობს სარედაქციო დამოუკიდებლობის ჩანასახსაც კი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევაში ასეთი სურათი დეცს: TV MR GE-ის მონაცემებით, სატელევიზიო რეკლამაში 2008 წელს 33 მილიონამდე დოლარი დაიხარჯა. იმავე წელს კი სამაუწყებლო ლიცენზიის მქონე კომპანიებისა და საკაბელო ტელევიზიების საერთო შემოსავალი, მათივე მონაცემებით, 92 მილიონ ლარზე მეტი იყო. გამოდის, რომ საქართველოს ტელევიზიებმა, სულ მცირე, 34 მილიონი ლარი სხვა, უცნობი წყაროებიდან მიიღეს. ეს ფული შესაძლებელია, მფლობელის სუბსიდიის იყოს, თუმცა ამ ფულის წარმომავლობა ისეთივე დაფარულია, როგორც მფლობელის ვინაობა.

„ინტერნიუსის“ უკრაინელი მედიაკონსულტანტი ოლეგ ხომენიკი აცხადებს, რომ უკრაინის მედიაბაზარზე მსგავსი ტიპის პრობლემების გადაჭრა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ბაზარზე უცხოელი მედიაფლობელები შემოვიდნენ და რაც სარეკლამო ბაზრის მოცულობა გაიზარდა. დღეს უკრაინაში თავიანთი გამოცემები აქვთ გერმანელებს, სკანდინავიელებს და ამერიკელებს. ბოლო სამი წლის განმავლობაში განვითარდა ბიზნეს პრესაც. ამ ყველაფერმა კი ავტომატურად გააჩინა მოთხოვნა საბაზრო წილების შესახებ სანდო რეიტინგებსა და მიუკერძოებელ მონაცემებზე.

ხომენიკის აზრით, მდგომარეობას გამოასწორებდა ისიც, რომ რეიტინგების განსაზღვრას ბაზარზე არა ერთი, არამედ რამდენიმე კომპანია ახდენდეს. მაგალითად, უკრაინაში საბაზრო წილებს 3-4 ადგილობრივი და უცხოური კომპანია იკვლევს. „სიმრავლე ამ ბაზარზეც უნდა იყოს, ასე ცხოვრება უფრო იოლია“, – დასძენს ხომენიკი, და პარალელურად, ქართულ მედიას პროფესიული გაერთიანებების შექმნას ურჩევს. „ჩვენთან უკრაინელი გამომცემლების პირველი ასოციაცია 2002-ში, კუჩმას დროს, ლონდაძის მკვლელობის შემდეგ შეიქმნა. ისინი საერთო საფრთხის წინაშე გაერთიანდნენ. 2006-ში რეგიონული გამომცემლების ასოციაცია უკვე პერსპექტივებმა გააერთიანა. მათ ჰყავთ ად-

ვოკატები, რომლებიც გამომცემლების ინტერესებს პარლამენტის დონეზე ლობირებენ და ერთმანეთის პრობლემების სწავლობენ. ისინი მიხვდნენ, რომ მედიანილების სანდო კვლევა ის ვალუტაა, რითაც მედიაბაზარზე უნდა იარსებო. ამიტომ ასეთი კვლევა ერთ-ერთ კომპანიას შეგროვებული ფულით თვითონ შეუკვეთეს და ახლა უკვე რეკლამის მოსაზიდად რეგულარულად იყენებენ“.

უკრაინელი ექსპერტი მედიის პრობლემების ნაწილობრივი მოგვარებისთვის ერთი ტიპის თვითრეგულირებას გეთავაზობს – ეს ქმედითი პროფესიული კავშირების შექმნაა. მისი როლი მართლაც მნიშვნელოვანია და მედიაბაზრის ტექნიკური მხარეების მოგვარებას გულისხმობს.

არსებობს მეორე ტიპის თვითრეგულირებაც. ესაა ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი და ის პროფესიული გაერთიან-

ება, რომელიც შეამონმებს, რამდენად იცავს მედია მალალ პროფესიულ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს.

ჩვენთან პროფესიული კავშირების შექმნა მხოლოდ შორეულ მომავალს უკავშირდება, რადგან ჯერჯერობით ასეთი იდეაც კი არ არსებობს. ახალი ჟურნალისტური ქარტია კი, რომელიც ქართული მედიის თვითრეგულირების მესამე მცდელობა იქნება, მალე შევა ძალაში. მნიშვნელოვანია, რომ ამ ქარტიამ მინც შეძლოს იმ მექანიზმების ამუშავება, რომლებიც მედიის პროფესიულ სტანდარტებზე მოახდენს გავლენას. ეს მოსაგვარებელი პრობლემაა, თუმცა – არა ყველაზე მთავარი. გაცილებით უფრო სწრაფი და ეფექტური შედეგები მოჰყვებოდა იმ საკანონმდებლო ხარვეზების გამოსწორებას, რომლებსაც ხელისუფლება ირიბი მართვის მექანიზმებად იყენებს. ■

ქართული მედიის სიღრმისეული კვლევა

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) 2009

ქართველები ახალი ამბების ხარბი მომხმარებლები არიან. ტელევიზორს რესპონდენტთა 84 პროცენტი ყოველდღიურად უყურებს. გამოკითხულთა 86 პროცენტი ასევე კითხულობს ყოველკვირეულ გაზეთებს, 80 პროცენტი – ჟურნალებს, თვეში ერთხელ მაინც. რესპონდენტთა 33 პროცენტი კი ინფორმაციას ყოველდღიურად რადიოდან იღებს. იზრდება ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვიც – ნეტში ყოველდღიურად გამოკითხულთა 12 პროცენტი ერთვება.

ქვეყნის უდიდეს ნაწილს მხოლოდ სამი ტელემაუწყებელი – „რუსთავი 2“, „იმედი ტვ“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი ფარავს. გამოკითხულთა 51.33 პროცენტი ამ არხებს პროსახელისუფლებო მაუწყებლებად აფასებს. თბილისის მოსახლეობის 68 პროცენტი მიიჩნევს, რომ „კავკასია“ ოპოზიციის ინტერესებს იცავს,

50 პროცენტის აზრით კი, ოპოზიციის მხარდამჭერია „მაესტროც“.

მაშინ, როცა გამოკითხულთა 40 პროცენტი თანხმდება იმაზე, რომ ქართველი ჟურნალისტები უბრალო ადამიანების ინტერესებს ემსახურებიან, ამ მოსაზრების სისწორეს არ ეთანხმება გამოკითხულ მედიაპროფესიონალთა 79 პროცენტი.

მედიაპროფესიონალების 83 პროცენტს სჯერა, რომ ჟურნალისტებზე გავლენას სამთავრობო ინტერესები ახდენს, არადა, ასე საზოგადოების მხოლოდ 18 პროცენტი ფიქრობს. მათი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მედიასაშუალებების მფლობელების გამოქვირვალეობა აიოლებს ჟურნალისტებზე ზენოლას. გამოკითხულთა 79 პროცენტს მიაჩნია, რომ ტელემაუწყებლების მფლობელები მათ სარედაქციო პოლიტიკაზე გავლენას ახდენენ.

მედიაპროფესიონალებისთვის ტელემაუწყებლები უფრო პოლარიზებულია, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობისთვის. გამოკითხული საზოგადოების მხოლოდ 51 პროცენტი მიიჩნევს, რომ „რუსთავი 2“ სამთავრობო ინტერესებს ემსახურება, ხოლო ამ მოსაზრებას ეთანხმება გამოკითხული მედიაპროფესიონალების 94 პროცენტი.

გამოკითხულთა 75 პროცენტისთვის ახალი ამბების მიკერძოებული გაშუქება მიუღებელია, მაგრამ უმრავლესობას მაინც ჰგონია, რომ სატელევიზიო ახალ ამბებში ობიექტურობა დაკარგულია. რესპონდენტთა 61 პროცენტი ფიქრობს, რომ ახალი ამბების გაშუქებაზე გავლენას არხების მფლობელები ახდენენ. ქართველების 49 პროცენტი კი ეთანხმება აზრს, რომ ჟურნალისტები რაღაც დოზით მთავრობის ინტერესებს იცავენ.

ახალი მედია

საქართველოში „თვითარის“ რეჟოლუსია ჯერ შორსაა

ახალი მედია საქართველოში ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია.

ეკა ჭითანავა



თავისუფალი პრესის განვითარებისთვის ინტერნეტი უნიკალურ მედიუმს გვთავაზობს. თუმცა, საქართველოში მის შესაძლებლობებს მინიმალურადაც კი ვერ იყენებენ. მიზეზი ნაწილობრივ ისაა, რომ ინტერნეტი ბევრისთვის ისევ ფუფუნების საგანია, ამიტომ მისი შესაძლებლობები ჯერჯერობით აუთვისებელია.

საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება. თუმცა, „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ (CRR) მიერ 2009 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ყოველდღე ინტერნეტს მოსახლეობის მხოლოდ 12 პროცენტი იყენებს, ინფორმაციას კი მისგან სულ 3 პროცენტი იღებს.

დასავლეთში ახალი მედიის პოპულარობას მრავალფეროვანი ინფორმაციის მიღების მოთხოვნილება განსაზღვრავს. სოციალური ქსელების, „ფეისბუქის“, „თვითარისა“ და „იუთუბის“ საშუალებით, ადამიანები ამ ინფორმაციას გემოვნებისა და ცხოვრების წესის მიხედვით ირჩევენ.

მედიის დამოუკიდებლობის მხრივ გან-

ვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ქვეყნებში კი ახალი მედია ხელისუფლების წინააღმდეგ გათავისუფლების გზა და ალტერნატიული ინფორმაციის წყარო ხდება.

ქართულ მედიასივრცეში ერთი წლის წინ პირველი ინტერნეტ-ტელევიზიის გამოჩენაც სწორედ ამ წინხისგან თავის დაღწევის მცდელობა იყო. ინტერნეტ-ტელევიზია „ჯევიჟენ“ 2007 წელს ტელეკომპანია „იმედის“ დახურვის შემდეგ წამოსულმა ჟურნალისტებმა დააარსეს. როგორც დამფუძნებელი და პროდიუსერი რუსა ჭაბუკიანი ამბობს, ინტერნეტ-ტელევიზია თავისუფლების ოაზისად წარმოედგინათ. ამ წარმოდგენას ამყარებდა ისიც, რომ ინტერნეტ-ტელევიზიის შესაქმნელად ლიცენზიის აღება საჭირო არაა და ის, წესით, მართლა არის შეუზღუდავი თავისუფლების სივრცე.

თუმცა, „ჯევიჟენ“ მალე დადგა ფაქტის წინაშე, რომ რეალური თავისუფლებისთვის თავისუფალი და გარანტირებული ფინანსებიც სჭირდებოდათ. აქ კი ისევ იმ პრობლემას ნაწყენდნენ, რაც ტრადიციუ-

ლი მედიასაშუალებებისთვის კარგად ნაცნობია – „ჯევიჟენთან“ გარკების დადება რამდენიმე პოლიტიკურმა დაჯგუფებამ სცადა. თუმცა, დამფუძნებლებმა პოლიტიკოსებისთვის აქციათა საკონტროლო პაკეტის მიყიდვაზე უარი თქვეს იმ იმედით, რომ ბიზნესის განვითარებას დამოუკიდებლად შეძლებდნენ. თუმცა, გახსნიდან მეორე წელს „ჯევიჟენის“ ხუთი ჟურნალისტი ისევ ერთადერთი კამერით მუშაობს. არხის რეიტინგიც დაბალია. ვებგვერდზე დღეში, საშუალოდ, 160-მდე მაყურებელი შედის.

რომ არა კავკასიის ინტერნეტ-მედია ჯგუფისგან მიღებული დაფინანსება, ვერც მეორე ინტერნეტ-ტელევიზია „აიტივი“ განვითარდებოდა. ამ ჯგუფში მასთან ერთად კიდევ 11 გასართობი და საინფორმაციო პორტალი შედის. მათგან შედარებით მაღალი სარეკლამო შემოსავალი ძირითადად გასართობ საიტებს აქვთ. მათი შემოსავალი კი შედარებით დაბალრეიტინგულ „აიტივიზეც“ ნაწილდება.

კომპანიების ფინანსური მენეჯერები აცხადებენ, რომ საქართველოში ინტერნეტ-რეკლამაზე დაბალი მოთხოვნაა, მიზეზად ინტერნეტ კულტურის განუვითარებლობას ასახელებენ. ზოგიერთი კომპანია ინტერნეტში რეკლამას მხოლოდ მას შემდეგ ყიდულობს, რაც თავის საიმიჯო საიტს შექმნის.

პოპულარული საიტების რეიტინგს თვალს თუ გადავავლებთ, მონინავე პოზიციებზე არა საინფორმაციო-ანალიტიკური საიტები, არამედ გასართობი პორტალები ხვდება. პოლონელი ჟურნალისტი იაკუბ გორნიცკი, რომელიც ერთი თვის წინ თბილისში გამართულ ახალი მედიის ფორუმზე ჩამოვიდა, ამბობს, რომ ახალი მედია საქართველოში ზედმეტად პოლიტიზებულია და არა თემატურად მრავალფეროვანი – როგორც წესით უნდა იყოს. ამ ფაქტს არხების პროდიუსერები იმით ხსნიან, რომ მაყურებელს უფრო პოლიტიკური თემები აინტერესებს და დასტურად იმ გამოხმაურებებსა და კომენტარებს ასახელებენ, რომლებიც მათ სიუჟეტებს მოჰყვება.

პოლიტიკების ხარისხით ის სოციალური ქსელებიც გამოირჩევა, რომელთა პოპულარობაც საქართველოში დღითი დღე იზრდება.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქართული ვებგვერდი, რომელსაც რეიტინგით მხოლოდ გასართობი ვიდეო-პორტალები უსწრებს, „თბილისის ფორუმი“ა. ეს ის უნიკალური ადგილია, რომელიც ბევრი ინტერნეტ-მომხმარებლისთვის ინფორმა-

ციის მიღების წყაროც ხდება და სადისკუსიო სივრცეც.

სოციალური ქსელების ასეთი პოპულარობის გამო, პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან იზრდება ცდუნება, ამ საინფორმაციო სივრცეზე ზეგავლენით საზოგადოებრივი აზრი აკონტროლონ.

რვა წლის წინათ შექმნილი თავისუფალი სიტყვის ზონა „forum.ge“, სოციალური ქსელების ზოგიერთი მოყვარულის აზრით, დღეს სამთავრობო კონტროლის ქვეშ მოექცა.

ფორუმის დამაარსებელი თეიმურაზ ხანდრავა ასეთი ზენოლის ფაქტებს უარყოფს. ერთ-ერთი აქტიური წევრის თქმით, ფორუმი „სიტყვის თავისუფლების შუქურა არაა, მაგრამ ბევრ საინტერესოს პირველად აქ გაიგებ“. თუმცა, აგვისტოს ომის დროს, როცა საზოგადოებას ინფორმაციის ალტერნატიული წყარო ყველაზე მეტად სჭირდებოდა, „თბილისის ფორუმი“ ერთი თვით გათიშეს.

ომის დროს შექმნილი საინფორმაციო ვაკუუმი, რომელიც მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას მოჰყვა, ინფორმაციის ვერც ამ ალტერნატიულმა წყარომ შეაფასო. გამოდის, რომ ის მისია, რაც ახალმა მედიამ საკუთარ

ხომენიკი, და მაგალითად ჩინეთის მთავრობას ასახელებს, რომელიც „მზის ჩაქრობას“ ინტერნეტ-პროვოკაციების დაბლოკვით ცდილობს. თუმცა ინფორმაცია ალტერნატიული წყაროებით, მაგალითად, მობილურით გადაღებული ვიდეოებით, მაინც ვრცელდება.

ცნობილი ბელორუსი ჟურნალისტი ევგენი მოროზოვი „თვითერის რევილუციას“ არაერთმნიშვნელოვნად აღიქვამს. მისი თქმით, სოციალური ქსელები ირანის მთავრობისთვის ღია სადაზვერვო ინფორმაციის წყაროდ იქცა. რის გასაგებადაც წინათ „კვბ“ თვეების განმავლობაში წვალობდა, ახლა ამ ინფორმაციას „ფეისბუქიდან“ იგებს. მოროზოვის თქმით, ავტორიტარული ქვეყნის ხელისუფლება თავისი ინტერესების გასაზარებლად სპეციალურად ქირაობს ბლოგერებს, რომ მისთვის სასარგებლო თემებზე წერონ.

ზოგიერთი პოლიტიკოსი ბლოგერებს ქირაობს, ზოგიერთი კი ახალი მედიის შექმნაში უშუალოდ მონაწილეობს.

2009 წლის ოქტომბერში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საზოგადოებას კრემლის ოფიციალურ საიტზე საკუთარი ვიდეო ბლოგის გახსნის წლისთავი მიულოცა; ანუ იმ ქვეყანაში, სადაც

ათასამდე მეგობარი ჰყავს, ამიტომ თემა, რომელსაც იგი ლობირებს, სულ მალე საჯარო განხილვის საგანი ხდება. სწორედ ასე მოექცა მედიის ფოკუსში სტალინის ძეგლის გადატანის, ბაგრატიის რეკონსტრუქციის, ჰელოუნისა და თეა თუთბერიძის გარშემო ატეხილი აურზაური.

ასეთი სოციალური აქტივობები ნაკლებად ეხება ქართულ ბლოგოსფეროს, რომელიც ახალი მედიის სხვა საშუალებებთან ერთად ახლა ვითარდება და არც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქართულ ბლოგოსფეროს ინფორმაციის მიწოდებისა და ანალიზის ნაცვლად, პირადი დღიურების სახე უფრო ხშირად აქვს. რეიტინგით პირველი „ყველაზე სკანდალური, ექსტრავაგანტული და სუპერრეალური ბლოგი“ sweet.ge-ც ასეთია.

ინფორმაციის გავრცელების ფუნქციას საქართველოში ვერც „თვითერი“ ასრულებს, მაშინ როცა ამ ქსელის დახმარებით, თუნდაც ექსტრემალურ სიტუაციებში, ამბის მყისიერად გადაცემა შეიძლება. მის შესაძლებლობებს ჟურნალისტებთან ერთად ეფექტურად იყენებენ პოლიტიკოსებიც, მაგალითად ბარაკ ობამას „თვითერი“ მილიონობით ადამიანი „მიჰყვება“ და შეუძლია, ლაკონიური შეტყობინებების

„თბილისის ფორუმი“, ეს ის უნიკალური ადგილია, რომელიც ბევრი ინტერნეტ-მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიღების წყაროც ხდება და სადისკუსიო სივრცეც.

თავზე აიღო ირანში, საქართველოში ბოლომდე ვერ შეასრულა.

2009 წლის ზაფხულში, როცა საპრეზიდენტო არჩევნები პრეზიდენტ მაკმუდ აჰმადინეჟადის სასარგებლოდ გაყალბდა, ათასობით ირანელი ქუჩაში ხმის უფლების დასაცავად გამოვიდა. მასობრივი არეულობა მალე სისხლიან შეტაკებებში გადაიზარდა. და როცა ჟურნალისტებს მიმდინარე მოვლენების გაშუქება აუკრძალეს, მაშინ მოქალაქეებმა ინფორმაციის გასავრცელებლად სოციალური ქსელები „თვითერი“ და „ოუთუბი“ გამოიყენეს. სტუდენტები მობილური ტელეფონებით იღებდნენ, „ოუთუბზე“ მკვირთავდნენ და ასე უყვებოდნენ მთელ მსოფლიოს ირანში განვითარებულ მოვლენებს.

ირანის მაგალითის მოყვანისას ზოგიერთი ხაზს უსვამს, რომ ახალი მედიისთვის ბარიერები არ არსებობს. „გამიგია მოსაზრება, რომ ინტერნეტის რეგულირება იგივეა, მზის ამოსვლის გაკონტროლება შეეცადო“, – ამბობს „ინტერნუსის“ უკრაინელი მედიაკონსულტანტი ოლეგ

მედიაზე პირდაპირი ცენზურა ვრცელდება, პრეზიდენტიც კი ბლოგოსფეროს საკუთარი პოლიტიკის პროპაგანდისთვის წარმატებით იყენებს. რუსეთის პრეზიდენტი აუდიტორიაზე გავლენის მოხდენას არა მხოლოდ სამთავრობო არხებითა და პრესით, საკუთარი ვიდეო ბლოგის საშუალებითაც ცდილობს და აღწერს, მაგალითად, როგორ გააგრძელებინა საბავშვო კლინიკა, მას შემდეგ, რაც დანგრეული ოთახების ფოტოები ბლოგზე წახა.

გამოდის, რომ რუსეთის ხელისუფალი ახალი მედიის თამაშის წესებს აღიარებს და იმ შესაძლებლობებს, რასაც ეს მედიუმი სთავაზობს, ღიად და პირდაპირ იყენებს.

საქართველოს პრეზიდენტი ბლოგს თავად არ წერს, სამაგიეროდ, სოციალურ ქსელს ხელისუფლების წარმომადგენლები და მათთან ასოცირებული პირები იმ საკითხების პროპაგანდისთვის იყენებენ, რომელთა გადაჭრაც თავად სურთ.

„თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრ ლევან რამიშვილს „ფეისბუქზე“ ოთხი

სახით მის დღის განრიგსაც კი გაეცნოს.

დასავლეთში უკვე „თვითერის“ გამოყენების ალტერნატიულ მეთოდებსაც მიავსებს. იქ მალე „თვითერობას“, ადამიანების გარდა, მანქანები დაიწყებენ. ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სტუდენტმა თავისი ფეხმძიმე მეუღლისთვის ვიბრაციის მქონე სენსორებიანი ელასტიური ბანდაჟი გამოიგონა, და ყოველ წამს, როცა ბავშვი მუცელში ინძრევა, სენსორებით „თვითერს“ შეტყობინებას გადასცემს: „გავინძერი პარასკევს, 8 საათზე“.

საქართველოში ჯერ მხოლოდ იმის ნიშნებია, რაც საზღვარგარეთ უკვე ტენდენციად არის ქცეული. სასურველია, ინტერნეტ მედიუმის შესაძლებლობები ხელისუფლებასა და პოლიტიკურ პარტიებზე ადრე სამოქალაქო სექტორმა და მედიამ გამოიყენონ. პოლარიზებული და კონტროლირებადი ტრადიციული მედიის ფონზე ეს ის მედიუმი, რომელსაც შეუძლია, ინფორმაციის გავრცელებისა და განალიზების თავისუფალ, ეფექტურ და სწრაფ საშუალებად იქცეს. **Q**

ოჯახი – ყველა ბავშვის უფლება

გაშვილების პროცესი მარტივდება. ეს, ერთი მხრივ, მიტოვებულ ბავშვებს ახალ შესაძლებლობებს აძლევს, მეორე მხრივ კი, მათი უფლებების შელახვის საშიშროებებსაც აჩენს.

მარიკა ქონიაშვილი



ფოტო მარიკა ქონიაშვილი

ბიჭი, რომელიც მარტყოფის ბავშვთა სახლში გაიზარდა, 18 წლისა ოჯახში დაბრუნდა, მაგრამ არ მიიღეს. სასოწარკვეთილმა ჯანდაცვის მინისტრს წერილი მისწერა, სადაც პასუხს ითხოვდა კითხვაზე, რატომ არ ჩამოართვა სახელმწიფომ მის მშობელს დედობის უფლება, რატომ არ მოუძებნეს ოჯახი, რომელიც მის შვილად აყვანას მოინდომებდა.

16 წლის გოგონა, 9 წელია, ბავშვთა სახლში ცხოვრობს. მამა არასდროს უნახავს, დედამ კი ნათესავებს მიაბარა, როცა ბავშვი 7 წლის იყო. ნათესავები 9 წლის განმავლობაში გოგონას არაადამიანურად ექცეოდნენ, შემდეგ ბავშვთა სახლში ჩააბარეს.

ბავშვები მსგავსი ისტორიებით უმრავლეს შემთხვევებში სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე დიდ, სახელმწიფო ინსტიტუტებში ცხოვრობენ. ოჯახურ გარემოში დაბრუნებას და თუნდაც არაბიოლოგიური მშობლების

სიყვარულს მათი ნახევარიც კი ვერ იმსახურებს.

ერთი წლის წინ მათი ისტორიები ჯანდაცვის სამინისტრომ გამოიყენა იმის დასამტკიცებლად, რომ კანონი შვილად აყვანის შესახებ, შესაცვლელია, რაზეც სახელმწიფოს, წესით, ჯერ კიდევ 15 წლის წინ უნდა ეზრუნა. 1994 წელს საქართველო გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციას შეუერთდა და ვალდებული გახდა, ბავშვთა უფლებების დასაცავად ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა გადაესინჯა, მაგრამ წლების განმავლობაში ვერ გაირკვა, რომელ სტრუქტურას უნდა დაეცვა ბავშვთა უფლებები. 2009 წლამდე დარგი განათლების სამინისტროს ებარა, ერთი წლის წინ ჯანდაცვის სამინისტროს გადაეცა და კანონპროექტის წერაც მამინ დაინყო.

ბავშვების უფლებებზე ზრუნვა, პირველ რიგში იმას გულისხმობს, რომ

შვილად აყვანის პროცესი გამარტივდეს. ოჯახებს, რომლებიც ბავშვის აყვანის სურვილს გამოთქვამენ, წლობით არ უნდა უწევდეთ რიგში დგომა. ეს იქნება შანსი ბავშვებისთვის, შეძლებისდაგვარად მალე გადავიდნენ საბჭოთა ტიპის დიდი ინსტიტუციებიდან ოჯახურ გარემოში.

ამისთვის ახალი კანონით რამდენიმე ბერკეტი ამოქმედდება:

დღემდე ბავშვის გაშვილებისათვის დედის თანხმობაა საჭირო. დედები კი, ხშირ შემთხვევაში, ამაზე უარს ამბობენ. მათი ნაწილი შვილებს თავშესაფრებში უსახსრობის გამო აბარებს და ფიქრობს, რომ ფინანსური პრობლემების გადაჭრის შემდეგ შვილებს ისევ შინ დააბრუნებენ. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, უარზე არიან ის დედებიც, რომლებიც შვილებს თავშესაფრებში იშვიათად აკითხავენ. ზოგი ფიქრობს, რომ შვილი მათ სიბერეში მომვლელად დასჭირდებათ, ზოგი კი საერთოდ იკარგება. ბავშვის აყვანას კი ვერც სხვა ოჯახი ახერხებს, რადგან დედის თანხმობა არ არსებობს.

ახალი კანონის მიხედვით, ბავშვის გაშვილებისთვის ეს პირობა სავალდებულო აღარ იქნება. სოციალური მუშაკები შეისწავლიან თითოეული ბავშვის ისტორიას, ნახავენ, რამდენად ხშირი კავშირი აქვთ მათ მშობლებთან, შეამოწმებენ მათ ოჯახურ და ფინანსურ მდგომარეობას და თუკი გადაწყვეტენ, რომ ბავშვის გაშვილება უკეთესია, საქმეს სასამართლოს გადასცემენ.

თუმცა, პრიორიტეტული მაინც ბავშვის მშობლიურ გარემოში დაბრუნება იქნება. სახელმწიფო დახმარების ახალ პაკეტს შესთავაზებს გაჭირვებულ მშობლებს. თუკი დედებს არ აქვთ სახლი, მათ თავიანთ შვილებთან ერთად დედათა და ბავშვთა თავშესაფარში გარკვეული ვადით დაუთმობენ ადგილს. პატარებს მისცემენ სამედიცინო დაზღვევის პოლისსაც, ჩვილი ბავშვებისთვის კი კვებისა და ნაწლის ვაჭყერებს. თუ მშობელი მუშაობს, სახელმწიფო შესთავაზებს დღის ცენტრს, სადაც მოზრდილი ბავშვები მოამზადებენ გაკვეთილებს, მიიღებენ საკვებს, სხვადასხვა პროფესიულ მომზადებას და ა.შ.

„ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს ბავშვები ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნდნენ. მაგრამ თუ ეს ვერ ხერხდება, ვიზრუნებთ, რომ სხვა ოჯახში მოხვდნენ და არ გაიზარდონ

ინსტიტუციებსა და ბავშვთა სახლებში“, – ამბობს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, დავით ლომიძე.

თუმცა, დახმარებების პაკეტი რამდენიმე მნიშვნელოვან ნიუანსს არ ითვალისწინებს. მაგალითად, დედათა და ბავშვთა თავშესაფარში ადგილები მხოლოდ ჩვილბავშვიანი მშობლებისთვისაა გათვალისწინებული. იმ დედების საკითხი კი, რომელთაც მოზრდილი შვილები ჰყავთ და არ აქვთ სახლი, რის გამოც იძულებულნი არიან, ბავშვები თავშესაფარებს მიაბარონ, კვლავ ღიად რჩება.

„ასეთ შემთხვევაში, მშობელს რომ უთხრა, მშობლის უფლებას მხოლოდ იმიტომ გართმევ, რომ სახლი არ გაქვს, დანაშაული იქნება“, – ამბობს ანდრო დადიანი, რომელიც, მე-6 ნელია, ბავშვთა უფლებების დაცვაზე მუშაობს.

თუმცა ასეთი რამ ახალი კანონით მაინც შეიძლება გახდეს მშობლისთვის უფლებების ჩარმორთმევის ლეგალური მიზეზი.

„ჩვენი მიზანია, ბავშვი იყოს ოჯახურ გარემოში. დამთავრდა ის ეპოქა, როცა მშობლის უფლება იყო უფრო

გაჩნდება, რადგან ეს მუხლი კანონში იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით ჩაიდო. შესაბამისად, დანაშაულის პრევენციაზე იუსტიციის სამინისტრო და პროკურატურა ერთად იზრუნებენ; თანაც, საბოლოოდ ისევ სასამართლო გადაწყვეტს, მიაშვილოს თუ არა ბავშვი, ბიოლოგიური მშობლის მიერ არჩეულ პირს.

არასამთავრობო სექტორში მიიჩნევენ, რომ სოციალური მუშაკები ოჯახებს, რომელთაც ბავშვი აიყვანეს, მინიმუმ 6 თვეს მაინც უნდა აკვირდებოდნენ. „არა ჩასაფრებულის პოზიციიდან, არამედ ისევ მშობლის დასახმარებლად, რომ ის უკეთესი მშობელი გახდეს. კი არ უნდა დასაჯონ და წაართვან აყვანილი შვილი, არამედ დაეხმარონ“. თუმცა, კანონი ამგვარ დაკვირვებას არ ითვალისწინებს.

„კონტროლის მექანიზმი ჩვენ არ გვაქვს და არც იქნება სწორი. მაშინ ნებისმიერი ოჯახი უნდა ვაკონტროლოთ. თუ სიგნალები იქნება, რომ ბავშვის უფლებები ირღვევა და ის ძალადობის მსხვერპლია, ჩვენ ამის საფუძველზე შეგვიძლია ისევ მივმართოთ სასამართლოს, რომელმაც შეიძლება ბათილად

ბუნდოვანია, 10 წელზე უფროსი ბავშვების მომავალიც. როგორც წესი, პოტენციურ მშობლებს ძალიან მცირე ასაკის, ანდა სულაც ჩვილების აყვანა სურთ და უარს ამბობენ მოზრდილებზე. ამიტომ მათ დიდ ნაწილს, თუკი მშობლიურ ოჯახებში ვერ დაბრუნდნენ, კანონის ამოქმედების შემდეგაც, სავარაუდოდ, ისევ დიდ ბავშვთა სახლში მოუწევთ ცხოვრება. ამიტომ ამ სახლების დახურვაც დროში დიდხანს გაინელება.

დღეს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ ბავშვთა სახლებში 1680 ბავშვია. შეილად აყვანის მსურველთა რიგში კი 1100 ოჯახი. ეს არ ნიშნავს, რომ კანონის ამოქმედებისთანავე ყველა ოჯახი იპოვის შვილს, თუმცა, მსურველებს რიგი მაინც სწავდა მოუვათ. ეს პროცესი მშობლების უფლებების ჩამორთმევის პრევენციების შექმნისთანავე დაიწყოს. ბოლო 2 თვის განმავლობაში სოციალური მომსახურების სააგენტომ 9 ბავშვი გააშვილა. „ასეთი რამ არ მომხდარა“, – ამბობს სააგენტოს ბავშვზე ზრუნვის სამსახურის უფროსი, ეკა სანებლიძე.

შეილად აყვანის მსურველთა ლე-

■ კანონპროექტი ბავშვების გაშვილების პროცესს აშკარად ამარტივებს. თუმცა საკამათოა, რამდენად სრულყოფილად იცავს ბავშვების უფლებებს.

წინ, ვიდრე ბავშვის“, – ამბობს დავით ლომიძე.

არასამთავრობო სექტორში კი მიიჩნევენ, რომ მშობლების უფლებების ასე ხელაღებით უარყოფით, ჩნდება საფრთხე, რომ ზოგიერთს მშობლის უფლებას ართმევენ მაშინ, როცა სახელმწიფო საკმარისად არ ზრუნავს მშობლების დასახმარებლად.

არსებობს კიდევ ერთი საფრთხე. კანონში ჩაიდება პუნქტი, რომელიც ალადაგენს პირდაპირი მიშვილების პრაქტიკას. ეს იმას ნიშნავს, რომ მშობელს უფლება ექნება, აირჩიოს, ვინ იშვილებს მის შვილს. ეს პრაქტიკა შევარდნადის დროს არსებობდა და რეალურად კორუფციის წყარო იყო – მაშინ ბავშვებს მშობლები ფაქტობრივად ყიდდნენ. „ევრი ჩაილდის“ დირექტორი კატეგორიულად ეწინააღმდეგება მშობლებისთვის ამ უფლების ხელახლა მინიჭებას. ჯანდაცვის სამინისტროს მტკიცებით კი, კორუფციის საფრთხე ახლა აღარ

ცნოს გადაწყვეტილება და ამ შემთხვევაში ისარგებლოს ბავშვის უპირატესი უფლებით“, – მიიჩნევს დავით ლომიძე.

კანონპროექტი ბავშვების გაშვილების პროცესს აშკარად ამარტივებს. თუმცა საკამათოა, რამდენად სრულყოფილად იცავს ბავშვების უფლებებს. ამას ემატება საკითხებიც, რომელთა გადაჭრაც კანონის ძალას აღემატება. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარების საკითხი, რომელთა გაშვილების პრევენციული საქართველოში არც ერთხელ არ დაფიქსირებულა. „საქართველოში ეს ორი მიზეზის გამო ხდება, – ამბობს ანდრო დადიანი, – სტიგმა – ანუ შეზღუდული ბავშვი ოჯახის სირცხვილია, და მეორე – მათი მკურნალობა ძალიან ძვირია“. ამიტომაც, რომ შეზღუდული უნარების მქონე პატარები თუკი ოჯახურ გარემოს ელირსებთან, მხოლოდ უცხოელი მშობლების დამსახურებით.

გალური რიგი კანონის ამოქმედებამდე რომ დაიძრა, იმის დამსახურებაცაა, რომ ბავშვებს საიდენტიფიკაციო ნომრები დაბადებისთანავე ენიჭებათ. სოციალური სააგენტოს წუსხა კი ცენტრალიზებული გახდა და უკვე ერთ სიაშია თავმოყრილი ყველა ის ოჯახი, რომელთაც ბავშვის აყვანა სურთ და ყველა ის ბავშვი, რომელიც გაშვილებას ელოდება.

ის, რომ ბავშვები სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში არ აღინიშნებოდნენ და საიდენტიფიკაციო ნომერი მხოლოდ სრულწლოვნობის ასაკში ეძლეოდათ, ბავშვებით ვაჭრობის შავ ბაზარს ასაზრდოებდა.

მართალია, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი უკვე დაწყებულია და ამ სფეროში რადიკალური ძვრები ხდება, მაინც დიდი დრო და ძალისხმევა იქნება საჭირო იმისათვის, რომ საქართველოში ბავშვთა უფლებები დაცულად ჩაითვალოს. ■



ფოტო გარიაა შოთაბაძე

ბავშვთა უფლებები

ერთი ბავშვთა სახლიდან მეორეში

სახელმწიფო ბავშვთა სახლების გაუქმებას ცდილობს, თუმცა პატარებისთვის ოჯახში მოხვედრა ისევ ოცნებად რჩება.

მარია ქოჩიაშვილი

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ბავშვების უფლებების დაცვა პრიორიტეტად გამოაცხადა, დიდი სახელმწიფო ინსტიტუციების დაშლის პროცესიც დაიწყო. 2006 წლიდან მოყოლებული დაახლოებით ხუთი ბავშვთა სახლი უკვე დაიხურა. თუმცა, კვლავაც რჩება 27 სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებული ბავშვთა სახლი და 7 თავშესაფარი, რომელთაც რაიონული მუნიციპალიტეტები განაგებენ. არ არსებობს კონკრეტული გეგმა, თუ რა ვადაში უნდა დაიხუროს ეს სახლები. თუმცა, ცნობილია დახურვის აპრობირებული მეთოდი – სახელმწიფო უნდა ეცადოს, თითოეული ინსტიტუცია გააუქმოს ისე, რომ ბავშვების უმრავლესობა ან საკუთარ ოჯახებს დაუბრუნოს, ან მათ სხვა ოჯახები მოუძებნოს. სხვა ინსტიტუციებში ისინი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიწვიოს, რადგან ამით ვერ მიაღწევს მთავარ

მიზანს – ოჯახურ გარემოში დაბრუნებით ბავშვების სრულფასოვან განვითარებას.

თუმცა, დახურვის პროცესი მაინც ამ უმთავრესი პრინციპის დარღვევით და ძალიან მტკივნეულად მიმდინარეობს. 1 დეკემბრისთვის, წესით, უკვე აღარ უნდა ფუნქციონირებდეს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება „ლამპარი“, რომელშიც 45 სხვადასხვა ასაკის ბავშვი ცხოვრობს. სახელმწიფოს მტკიცებით, შენობა ავარიულია, ამიტომ სახლის დახურვა გარდაუვალია.

„ლამპარში“ ცხრა წლის წინ 4 და-ძმა მიიყვანეს, რომელთაც დედამა, წლებია, არ უნახავთ. ბავშვთა სახლში მიყვანამდე პატარებს ორი და-ძმა გაუშვილეს. მათი ადგილსამყოფელი ბავშვებმა არ იციან. ახლა „ლამპარში“ დარჩენილი 4 და-ძმა კოჯრის ბავშვთა სახლში გადაჰყავთ. მათ ერთად გაშვილებაზე არც არავინ

ოცნებობს. ჯერ საქართველოში არ ყოფილა პრეცედენტი, როცა ოთხი ბავშვი რომელიმე ოჯახს ერთად ეშვილოს. „თან ჩვენ უკვე დიდები ვართ და უკვე არავის ვუნდივართ, ისედაც აღარავინ გვიშვილებს“, – ამბობს 17 წლის თონა. „აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით. ძალითაც რომ გაგვათრიონ, მაინც არ წავალთ!“ – ამბობს უფროსი ნათია.

„ლამპარიდან“ პატარების შინ წაყვანა ხშირად ნათესავებსაც არ უნდათ, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მათ თვეში 90 ლარის დახმარებას ჰპირდება. როგორც ჩანს, ეს თანხა არასაკმარისია.

ამიტომ, „ლამპარის“ ბავშვების უმრავლესობა ერთი ბავშვთა სახლიდან მეორეში მოხვედბა. მათთვის არ შეიცვლება მთავარი – ვერ მოიპოვებენ ოჯახურ სიმყუდროვეს. ახალი, ყაზარმული ტიპის საცხოვრებელში გადასვლით კი სრულიად უცხო ადა-



მიანების გარემოში თავიდან მოუწევთ თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლა.

საქართველოში მოქმედებს რამდენიმე ბავშვთა სახლი უშუალოდ საპატრიარქოს ეგიდითაც. „ვერი ჩაილდის“ მონაცემებით, იქ დაახლოებით 1300-მდე ბავშვი უნდა იყოს, თუმცა უფრო კონკრეტული ინფორმაცია ცნობილი არ არის. „ძალიანაც რომ მოინდომო, იქ არ გიშვებენ. წინააღმდეგი არ ვარ, რომ ასეთმა სახლებმა იარსებოს. ვინ მართავს, არ აქვს მნიშვნელობა, ოღონდ ეს უნდა იყოს გამჭვირვალე და ვილაცას უნდა ჰქონდეს კონტროლის საშუალება“, – ამბობს ანდრო დადიანი და ზესტაფონში



ჩვილ ბავშვთა სახლი, თბილისი 2009

არსებულ ერთ-ერთ ასეთ ბავშვთა სახლს იხსენებს, სადაც შესვლა მხოლოდ „ღობეზე გადაძრომით თუ შეიძლება“, იმიტომ რომ კარიდან არავის უშვებენ. „ხომ გვაქვს უფლება, რომ უარი გითხრათ?! ჩვენ აქედან არავის ვაშვილებთ. გთხოვთ, ამ თემაზე ნუღარ შეგვანუხებთ!“ – ასე უპასუხა „ლიბერალის“ თხოვნასაც სასიამოვნო ხმის მქონე მამაკაცმა და ბავშვთა სახლში ჩასვლა აგვიკრძალა.

მხოლოდ ვარაუდი შეიძლება იმაზე, თუ რა პირობებში ცხოვრობენ იქ

პატარები. დედა სიდონია, რომელიც ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის გიმნაზია-პანსიონს განაგებს, გვეუბნება, რომ მათ არც ერთი

ბავშვი არ გაუშვილებიათ. მათთან 17 წლამდე 190 ბავშვი იზრდება. განათლებას იქვე არსებულ გიმნაზიაში იღებენ და, თუ მშობლებმა ინებეს, შაბათ-კვირას დედ-მამას ხვდებიან. დედა სიდონია აბსურდულს უწოდებს სახელმწიფოს ახალ პოლიტიკას – დააბრუნოს ბავშვები ოჯახებში. „ჩვენი დანესებულება არის იმისთვის, რომ მშობელს შევუწარჩუნოთ შვილი. არც ერთ ბავშვს არ უნდა სხვა ოჯახში წასვლა“.

„გამოდის, რომ სახელმწიფო ხუ-

რავს ბავშვთა სახლებს, ეკლესია კი აშენებს. ფიზიკურად შეიძლება, ძალიან კარგ გარემოში იყვნენ, მაგრამ თუ აიძულებს ბავშვს, რომ ილოცოს ან

თუ დაიბადა მუსულმანურ ოჯახში და მონათლავ მართლმადიდებლად, ეს მისი უფლებების დარღვევაა. ბავშვთა სახლი არის ძალადობის ბუდე, ვისი ეგიდის ქვეშაც არ უნდა ფუნქციონირებდეს, თუნდაც – ეკლესიის“, – ამბობს ანდრო დადიანი და დასძენს, რომ უფრო კონკრეტული დასკვნების გამოტანა უჭირს, რადგან არასამთავრობო სექტორს საპატრიარქოს მიერ გახსნილი ბავშვთა სახლების მონიტორინგის უფლება არ აქვს. სახელმწიფო კი

ამას ისედაც არ აკეთებს.

ბავშვთა უფლებებზე ზრუნვა რომ უფრო შედეგიანი გახდეს, საჭიროა, სახელმწიფომ თანხების განაწილებაც სხვაგვარად დაიწყოს. დღეს ღიდი ინსტიტუციების შესანახად ბიუჯეტიდან 8 მილიონ 200 ათასი ლარია გამოყოფილი. მხოლოდ 400 ათასი ლარით ფინანსდება ის 15-მდე მცირე, ოჯახური ტიპის სახლი, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა და შპს-ებმა შექმნეს. **□**

საბანანათლებლო პოლიტიკის ფორმირების პრობლემების შესახებ



განათლების სისტემაში დაგეგმილი მორიგი ცვლილებების წარმატება, სკოლების პასუხისმგებლობების ზრდის პარალელურად, მათი მხარდაჭერის გაძლიერებაზეცაა დამოკიდებული.

სიმონ ჯანაშია, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

უმაღლესში მისაღებ სისტემასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა და მთავრობამ ბოლო თვის განმავლობაში ორი მნიშვნელოვანი ინიციატივა შემოგვთავაზა. ორივე პირდაპირ კავშირშია სასკოლო განათლების სისტემის წარმატებასთანაც.

პირველი წლევანდელ აბიტურიენტებს ეხება და, სამის ნაცვლად, ოთხი სავალდებულო გამოცდის შემოღებას და დაფინანსების, უნარების გამოცდის ნაცვლად, ოთხი გამოცდის შედეგების მიხედვით განსაზღვრას გულისხმობს.

მეორე ცვლილება კი, შესაძლოა, რამდენიმე წელიწადში შევიდეს ძალაში. ის სკოლის გამოსაშვები გამოცდების შემოღებით ერთდროულად უმაღლესის მისაღები და ამავდროულად სასკოლო სისტემის შეცვლას გულისხმობს.

შევეცდები აღწერო პირველი ცვლილების მომზადების ზოგიერთი ეპიზოდი იმისთვის, რომ მეორის გააზრებისთვის მომზადება დავიწყოთ.

არგუმენტები

სავალდებულო ოთხი გამოცდისა და დაფინანსების ახალი სქემის იდეა გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორს ეკუთვნის. 2008 წლის 6 მაისის გაზეთ „ალაში“ ქალბატონი მაია მიმინოშვილი წერს, რომ გამოცდების ცენტრმა მოამზადა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გადაგზავნილია შესაბამის სამინისტროში. მისი აზრით, ოთხი სავალდებულო გამოცდის მიხედვით ჩარიცხვა და დაფინანსება უკეთესი სისტემაა, რადგან ზოგი აბიტურიენტი სამ გამოცდას აბარებს, ზოგი კი ოთხს, რაც უსამართლოა. სახელმწიფოს აღარ მოუწევს ერთი გამოცდის შედეგების მიხედვით დაფინანსება და თან ამ ცვლილებით ყველა თანაბარ პირობებში მოექცევა.

დაფინანსების სქემის ცვლილება ბოლო წლებში უკვე მეორედ ხდება. 2005 წელს სახელმწიფო გრანტის გა-

ნაწილება სამი გამოცდის შედეგების მიხედვით ხდებოდა. აბიტურიენტების ნაწილი აბარებდა ოთხ გამოცდას, ნაწილი კი – სამს. მაშინ მეოთხე გამოცდად მხოლოდ მათემატიკის არჩევა შეიძლებოდა. სახელმწიფო გრანტის მისაღებად ქართულისა და უნარების ტესტის შედეგებს დამატებული მათე-

მატიკასა და უცხო ენის ქულებს შორის უმაღლესი ქულის გათვალისწინება ხდებოდა. 2006 წელს გადაწყდა, რომ დაფინანსება მხოლოდ უნარების ტესტის საფუძველზე მოხდებოდა. 2006 წლის 1-2 ივნისის გაზეთ „ხვალინდელი დღისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ქალბატონი მაია მიმინოშვილი ასე



პრეზიდენტის რეზიდენციაში, თბილისი 2009

ფოტო: ირაკლი ბაგდოცხი / REUTERS

■ განათლების პოლიტიკის წარმატების მინიმალური პირობა იმის გაცნობიერებაა, რომ აუცილებელია წინასწარი რისკების გათვლა, პილოტირება, დანერგვა, შედეგების შესწავლა; ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნებისა და საერთო მიზნების მქონე გუნდის არსებობა.

ასაბუთებს ამ ცვლილების უპირატესობას: „დაფინანსების ამ პრინციპით, ყველა სტუდენტი თანაბარ პირობებში აღმოჩნდება, რადგან მათი შეფასების კრიტერიუმი ერთი – ზოგადი უნარების გამოცდის შედეგი იქნება“.

დამეთანხმებით, რომ უცნაურია, როდესაც თანაბარ პირობებში ჩაყენების მოტივით, ხან ვზრდით გამოცდების რაოდენობას და ხან კი ვამცირებთ.

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი 2008 წლის ინტერვიუში ამბობს, რომ ერთი გამოცდის შედეგზე დაფინანსების დაფუძნება იმის გამო მოხდა, რომ ზოგი სამ გამოცდას

აბარებდა, ზოგი კი – ოთხს და, შე-საბამისად, ძნელი იყო საერთო კრიტერიუმით საუკეთესოების შერჩევა. სინამდვილეში, 2006 წელს ცვლილებების დასასაბუთებლად გამოცდების ცენტრის თანამშრომლებს გაცილებით უფრო დახვეწილი არგუმენტები მოჰყავდათ. მაგალითად, ისინი ხსნიდნენ, რომ:

ა) უნარების გამოცდებსა და სხვა გამოცდებს შორის არის მაღალი დადებითი კორელაცია. ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო მაღალია უნარების ტესტის შედეგი, მით უფრო მაღალია ალბათობა, რომ სხვა საგანშიც მაღალი ქულა გექნება. უნარების გამოცდით დაფინანსდება, თუ რამდენიმე გამოცდით, შედეგი მაინც იგივე გექნება;

ბ) უნარების ტესტის შედეგი ნაკლებად დამოკიდებულია რომელიმე შენი მასწავლებლის კვალიფიკაციაზე. ამგვარად, შესაძლებელია გყავდეს ცუდი მასწავლებელი, მაგალითად უცხო ენაში, მაგრამ ეს შენ უნარებზე იმდენად არ მოქმედებდეს. უცნაური არგუმენტია და მთლად თავსებადი პირველ არგუმენტთან არ იყო, მაგრამ მაინც თამამად გამოითქმებოდა პრესკონფერენციებზე;

გ) დაფინანსებისთვის კონკურსში მონაწილეობა ასევე წინა წელს ჩაბარებულ სტუდენტებსაც უნდა შეძლებოდათ. არ იყო სასურველი, რომ მათთვის ერთზე მეტი გამოცდის ჩაბარება გვეთხოვა. ცენტრის თანამშრომლების მოსაზრებით, ეს უსამართლოც იქნებოდა, რადგან ისინი უმაღლესში უკვე მეტ ცოდნას მიიღებდნენ ერთი წლის განმავლობაში. უნარების განვითარება კი ამ წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ მოხდებოდა;

დ) იმის გამო, რომ უმცირესობებს უწევდათ ქართული ენის ჩაბარება და გრანტის მისაღებად ქართული ენის შედეგის მიხედვით ქართულენოვან აბიტურენტებთან უხდებოდათ კონკურენცია, უპირანი იყო უნარების შედეგებით დაფინანსება, რადგან მათ რუსულად, შემდგომში კი, უკვე ასევე აზერბაიჯანულად და სომხურად შეეძლოთ უნარების ტესტის ჩაბარება;

ე) უნარების ტესტის მიხედვით დაფინანსება უფრო გამართლებული იყო მეცნიერულადაც. ანუ, მათი აზრით, დასაშვებია არ იყო მათემატიკის გამოცდაში მიღებული ქულების შედარება, ვთქვით, ლიტერატურის გამოცდაში მიღებულ ქულებთან ერთიანი კონკურსის ფარგლებში.

ეს საკითხების არასრული ჩამონათვალია, მაგრამ ვფიქრობ, რომ საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ როგორ კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს თითოეული ასეთი ნაბიჯი.

სისტემაში ჩახედული თვალი იმას შეამჩნევს, რომ, არაქართულენოვანი აბიტურენტების პრობლემის გამოკლებით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი არგუმენტი დღესაც ვალიდურია და პასუხგასაცემი – ახალი ცვლილების ფონზე.

განათლების პოლიტიკის წარმატების მინიმალური პირობა იმის გაცნობიერებაა, რომ ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმისას აუცილებელია წინასწარი რისკების გათვლა, შეფასება, ანალოგიური პოლიტიკების შესწავლა, ანალიზი, პილოტირება, დანერგვა, შედეგების შესწავლა და ახალი რისკების გათვალისწინებით ძველი პოლიტიკის გაუფჯობესება; ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნებისა და საერთო მიზნების მქონე გუნდის არსებობა.

პროპოზიციები

1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობის ხშირი ცვლილება – ერთი მხრივ, და მეორე მხრივ – დოკუმენტირებული საჯარო თუ შიდა დისკუსიების ნაკლებობა ინსტიტუციური მექანიზმების შექმნას ხელს უშლის. ამიტომ არის ადვილი, ორ სხვადასხვა მინისტრს ადამიანმა ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპი ერთი და იმავე არგუმენტით დაუსაბუთოს.

ზოგადად, 2004-დან მოყოლებული სისტემის ცვლილების პროექტებისა და კონცეფციების საჯარო დისკუსიებისთვის გამოქვეყნების პრაქტიკა შემცირდა. თუ 2006 წელს გამოცდების ცენტრს საჯაროდ მოუწია პარლამენტის დარწმუნება დაფინანსების სისტემის ცვლილებაში, წელს ცვლილებების შესახებ მთავრობის სხდომის შემდეგ შევიტყვევებ.

2. ეროვნულ გამოცდებთან მიმართებაში სამინისტრომ შემკვეთის, ხოლო ცენტრმა შემსრულებლის როლი ნელ-ნელა დაკარგა. ცენტრი დღეს უკვე დამოუკიდებელი პოლიტიკის განმხორციელებელია და ნაკლებად თანამშრომლობს სისტემის სხვა ნაწილებთან, მათ შორის მის ზემდგომთანაც კი. მაგალითად, გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი და სხვა თანამშრომლები საჯაროდ საყვედურობენ იმ უმაღლესებს, რომლებიც,


ოთხის ნაცვლად, სამ გამოცდას ირჩევდნენ. უმაღლესები, მათი აზრით, ხარისხზე უარს ამბობდნენ სტუდენტების მოზიდვისთვის. პრობლემის საილუსტრაციოდ გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ თამაზ ჯოლოგუასთან 2008 წლის 27 იანვრის „რეზონანსში“. ერთ-ერთ კითხვაზე ბატონი თამაზი პასუხობს: „...ცენტრში ვარ ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი-ექსპერტი. ჩვენი საექსპერტო ჯგუფი, ვერ ვიტყვი, რომ მთლად დამოუკიდებელია-მეთქი, მაგრამ ეს არის ცალკე ორგანიზაცია, რომელსაც ევალება აბიტურენტებისთვის საგამოცდო პროგრამების გამოცემა. ჩვენი ფუნქციაა, ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტების შედგენა. ეს არის ჩემი პროფესიული მოვალეობა და არა – თანამდებობა. ისედაც, გამოცდების ეროვნული ცენტრი არ არის ამ ხელისუფლების მონაპოვარი და, შესაბამისად, არც ლომიას მიუძღვის მის შექმნაში რამე წვლილი. სულაც არ ვთვლი, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვექვემდებარები. ფორმალურად კი ასეა, მაგრამ რეალურად – არა“. შემდეგ ჰყვება იმის შესახებ, თუ როგორ „დაუფასეს“ ბატონ გია ნოდის ეგზიტპოლები, როგორ დაინგრა მაქსიმალურად ლომიას დროს განათლების სისტემა და ა.შ. ამგვარი დამოკიდებულება ტენდენციის ნაწილია და არა ერთეული შემთხვევა. ცენტრის დირექტორი აცხადებს, რომ სასწავლო გეგმის დანერგვა არასწორად ხდება, საბუნებისმეტყველო ჯგუფი დემარშებს აწყობს სამინისტროს სხვა ცენტრის მოწყობილ შეხვედრებზე და ა.შ.

ბაკვათილი

ცვლილების პროექტი, რომელიც პრეზიდენტმა წარმოადგინა სკოლებში გამოცდების გადატანასთან დაკავშირებით, კომპლექსურ დაგეგმვას და განხორციელებას გულისხმობს. თუ ცვლილებები ისე დაიგეგმება, როგორც ეს მეოთხე სავალდებულო გამოცდის დამატებისას მოხდა, დიდია ალბათობა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალ ხელმძღვანელობას ცაკილებით მეტ ნეგატიურ შედეგთან მოუწევს გამკლავება, ვიდრე ეს მის შესაძლებლობებში იქნება. ეს განსაკუთრებით პრობლემური იქნება, თუკი სკოლების პასუხისმგებლობების ზრდის პარალელურად, თითოეული სკოლის მხარდაჭერის სისტემა არ გაძლიერდება. **■**

ნუ დაწვავ ლორას!

მალხაზ ხარბელია



THE ORIGINAL OF LAURA

(Dying Is Fun)

Vladimir Nabokov

ლორას ორიგინალი

სიკვდილი სასაცილოა

ვლადიმერ ნაბოკოვი

1976 წლის ბოლოს, ნაბოკოვის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე The New York Times Book Review-მ მწერალს კითხვარი გაუგზავნა, სადაც მას ბოლოს წაკითხული წიგნები უნდა დაესახელებინა. ნაბოკოვმა პირველ რიგში აღნიშნა დანტეს „ჯოჯოხეთი“, უილიამ შ. შოუს „ჩრდილოეთ ამერიკის პეპლები“ და „ლორას ორიგინალი“, მისი ბოლო რომანის დაუმთავრებელი ხელნაწერი. ნაბოკოვი ამ დროს უკვე ავად იყო და ერთგან უცნაურ რამესაც ამბობს, თითქოს ამ რომანს ასევე უკითხავდა „ფარგევანგებს, მტრედებს, დიდი ხნის წინ გარდაცვლილ მშობლებს, ორ კვიპაროსს, რამდენიმე ახალგაზრდა მედდასა და ოჯახის ექიმს, რომელიც ისე დაბერებულიყო, რომ თითქმის არ ჩანდა“.

„ლორას ორიგინალს“ ნაბოკოვი სიცოცხლის ბოლოს წერდა. მან მხოლოდ 138 ბარათის (თითოზე დაახლოებით 150 სიტყვა) დაწერა მოასწრო და შემდეგ,

სტილისა და გამალაშინების ოსტატმა, რაკი შეატყო, რომ ველარ ასრულებდა ნაწარმოებს, მისი განადგურება გადაწყვიტა და მუდღეს წიგნის დაწვა უანდერძა. ვერა ნაბოკოვამ, მართალია, არ შეასრულა ქმრის ანდერძი, მაგრამ არც რომანის დაბეჭდვა უცდია როდესმე.

2005-ში ნიუ-იორკელმა ჟურნალისტმა რონ როზენბაუმმა გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით: „ძვირფასო დმიტრი, ნუ დაწვავ ლორას!“, რასაც დიდი აურზაური მოჰყვა. 30 წლის შემდეგ მწერლის შვილმა, დმიტრი ნაბოკოვმა პირველად წამოიწყო რომანის გამოცემაზე საუბარი, რამდენიმე დღის წინ კი „ლორას ორიგინალი“ დახმებზეც გამოჩნდა.

სულ მალე ალბათ რუსულადაც გამოვა წიგნი, მანამდე კი მწერლები, კრიტიკოსები და ლიტერატურის მიმომხილველები ძირითადად ერთ რამეზე სვამენ კითხვას – რატომ დაარღვია ანდერძი დმიტრი ნაბოკოვმა? სწორად მოიქცა თუ არა იგი? მაგალითად, ტომ სტოპარდი უარყოფითად აფასებდა მწერლის ვაჟის გადაწყვეტილებას, სამაგიეროდ, ჟურნალისტები და ლიტერატურათმცოდნეები აქებენ და ემადლიერებიან მას. ბევრი იმონებდა ნაბოკოვის საყვარელი პროზაიკოსის, ფრანც კაფკას მაგალითსაც, ვინაც თავის მეგობარს, მაქს ბროდს მთელი მისი ნაწერების დაწვა უანდერძა, ბროდმა კი დაარღვია მეგობრის ანდერძი. მისი წყალობითაა, რომ ჩვენ დღეს კაფკას ვკითხულობთ და ამის გამო ბროდს, ცხადია, თავად ნაბოკოვიც ძალიან ემადლიერებოდა.

რუსი კრიტიკოსები და ბლოგერები სულ სხვა მნიშვნელობას ხედავენ ამ რომანის გამოსვლაში. ჩემი ასაკისა და ჩემზე უფროსებსაც, ყველას კარგად ესხომება 80-იანების და 90-იანების „ნაბოკოვიანური“ ბუმი რუსეთში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. მეც სწორედ იმ წლებში წავიკითხე მიყოლებით ნაბოკოვი, იმავე პერიოდში ჩამოყალიბდა მწერლის გარშემო რაღაც სწობური აურა, როცა ნაბოკოვით ყველაზე ნაივური მკითხველიც კი იტანჯავდა თავს, ვისთვისაც „ლოლიტა“ სექსზე დაწერილი რომანი იყო, „მოპატიუბა სიკვდილით დასჯაზე“ კი ციხის ლიტერატურად ითვლებოდა. გამოიხდა ხანი და, ნაბოკოვი ყველას დააინწყდა, და ახლა, ზოგიერთის აზრით, რომანი მხოლოდ ნამდვილ ნაბოკოველებს თუ ჩაუვარდებათ ხელში და არა კონიუნქტურულებს.

წიგნის მთავარი გმირი, მდიდარი, წარმოუდგენლად მსუქანი ნეეროლოგი ფილიპ უაილდი მთელი რომანის მანძილზე

თვითმკვლელობაზე ფიქრობს. იგი ფლორაზე, იგივე ლორაზე დაქორწინებული, რომელიც განუწყვეტილოდ ლაღობს მას, სამაგიეროდ იგი გმირის პირველ სიყვარულს ჰგავს, ავრორას. წიგნი ურთულესი და ძალიან საინტერესო თხრობითი სვლებითაა დაწერილი, აქ ორი ნარატიული ინსტანციაა, ერთია მწერალი, რომელიც თავის საყვარელს, ლორას ანგრევს მისი პორტრეტის შექმნით, მეორე კი თავად ნეეროლოგი უაილდია, ვინც თხრობით ფაქტობრივად საკუთარი თავის გაქრობას ახდენს, ანუ აიძულებს თავისი სხეულის ნაწილებს, გაქრნენ. არავინ იცის, როგორ დააკავშირებდა თავად ნაბოკოვი ამ ორ საზს, თუმცა ამის მიუხედავადც მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ საქმე ისევე ტიპურ ნაბოკოვურ თამაშებთან, პაზლებთანაა აქვს.

მთავარი გმირის პირველი სიყვარული ავრორა ლი, ჯერ თავად ნაბოკოვის „ლოლიტასთან“ გვაგზავნის, შემდეგ კი, რასაკვირველია ედგარ პოსთან (ანაბელ ლი), ავრორა და ფლორა ასევე პუშკინზე მიგვანიშნებს, თავად უაილდი კი ოსკარ უაილდზე. ფლორა იგივე ლოლიტაა, და მის შეცდენას 12 წლის ასაკში დედამისის მეგობარი, ვინმე ჰუბერტ ჰუმბერტი ცდილობს („ლოლიტაში“ იგი ჰუმბერტ ჰუმბერტი იყო).

ბევრის აზრით, ეს რომანი უპრეცედენტოა სტილისა და სტრუქტურის თვალსაზრისით. ნაბოკოვის ბიოგრაფოსი, ბრაიან ბოიდი წერდა The Wall Street Journal-ში, რომ წიგნმა იგი პირველივე სიტყვებიდან გაიტაცა (ბოიდი ჯერ კიდევ 80-იან წლებში წავიკითხა „ლორა“) და რომ ზოგიერთი თხრობითი ხერხი აქამდე არასდროს გამოუყენებია ნაბოკოვს. იგი თამაშობს თავისი პერსონაჟებით, როგორც მეტაფორებით და ამაში მას ბადალი არა ჰყავს.

ამ რომანში ნაბოკოვი, შეიძლება ითქვას, სიკვდილთან თამაშობს (და არა სიკვდილს ეთამაშება). ბევრს ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ მან სიკვდილის (შესაბამისად, სიცოცხლისაც) ყველაზე მთავარი საიდუმლო ამოხსნა და საფლავში წაიყოლა, ისე, რომ რომანში მხოლოდ მინიშნებები დატოვა ამის შესახებ. თავისი შვილისთვის, დმიტრისთვის კი ვლადიმერ ნაბოკოვმა შემოსავლის კიდევ ერთი წყარო დატოვა. როგორც ცნობილია, ეს ბარათები, ანუ რომანის ხელნაწერი 4 დეკემბერს Christie's აუქციონზე უნდა გაიყიდოს ნიუ-იორკში. ექსპერტების აზრით, ხელნაწერის საწყისი ფასი 400-600 ათასი დოლარია. **📖**

გვიხიანეთ

ეთელ საქართველოში

უხველელ სიხშირეზე 106.4

fm

www.106.4.ge

უსმინეთ პირველი რადიოს ეთერში:

ყოველ სამუშაო დღეს

შემეცნებით - გასართობ გადაცემას:

“რადიო მრჩეველი ნანიკო ხაზარაძესთან ერთად”

დასაწყისი 13:30

ყოველ ორშაბათს და პარასკევს

მუსიკალურ - შემეცნებით გადაცემას:

"ძველი რადიოლა"

დასაწყისი 18:00

ყოველ ორშაბათს და პარასკევს

სპორტულ გადაცემას:

"Sports Prewive"

დასაწყისი 20:00






ჩემი ცხოვრების ღირსი სტანდარტებია.

წებინშიერი აუდიტორია იმსახურებს იმას, რომ მხოლოდ საუკეთესო მუსიკას მოუსმინოს. ამიტომ, ყველაფერი რაც მეორე ხარისხოვანია, ჩემთვისაც მიუღებელია. მე ვიჩივ American Express®-ს, ესე იგი, ვიჩივ საუკეთესოს. ის ზუსტად გეგმავს ჩემს მოგზაურობას, მთავაზობს სრულ სერვისს, დაწვებული ავია რეისებიდან და სასტუმროებიდან, დამთავრებული ავტომობილის ჰირაობითა და მსოფლიო კრუიზის მოწყობით.

ჩემი ცხოვრება ხელმოწევაა. ჩემი საკრედიტო ბარათი მისი სრულყოფის საშუალება.

იცხოვრეთ უკეთესად, აიღეთ ბარათი.
ფარეკეთ ნომერზე: 444 300 ან ეწვიეთ
გებ-გვერდს: www.americanexpress.ge



American Express®-ის ექსკლუზიური წარმომადგენელი.